ბიძინა ივანიშვილი:



**rogor davamyarebdi mSvidobas kavkasiaSi**

„კოალიცია „ქართული ოცნება“ თავს აარიდებს ცივი ომის რიტორიკას და უკეთესად მოახერხებს ჩვენს რეგიონში ფეთქებადსაშიში სიტუაციის რეალური მიზეზების განეიტრალებას“.

რეზო ამაშუკელი:



საჩხერეში ჩინელ „როსტომ წერეთელს“ მაღაზია უყიდია, მალე შვილი უნდა შეეძინოს თურმე და აკაკი უნდა დავარქვაო, იძახის...

გოჩა მასხილაძე:



ჩვენ გვყავს ჰერმაფროდიტი ხელისუფლება, რომელიც არც კაცია, არც ქალი, შესაბამისად, კაციცაა და ქალიც, ანუ არაფერი არ არის

# საერთო გაზეთი

№35 (219) ● 15-21.VIII.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## saeklesio wreebSi didi miTqma-moTqma:

პატრიარქი 15 სექტემბრამდე უნდა გადააყენონ ან თვითონ უნდა გადადგესო...





## ras werda 12 wlis winaT `marTali gazeTi~?

აქა ამბავი „ვერბლიუდისა“, რომელიც საქართველოში ზოგიერთებს ნაციონალურ გმირად მიაჩნიათ

## vin arian eseni _ adgilobrivi mniSvnelobis yaCaRebis banda Tu saerTaSoriso mafiis wevrebi?

## ministr goga xaCiZis mama, romelic `mxedrionis~ wevri iyo, yaCaRobaSi imxileboda?!



## putini da sakaSvili farul garigebaSi arian da SeTanxmebulad moqmedeben?

## vin akeTebs realurad rusul saqmes TbilisSi?

ფილოლოგები, „ხალხის ტყ-აოსანი“ და მეიგავარაკე

## saakaSvilis `didgori~ da `urjuloebi~

ISSN 2233-3983

## მანანა კობახიძე: დარწმუნებული ვართ, რომ ცესკო საარჩევნო ნომრად 7-იანის აღებაზე უარს არ გვეტყვის



„ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“- პოლიტიკური ბლოკი ამ სახელწოდებით დღეს დარეგისტრირდა ცესკოში,“- ამის შესახებ „ტრიბუნას“ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ განუცხადა.

„ჩვენ დავრეგისტრირდით ბლოკის სახით და წესდების შესაბამისად ვითხოვთ, რომ ჩვენი საარჩევნო ნომერი იყოს 7. ვინაიდან ერთ-ერთი „სუბიექტი კონსერვატიული“ პარტია წინა არჩევნებში ფლობდა ნომერ 7-ს და ჩვენ გვაქვს უფლება, მოქმედი კანონმდებლობით, რომ კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი პარტიის ნომერი ავიღოთ და შესაბამისად, ვუთითებთ რომ ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“, ასეთი სახით უნდა დარეგისტრირდეს და ჩვენი საარჩევნო ნომერი იყოს 7. ჩავაბარეთ ეს დოკუმენტაცია. შესაბამისად, კომისიისგან გვეცნობება არის თუ არა ძალაში 7 ნომერი. ყველენაირი მოლოდინი გვაქვს, რომ ჩვენ ამ ნომრით მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებში,“- განაცხადა მანანა კობახიძემ.

მისი თქმით, ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი, რომ ცესკოს პოლიტიკური ბლოკისთვის მსგავსი მოთხოვნაზე უარი ეთქვას.

„კანონით დადგენილ ვადაში გვეცნობება ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება-არ დაკმაყოფილების შესახებ. დარწმუნებული ვართ, რომ უარს ვერ გვეტყვიან იმიტომ, რომ ყველა პროცედურა გავიარეთ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბლოკის ჩამოყალიბების დროს მასში შემავალი ერთ-ერთი სუბიექტის ნომერზე უარი ეთქვას ცესკოს. ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა ამიტომ, ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ 7 ნომერი იქნება ჩვენი საარჩევნო ნომერი,“- განაცხადა კობახიძემ.

## ბეთქილ შუკვანი: მე ჩემი სიმართლისთვის ვიბრძვი



2012 წლის ოლიმპიადის მონაწილე ქართველი ძიუდოისტი ბეთქილ შუკვანი ამ დროისთვის ლონდონში იმყოფება და შესაბამის უწყებაში მის წინააღმდეგ მიკერძოებულ მსაჯობას სარჩელით აპროტესტებს. როგორც შუკვანმა „მედიანიუსს“ განუცხადა, იგი ოლიმპიადაზე მსაჯების უსამართლო გადაწყვეტილებების გამო დამარცხდა, თუმცა ქართულ დელეგაციას ამ ფაქტზე რეაქცია არ ჰქონია. მისი თქმით, როდესაც მსაჯები დაისჯებიან, ყველა დაინახავს, რომ იგი მართალი იყო. შუკვანის თქმით, დელეგაციამ მისი განცხადების შემდეგ თქვა, რომ მათ მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტება არ შეეძლოთ, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ქართულმა მხარემ სხვა ქართველი მოჭიდავის წინააღმდეგ დაფიქსირებული მიკერძოებული მსაჯობა გააპროტესტა. შუკვანის თქმით, იგი კონკრეტულად ქართული დელეგაციის არც ერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ ჩივილს არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ შუკვანი ოლიამპიადის მეორე რაუნდში ფრანგ სოფიან მილუსთან იპონით დამარცხდა. ქართველი სპორტსმენი შეხვედრას მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა, თუმცა ბოლოსკენ მისმა მეტოქემ მომგებიანი გდებით გამარჯვება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობისას შუკვანმა ორი 10–ქულიანი გდება შეასრულა, თუმცა მსაჯებმა ეს არ დააფიქსირეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შუკვანმა სკანდალური განცხადება გააკეთა. ძიუდოისტი აცხადებდა, რომ იგი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია და ოლიმპიადაზე წარმატების შემთხვევაში ოქროს მედლის მიძღვნას სწორედ კოალიციისათვის აპირებდა. ეს ცნობილი იყო საქართველოს ხელისუფლებისთვისაც, ამიტომ ლონდონში მასზე ოფიციალური პირები ზეწოლას ახდენდნენ. 2 აგვისტოს ამ საკითხზე შუკვანმა თბილისში, “ქართული ოცნების“ ოფისში, ბიძინა ივანიშვილის პრესმდივანთან მაია ფანჯიკიძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე მედიას ლონდონის ოლიმპიადის მსვლელობისას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მასზე განხორციელებული ზემოქმედების შესახებ მოუთხრო.

## ახალი განჩინებით, სასამართლო ბანკებს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემას ავალდებულებს

სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოში არსებული 18 ბანკი ვალდებულია პროკურატურას მიაწოდოს ინფორმაცია, მისი კლიენტების პირადი გადარიცხვების შესახებ.

აღნიშნული განჩინება მოსამართლე ეკა არეშიძემ მიიღო.

ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას ტელეკომპანია „მე -9 არხი“ ავრცელებს.




განჩინების ტექსტში ვკითხულობთ, „საჭიროა ამოღებულ იქნას საქართველოში მოქმედი ყველა საბანკო დაწესებულების კუთვნილი ბანკომატების მეშვეობით უცხო ქვეყნის კომერიცული ბანკების მიერ როგორც სქართველოს მოქალაქეების, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების სახელზე გაცემული პლასტიკური ბარათების გამოყენებით განხორციელებული ტრანზაქციების ამსახველი დეტალური ინფორმაცია 13 ივლისიდან - 20 ივლისის ჩათვლით პერიოდში“.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, აღნიშნული განჩინებით, დარღვეულია საერთაშორისო გადახდის სისტემების: ვიზას და „მასთერ ქარდის“ კონფიდენციალურობაც. ქართული ბანკების გარდა სერიოზული საფრთხის წინაშეა უცხოური ბანკების რეპუტაციაც.

წინასწარი შეფასებით, აღნიშნული ინიციატივა და განჩინება არღვევს კლიენტის საბანკო საიდუმლოებას, რადგან ბანკების კლიენტების პირადი ინფორმაცია კონფიდენციალურია.

## თინათინ ხიდაშელი სოფელ ხაშმის მოსახლეობას შეხვდა

კოალიცია “ქართული ოცნების” საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თინათინ ხიდაშელი სოფელ ხაშმის მოსახლეობას შეხვდა.

სოფლის მოსახლეობა, რომლის უდიდესი ნაწილიც შეხვედრას ესწრებოდა ღიად გამოხატა საკუთარი მხარდაჭერა “ქართული ოცნებისა” და კოალიციის კანდიდატის მიმართ.

თინათინ ხიდაშელმა ამომრჩეველთან შეხვედრისას კოალიციის საარჩევნო პროგრამაზე ისაუბრა და მოსახლეობას გარანტია მისცა, რომ სოფლის პრობლემები, რომელიც დღეს ყველაზე მეტად აწუხებთ ერთი წლის მანძილზე მოგვარდება.

თინათინ ხიდაშელმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ წყლის, გაზიფიკაციის, საბავშვო ბაღის და სკოლის პრობლემები უმალვე მოგვარდება.

ხიდაშელის განცხადებით, ჯანდაცვის სისტემის აწყობა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ჩადებული 1 მილიარდიანი ინვესტიცია არის ის დაპირება, რომელიც სწრაფად აჩვენებს მოსახლეობას თუ რას ნიშნავს მზრუნველი ხელისუფლება.



ხიდაშელის განცხადებით, სოფელ ხაშმში მოსახლეობა ყოველდღიურად იბრძვის გადარჩენისათვის და არჩევნებს იმედის თვალით უყურებს.

სოფელს არ აქვს წყალი, გაზმომარაგება, სოფელში არ ხდება ნარჩენების შეგროვება, არ არსებობს დასაქმების არავითარი შესაძლებლობა, უდიდესი პრობლემა აქვთ ყურძნის ჩაბარების თვლსაზრისით. სკოლა, რომელიც სავალალო მდგარეობაშია რამდენიმე კილომეტრით არის მოშორებული სოფლის უდიდესი ნაწილისგან და არ არსებობს მოსწავლეების ტრანსპორტირების საშუალება. ხიდაშელის განცხადებით, უმძიმესი ვითარებაა საბავშვო ბაღსა და ადგილობრივ ამბულატორიაში.

ამომრჩეველთან შეხვედრამ 2 საათზე მეტ ხანს გასტანა და საინტერესო დიალოგის რეჟიმში წარიმართა.

თინათინ ხიდაშელი სოფელ ხაშმის მაცხოვრებებს სამართლიანობის აღდგენას და მათი ინტერეესბის დაცვას დაჰპირდა.

## „ქართულმა ოცნებამ“ დიპკორპუსს წინასაარჩევნო ვითარება გააცნო

კოალიცია “ქართული ოცნების” წევრებმა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს წინასაარჩევნო პროცესის და ამ დროისთვის არსებული დარღვევების შესახებ ინფორმაცია გააცნეს.

კოალიციის მხრიდან შეხვედრას სოზარ სუბარი, ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი, მანანა კობახიძე, დავით საგანელიძე, გოგი თოფაძე და სხვა ლიდერები ესწრებოდნენ.

“ჩვენ ვისაუბრეთ შექმნილ ვითარებაზე საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით. განვიხილეთ კონკრეტული ფაქტები, თუ რა დარღვევებს აქვს ადგილი ხელისუფლების წარმომადეგნლების მხრიდან.

სასუნთქი ჟანგბადის სივრცე დახურა სააკაშვილმა პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის იმიტომ, რომ მას ეშინია კონკურენტულ გარემოში არჩევნების ჩატარების. შევთანხმდით, რომ ორგანიზაციები გააგრძელებენ ძალიან სერიოზულ დაკვირვებას საარჩევნო კამპანიის პროცესზე.

ჩვენ შევეხეთ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის მუშაობასაც. დიდი ინტერესი გამოავლინა საერთაშორისო თანამეგობრობამ თუ რატომ არ არის პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის გადმოცემული დაზუსტებული სიები“, - შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მანვე უცხოელ დიპლომატებს კოალიციის ცენტრალური საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დავით საგანელიძე წარუდგინა.

## თეა წულუკიანი სანზონის მოსახლეობას შეხვდა



„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თეა წულუკიანი დღეს სანზონაში, ლიახვისა და ჩარგალის ქუჩების მაცხოვრებლებს შეხვდა.

დეპუტატობის კანდიდატმა შეკრებილ საზოგადოებას „ქართული ოცნების“ ჯანდაცვის პროგრამა გააცნო.

„ვისაუბრეთ „ქართული ოცნების“ ჯანდაცვის პროგრამაზე, რომელიც მორგებულია იმ საჭიროებებზე, რაც ნაძალადევის რაიონის და ზოგადად საქართველოს მოსახლეობას აწუხებს. ჩვენ უზრუნველვყოფთ თითოეული ადამინისთვის ისეთი სადაზღვეო პაკეტის შეთავაზებას, რომელიც მოიცავს როგორც ონკოლოგიური დაავადებების (სხივური თერაპია, ქიმიო თერაპია) მკურნალობას, ასევე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (მათ შორის, შუნტირება, სტენტირება) მკურნალობას.

დამეთანხმებით, რომ ამ დაავადებათა მკურნალობა საშუალო შესაძლებლობების მქონე ოჯახისთვისაც კი რთულია, არამცთუ გაჭირვებული მოსახელობისთვის. ჩვენი გამარჯვების შემდეგ არც ნაძალადეველებს და არც სხვა რაიონის მაცხოვრებლებს ავადმყოფობის შიში აღარ ექნებათ. თითოეული მათგანის მკურნალობას სახელმწიფო დააფინანსებს“. — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობაც“ იძლევა ხელმისაწვდომი ჯანდაცვის შესახებ დაპირებებს, თუმცა საზოგადოებამ კარგად იცის, როგორ სრულდება მათი დანაპირები.

„უკვე 9 წელია „ნაციონალური მოძრაობა” მოსახლეობას ხელმისაწვდომ ჯანდაცვას ჰპირდება და ამ პირობის შესრულება ვერ თუ არ მოახერხა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ოჯახისთვის დღეს ერთერთი წევრის ავად გახდომა ავტომატურად ნიშნავს ამ ოჯახის გაღატაკებას. ხელისუფლებას ამ პრობლემის მოგვარება რომ შეძლებოდა, აქამდე უნდა მოეგვარებინათ. ბიძინა ივანიშვილმა, იმის მიუხედავად, რომ ის არ იყო ხელისუფლების წევრი, ჯანდაცვასთან დაკავშირებული ყველანაირი პრობლემა მოუხსნა საჩხერის მოსახლეობას,“ - განაცხადა წულუკიანმა.

`medianiusi~

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# filologebi, `xalxis ty-osani~ da meigavarake

არ შეიძლება ამ ფილოლოგების მიკროფონთან მიშვება!

შეიყარა სამი ფილოლოგი მეცხრე არხზე და გადაცემაში „კონსოლიუმი ვასილ მაღლაფერიძესთან“ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

— ღრუბელ-ღრუბელ, მალვით მივდიოდი ფოთისკენ, რუსების თვითმფრინავებს ვემალებოდიო, — ამბობს პრეზიდენტი კაცი, ესენი კი, ეს ფილოლოგები, ღრუბლებში ბუჩქები იგულისხმება, თვითმფრინავი კიდევ ტატოს „მერანთან“ ასოცირდებაო — ამბობდნენ.

რა ბუჩქები, კაცო, რისი ბუჩქები, ცაში ბუჩქებს რა უნდა? ღრუბლებს ეფარებოდა პრეზიდენტი, ხან ერთ ღრუბელს ამოეფარებოდა თავისი თვითმფრინავით, ხან — მეორეს, რომ რუს მფრინავებს დამალვოდა და ასე ღრუბლებს ამოფარებული მალვა-მალვით ჩაფრენილიყო ფოთში.

— მეიგავარაკე წინასწარმეტყველია ეგ, ოღონდ ამის შესახებ თვითონ არაფერი იცის, ისე, ქვეცნობიერად წინასწარმეტყველებსო, — ბრძანებდნენ ფილოლოგები და მის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმულ წინასწარმეტყველურ ტექსტებს უკირკიტებდნენ.

... მე ავაშენე ახალი თბილისი, მე ავაშენე ახალი ქუთაისი, მე ავაშენე ახალი ბათუმი, მე ავაშენე ახალი ზუგდიდი — თავმდაბლობდა პრეზიდენტი, რაც ფილოლოგებს არ მოეწონათ და მაყურებელს შეახსენეს, რომ მისი აშენებულია აგრეთვე ათენი, რომი, პარიზი და სხვა წვრილი თუ მსხვილი ქალაქები, თუმცა ფილოლოგებს ის ამბავი გამორჩათ, რომ ეს მოწოდებით აღმშენებელი კაცი მოლდავეთშია მიწვეული ახალი მოლდავეთის ასაშენებლად.

რას იზამ, ფილოლოგები არიან და ყველაფერი ხომ არ ეცოდინებათ, თუმცა მათ კიდევ ერთი უპატიებელი შეცდომა დაუშვეს და მაყურებელს დაუმალეს, რომ პრეზიდენტმა არა მარტო გრიგოლ რუსთაველის და შოთა ორბელიანის შემოქმედება იცის ზედმიწევნით კარგად, არამედ ბრწყინვალედ ერკვევა ანა ტაბიძის და გალაკტიონ კალანდაძის პოეზიაშიც და მათი ლექსები სულ ზეპირად იცის.

— ფოთში რომ ჩავფრინდი, იმწამსვე ღია ეთერით გამოვედი, რა თქმა უნდა, რუსებმა ეს დაინახეს, მაშინვე მოახტნენ თავიანთ ბეტეერებს და ჩემსკენ გამოეშურნენ, რომ დავეჭირეთ.

მაგრამ მათ იქ დახვდნენ ქართველი პოლიციელები, მსუბუქად შეიარაღებულნი და რუსებს უთხრეს, ვერ გაგატარებთო.

რუსებთან იყო ერთი ქართველი, რომელიც ჩვეულებრივად ქართულად ლაპარაკობდა.

მან უთხრა პოლიციელებს, ჩვენ არავის არაფერს დავუშავებთ, ჩვენ მხოლოდ ერთი კაცი გვაინტერესებსო.

— ის ერთი კაცი ახლა საქართველოა და ვერ გაგიშვებთო, — უთქვამს პოლიციელს.

აი, ეს ფრაგმენტი ფილოლოგებმა ყოველგვარი კომენტარის გარეშე დატოვეს, არადა, მთელი ამ ამბის მუღამი ის არის, რომ ის სიტყვები პოლიციელმა კი არა, მღვდელმა თქვა.

დიდმა მეიგავარაკემ და წინასწარმეტყველმა, აღმშენებელმა თბილისისა და ათენისა, ზუგდიდისა და რომისა, როგორც ჩანს, შეგნებულად გააყალბა ფაქტი და მღვდლის ნაცვლად პოლიციელი ირჩია თავისი იგავის მთავარ გმირად.

არ უნდა სცოდნოდათ ეს ფილოლოგებს?

ბოლოს და ბოლოს, ფილოლოგები ხართ და არა ვიღაც პოლიტოლოგები ვეტერინარის ან ინჟინრის დიპლომით.

ფილოლოგებმა ის კი გაშიფრეს, რომ გრიგოლ რუსთაველის პოემის მთავარი გმირი ტარიელი ეს იგივე სააკაშვილია, რომელიც ქაჯებს (მომიტინგეების სიმბოლურ-მეტაფორული სახეა) აწიოკებს და ზოგჯერ ტარიელივით ტირის კიდევაც.

დიახ, ტარიელი სააკაშვილია, ავთანდილი — ახლახან მთავარ ვეზირად დაწინაურებული ვანო მერაბიშვილი, მაგრამ არაფერი თქმულა იმის შესახებ, ვინ არის ფრიდონი?

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი დავა და კამათია ფუტუროლოგ-პოლიტოლოგთა წრეებში.

ერთნი ფიქრობენ, რომ ფრიდონი ირაკლი ოქრუაშვილია, მეორენი ამტკიცებენ, რომ ფრიდონი არასოდეს ყოფილა ოქრუაშვილი, ის ეროსი კიწმარიშვილია, რომელიც ქაჯეთის ციხის გალავანზე ნასწავლი ილეთებით მყის გადაევლო „მაესტროს“ ოფისის გალავანს და იქიდან თანამედროვე ქაჯები აოტა.

„კონსოლიუმში“ მონაწილე ფილოლოგებს, ეტყობა, არც იმის შესახებ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ კულტურის სამინისტროს შეკვეთით უკვე იწერება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ვარიანტი სახელწოდებით „ხალხისტყაოსანი“, რომლის დაწერა დავალებული აქვს ვინმე დე-ფის, რომელიც კულტურის მინისტრის სპეციალური ბრძანებით პოეტად დაინიშნა. (ამ თანამდებობაზე დე-ფი ადრეც მუშაობდა, ოღონდ ნახევარ განაკვეთზე, შტატგარეშე პოეტის სტატუსით).

პოემას ეპიგრაფად უძღვის ფატმანხათუნის ისტორიული ფრაზა „ქადჟები კი არ მოდიან, ქადჟები მიდიან“.

მოქმედება ვითარდება გრიგოლ რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტის შენობის წინ და პარლამენტის შენობაში, აგრეთვე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე — ვოვა პუშკინის სკვერის და ლენინის (ქაჯთა ატამანის) მოედნის ჩათვლით.

დე-ფი ფიქრობს, რომ პოემის სათაური „ხალხისტყაოსანი“ ასე უნდა დაიწეროს: „ხალხის ტყ-აოსანი“, რითაც სათაური ორმაგ დატვირთვას შეიძენს — პოემის მთავარი გმირი ხალხს თან ტყ-ს უშვრება, თან ტყავს აძრობს და ამ ტყავისგან შეკერილი ჩოხა-ახალუხით დადის.

უშიშროება—საშიშროების გაერთიანებული საბჭოს გაფართოებული კონსილიუმი უახლოეს დღეებში გადაწყვეტს დაიწეროს თუ არა სათაური ამ ფორმით „ხალხის ტყ-აოსანი“.




დე-ფის აჩქარებენ, პოემა სექტემბრის თვეში უნდა დაიბეჭდოს და ხალხს „ნაცმოძრაობის“ სახელით წინასაარჩევნოდ დაურიგდეს.

აი, ეს უმნიშვნელოვანესი ამბავი გამორჩათ მაღლაფერიძის კონსლიუმში მიწვეულ ფილოლოგებს და თავად ფილოლოგ მაღლაფერიძეს.

ფილოლოგების სამეულს ერთი ციცხალი ინფორმაცია უნდა ვამცნო ექსკლუზიურად: — გადაცემის დამთავრების შემდეგ გაცეცხლებულ მეიგავარაკე წინასწარმეტყველს, იგივე ტარიელ სააკაშვილს შეუყრია კონსილიუმი და ბრძანება გაუცია: — სასწრაფოდ გაუქმდეს ფილოლოგიის ფაკულტეტები, გაუქმდეს და ხმარებიდან იქნას ამოღებული სიტყვა „ფილოლოგი“, ყველა ნაფილოლოგარი აყვანილი იქნას უმკაცრეს კონტროლზე, თითეულს მიეჩინოს მოყურიადე. 24 საათის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში ჩაწერილი იქნას და გაიშიფროს ყველა მათი სატელეფონო საუბარი.



— კი მეუბნებოდნენ, საშიში ხალხია ეს ფილოლოგებიო, მაგრამ ასეთი საშიშები თუ იყვნენ, არ მეგონა... თუ დაუყოვნებლივ არ მივიღეთ ზომები, ფილოლოგები დაღუპავენ ამ ქვეყანას... ჩემს მიერ აშენებული ქვეყანა ამათ, ამ ფილოლოგებს უნდა დავანგრევინო? ნურას უკაცრავად! ვერ მოგართვით! შაშკინ, დროებით დაანებე თავი თავდაცვას და დეკანოიძესთან ერთად ისევ თავდასხმაში გადადი... ერთ კვირაში არა, ერთი კვირა დიდი დროა, ორ დღეში ფილოლოგების სახსენებელი არ იყოს საქართველოში! არცერთი ფილოლოგი ჩვენს გვერდით! აბა, იმოქმედოთ! — უთქვამს ტარიელ სააკაშვილს, მოხტომია თავის თვითმფრინავს და ღრუბელ-ღრუბელ, მალვით, გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარებულა.

ეჰ, ფილოლოგებო, ფილოლოგებო!

ხომ ვამბობდი, არ შეიძლება ამ ფილოლოგების მიკროფონთან მიშვება, ეგენი დაგვღუპავენ და დაგვაქცევენ-მეთქი.

აგერ, თუ არ დაგვღუპეს...

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# vin arian eseni _ adgilobrivi mniSvnelobis yaCaRebis banda Tu saerTaSoriso mafiis wevrebi?

ნეტავ, სად არის ის ორგანიზაცია, სადაც ყაჩაღობის ლიცენზიას იძლევიან?

არ მითხრათ ახლა არც ორგანიზაცია არსებობს სადმე და არც ასეთი ლიცენზიაო.

თუ არ არსებობს, აბა, ვინ მისცა მაშინ ჩვენს ხელისუფლებას დღისით, მზისით ყაჩაღობის უფლება?

2003 წლიდან დღემდე ყაჩაღობს ეს ხელისუფლება და ლიცენზია რომ არ ჰქონდეს, ამდენ ხანს ვინ აყაჩაღებდა?

— თქვენი ბრალია, თქვენ აირჩიეთ და თქვენს თავს დააბრალეთ, — შემომეპასუხება მავანი.

კაცო, ჩვენ ხელისუფლებად ავირჩიეთ ეს დალოცვილები, ყაჩაღებად ხომ არა?

ესეც რომ არ იყოს, სანამ ჩვენ ავირჩევდით, მანამდე შემოგვიმტვრიეს პარლამენტის კარები, შეხტნენ და იმის შემდეგ ძირს არ ჩამოსულან.



* * *

„ბურჯის“ „ექსპროპრიაციის“ სურათები ვინც ნახა — როგორ გაჰყავდათ „ბურჯის“ კუთვნილი მანქანები ღამით, მალულად, როგორ ექცეოდნენ ბურჯის თანამშრომლებს, როგორ „იყიდა“ „ბურჯის“ ქონება რომელიღაც ახლადგამომცხვარმა ფირმამ, რომელიც ბურჯის დაყადაღების მეორე თუ მესამე დღეს დაფუძნდა, ალბათ, დამეთანხმება, რომ ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა კარგად დაგეგმილ, კარგად ორგანიზებულ ყაჩაღობას, რომლის მსგავსი „ოპერაციები“ ამ ხელისუფლებას ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან არაერთხელ ჩაუდენია.

გავიხსენოთ, „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, პირველივე დღეებიდანვე როგორ დაერივნენ „ვარდოსნები“ შევარდნაძისდროინდელ ჩინოვნიკებს, ბიზნესმენებს, განურჩევლად ყველას, ვისთანაც ფული და ქონება ეგულებოდათ.

რაც მაშინ ხდებოდა, ამას არანაირი შეხება არ ჰქონია კანონთან და სამართალთან, თუმცა პირები, რომლებიც ამ სადამსჯელო ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები იყვნენ და სახელმწიფოს სახელით მოქმედებდნენ.

„განკულაკების“ ღონისძიებებს იმჟამინდელი გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობდა, თუმცა სქემა, რომლითაც ეს ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურები მოქმედებდნენ, უფრო კრიმინალური ბანდის მიერ ცალკეული პირებისთვის ფულის შეწერის გეგმას შეესაბამებოდა, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურების ქმედებას.

სქემა ძალზე მარტივი და უბრალო იყო — პირს, რომელზეც ეჭვი ჰქონდათ, რომ დიდი ფულის პატრონი იყო, იჭერდნენ და სათანადო თანხის გადახდის შემდეგ ათავისუფლებდნენ.

ხშირ შემთხვევაში საზოგადოებისთვის უცნობი რჩებოდა, რა კონკრეტული ბრალდებებით იყო დაკავებული ესა თუ ის პირი, ან რამდენს შეადგენდა ის თანხა, რომლის გადახდასაც მას თხოვდნენ.

ზოგჯერ მიზანში ამოღებული მსხვერპლის დაკავებაც კი არ იყო საჭირო — მსხვერპლი ნებაყოფლობით მიდიოდა სათანადო ადგილას და ნებაყოფლობით იხდიდა მისთვის შეწირულ თანხას — მილიონებზე, ძალიან დიდ ფულზეა საუბარი.

დაკავებაო კი ვამბობთ, მაგრამ სინამდვილეში ამას დაკავებას ვერ ვუწოდებთ, რადგან ადამიანების დაკავება ხდებოდა ყოველგვარი პროცესუალური ნორმების გარეშე.

ფაქტობრივად, ეს იყო ადამიანების გატაცება და დატყვევება გამოსასყიდის მიღების მიზნით, რაც რომელიმე კრიმინალური დაჯგუფების, რომელიმე სინდიკატის მიერ კი არა ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ხორციელდებოდა.

მსგავსი რამ, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა.

ეს იყო გაუგონარი მასშტაბების რეკეტი, გაუგონარი მასშტაბების ძარცვა, რომლის სათავეშიც სახელმწიფო სტრუქტურები იდგნენ.

არავინ იწუხებდა თავს დაკავებულისთვის გამოძიებით დადგენილი ფაქტების საფუძველზე წაეყენებინათ ბრალდება, შემდეგ კი ამ ბრალდების მიხედვით, სათანადო პროცესების დაცვით, სასამართლოს ემსჯელა და ამის მიხედვით გამოეტანათ განაჩენი.

ბრალდებულებს პირდაპირ უსახელებდნენ ციფრს — ზოგს ერთ მილიონს, ზოგს ორს, ზოგს ხუთს, ზოგს — ათს ან ოცდაათს, თუმცა არავინ განმარტავდა, კონკრეტულად რა დანაშაულისთვის უნდა გადაეხადა „დამნაშავეს“ ვთქვათ, ათი მილიონი და არა ხუთი, — ან ოცი?

ერთმა ადვოკატმა აღიარა: — ის ადვოკატები, რომლებიც ამ საქმეებზე ვმუშაობდით, ყველანი დასაჭერები ვართ... საქმე ის არის, რომ ხშირად სწორედ ადვოკატების სახელზე ფორმდებოდა ის თანხები, რომლებიც ბრალდებულებს უნდა გადაეხადათ — ვითომ ადვოკატს შეჰქონდა ფული დასაცავი სუბიექტის დასახსნელად... მე, პირადად, რამდენიმე მსხვილი თანხა მაქვს „გადახდილი“ ჩემი კლიენტების „გამოსასყიდად“.

ვინმემ რომ მკითხოს, საიდან გქონდა შენ, ერთ ჩვეულებრივ რიგით ადვოკატს ამდენი ფულიო, რა ვუპასუხო?

თანხა სპეციალურად ამ შემთხვევებისთვის შექმნილ სპეციალურ ფონდში ირიცხებოდა, მაგრამ როგორც ის ადამიანები ირწმუნებიან, რომლებსაც უშუალოდ დაატყდათ თავს ნაცმოძრაობის რეპრესიები, ფონდში ოფიციალურად თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქსირდებოდა, დანარჩენი კი „ინკვიზიტორების“ უძირო ჯიბეებში ილექებოდა.

ასე, მაგალითად, ერთს ოცი მილიონი მიატანინეს, აქედან კი მხოლოდ სამი მილიონი გაატარეს ბუღალტრულად, დანარჩენი ჯიბეში ჩაიდეს.

მეორეს ათი მილიონი გადაახდევინეს, თუმცა ფონდში მხოლოდ მილიონნახევარი დაფიქსირდა.

მრავლად არიან ისეთებიც, რომელთა სახელებს და გვარებს სპეცფონდის სიაში საერთოდ ვერ ნახავთ. თუმცა ამ ადამიანებს სოლიდური თანხები აქვთ გადახდილი „ნაცმოძრაობის“ „ობშჩიაკის“ სასარგებლოდ.

სად მიდიოდა ეს ალურიცხავი მილიონები და როგორ ნაწილდებოდა იგი, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, არ არსებობს, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თანხებს ხელისუფლების მაღალჩინოსნები და „ნაცმოძრაობის“ ელიტა ინაწილებდა.

ხელისუფლების მიერ გაუგონარი ცინიზმით და უტიფრობით ჩადენილი ეს ყაჩაღობები საერთოდ არ გამხდარა საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის შეშფოთების ან განხილვის საგანი.

„დემოკრატიის შუქურად“ შერაცხული ახალგაზრდა ლიდერისთვის არავის უკადრებია ზედმეტი სიტყვა და არავის უთქვამს: — თქვენ „ვარდების რევოლუცია“ იმისთვის მოახდინეთ, რომ ადამიანები ლეგალურად გეძარცვათ თუ იმისთვის, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები გეშენებინათ?

არც ის უთქვამს ვინმეს საკაშვილისთვის — თქვენ პრეზიდენტი ბრძანდებით, ბატონო, თუ ბანდიტების ატამანი, ღია რეკეტს რომ ეწევითო?



არავის არ უთქვამს ეს მაშინ ისე როგორც არ უთქვამს დღეს, როდესაც „ნაცმოძრაობა“ და მისი ატამანი არნახული ცინიზმით და თავხედობით ატერორებს და აყაჩაღებს ბიძინა ივანიშვილს, კახი კალაძეს, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებს და მხარდამჭერებს.

სააკაშვილი და მისი გუნდი დღესაც ზუსტად ისე მოქმედებს, როგორც „ვარდების რევოლუციის“ პირველ წლებში.

მათ არ შეუცვლიათ ხელწერა, არ შეუცვლიათ ზნე, არ შეუცვლიათ ძარცვის ხერხები და მეთოდები.

გაირკვა, რომ ღრმად ცდებოდნენ ისინი, „ვარდოსნების“ კრიმინალურ ქმედებებს ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში ქვეყანაში შექმნილი ექსტრემალური სიტუაციით ხსნიდა და იმედოვნებდა, რომ ახალგაზრდა, ეიფორიულ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლება დროთა განმავლობაში დალვინდებოდა და გაკეთილშობილდებოდა.

როგორც ჩანს, წართმევა, წაგლეჯა, ძარცვა, ტერორი, რეკეტი მათ სისხლში უზით და ისინი მუდამ ასეთებად დარჩებიან, თუნდაც ასი წლის მოიყვარონ.

* * *

... როცა ცნობილი „ფულის ტომრები“ დაბერტყეს, წასართმევი წაართვეს, მილიონები აახიეს და გასაძარცვიც არავინ დარჩა, ქვეყანაში ცოტა ხნით სიმშვიდემ და სიჩუმემ დაისადგურა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ყაჩაღებმა ყაჩაღობაზე ხელი აიღეს და გამოსწორების გზას დაადგნენ.

დაიწყო ყაჩაღობის ახალი, უფრო კონსპირაციული და შენიღბული ეტაპი.

თუ აქამდე ყაჩაღობის სცენებს დღისით, მზისით, პირდაპირ ღია ეთერში გადასცემდნენ, ახლა ძარცვამ და რეკეტმა უფრო ღამის საათებში გადაინაცვლა და გასაიდუმლოებული სახე მიიღო.

შეძლებული და ფულიანი ადამიანების ელიტარული ნაწილის გაფცქვნა-გაყვლეფის შემდეგ იმ მოქალაქეების ჯერიც დადგა, რომლებსაც, მართალია, მილიონები არ ჰქონდათ, მაგრამ ქართული სინამდვილის კვალობაზე, მაინც, ასე თუ ისე, სერიოზული ქონება გააჩნდათ.

დაიწყო ფართომასშტაბიანი ნადირობა მაღაზიების, რესტორნების, კაფეების, მცირე საწარმოების მეპატრონეებზე, ბიზნესმენებზე.

თუ შეძლებულ ადამიანთა ელიტის დაყაჩაღებას სახელისუფლო ელიტა ხელმძღვანელობდა, „წვრილფეხობას“ ჩინოვნიკური „წვრილფეხობა“ შეესია.

დაახლოებით ისე მოხდა, როგორც ომში ხდება ხოლმე — გამარჯვების შემდეგ მთავარ ნადავლს და ავლა-დიდებას უმაღლესი ჩინები ეპატრონებიან, შემდეგ კი ქალაქს რამდენიმე დღით ჯარისკაცებს მიუგდებენ საძარცვავად და საყაჩაღოდ.

ხელისუფლებამ წვრილი თუ საშუალო ბიზნესი დასაწიოკებლად თავის ერთგულ ჯარისკაცებს მიუგდო და ისინიც გაუ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გონარი სიხარბით შეუდგნენ საქმეს.

ვინმემ აღნუსხა, ვინმემ აღწერა, ვიმემ იანგარიშა რამდენ მოქალაქეს წაართვეს ბიზნესი „რევოლუციის ჯარისკაცებმა“, რამდენს „აახიეს“ მაღაზიები, შენობა-ნაგებობები, სხვადასხვა სახის საწარმო ობიექტები, რამდენს ჩაუჯდნენ წილში, რამდენს გაუმწარეს სიცოცხლე, რამდენი დააქციეს და გააუბედურეს პაგონიანმა და უპაგონო ყაჩაღებმა სახელმწიფო სტრუქტურებიდან?



ათიათასობით ადამიანი დააყაჩაღეს „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე, თუმცა დამყაჩაღებლებისთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

თუ დადგა ის დრო, როცა ქვეყანაში კანონიერება და სამართალი აღსდგება და სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი ძალადობის, ძარცვის, უკანონობის და უსამართლობის ყველა ფაქტი სათანადოდ იქნება შესწავლილი და გამოძიებული, მერწმუნეთ, თქვენს წინაშე შოკისმომგვრელი, შემაძრწუნებელი სურათი გადაიშლება, რომელსაც თავისი არნახულად დიდი მასშტაბებით მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.



* * *

ამ წერილში არაფერი გვითქვამს იმ ცნობილ ყაჩაღობებზე, რომლებიც ბადრი პატარკაციშვილის და ქიბარ ხალვაშის მიმართ განხორციელდა.

ამ ფაქტებს ყაჩაღობას ვერ ვუწოდებ, ეს არის კარგად ორგანიზებული და კარგად დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის მსგავსი მოქმედებები, რომლებშიც სახელმწიფოს ჩართული ჰყავდა შეიარაღებული რაზმები, ზონდერები, ჯიბის „პროკურორები“, ჯიბის „მოსამართლეები“, რომლებიც ხელისუფლებად წოდებული კრიმინალური ბანდის ინტერესებს ემსახურებიან და არა კანონიერების დაცვას და აღსრულებას.

ამ წერილში არაფერი გვითქვამს ბოლო ხანებში ბიძინა ივანიშვილის, კახი კალაძის, კოალიცია „ქართული ოცნების“ და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ მიმართულ ფინანსურ რეპრესიებზე და ტერორზე.

არაფერი გვითქვამს, აგრეთვე, ხელისუფლების მიერ ქართული სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ არაერთ ეკონომიკურ დანაშაულზე, როცა სხვისდება და იყიდება სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, სხვისდება და იყიდება წიაღისეული სიმდიდრეები, სხვისდება და იყიდება მიწა, ტყე, წყალი და ა.შ. საიდანაც, როგორც ამბობენ, ხელისუფლებას უზარმაზარი სარგებელი რჩება.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, სრულიად სამართლიანია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ამ ქვეყანას ყაჩაღების, ბანდიტების, ავაზაკების ხროვა მართავს.

თუ ეს ასეა, მაშინ ისიც უპრიანია ვიკითხოთ: — ვინ უმაგრებს ზურგს ამ კრიმინალთა ბანდას საერთაშორისო ასპარეზზე, რა ძალები მფარველობენ მათ და რის საფასურად და საზღაურად?

ადგილობრივი მნიშვნელობის ყაჩაღების ბანდაა ეს თუ საერთაშორისო, ტრანსკონტინენტალური სინდიკატის ქართული ფილიალი.



თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ საქართველო დღეს ნახევრადკოლონიური ქვეყანაა, შეიძლება ვიფიქროთ, ამ მართლაც დანაშაულებრივი და კრიმინალური ხელისუფლების ბოსები სწორედაც რომ საქართველოს საზღვრებს გარეთ იმყოფებიან და იქიდან მფარველობენ და პატრონობენ თავიანთი სინდიკატის წევრებს.

სხვანაირად რომ იყოს, ესენი აქ ამდენ ხანს ასე დაუსჯელად ვერ იპარპაშებდნენ...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# saakaSvilis `didgori~ da `urjuloebi~



დიდგორის ველზე მთავარსარდალმა მიხეილმა ნაციონალური ლაშქარი შეჰყარა და ველზე შესასვლელი ყველა გზის ჩახერგვა ბრძანა:

— არც ერთი არ შემოუშვათ, გადაკეტეთ ყველა გზა, ყველა ბილიკი და ამ ურჯულოებს ცხვირი არ შემოაყოფინოთ აქო.

ბრძანება მყისვე შესრულდა და „ქართული ოცნების“ და „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლები დიდგორობის დღესასწაულზე არ შეუშვეს.



— ქართველები ვართ ჩვენც და დიდგორობა ჩვენც გვინდა ვიზეიმოთო, — აპროტესტებდნენ ისინი, მაგრამ ამაოდ.

ეჰ, ვერაფერს ვერ მიმხვდარხართ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, მიხეილისთვის ის კი არ არის მთავარი, ვინ ქართველია და ვინ არა, არამედ ის, მხარს უჭერ თუ არა მას და მის გუნდს.

მხარს თუ არ უჭერ და მიშა!-მიშას თუ არ გაჰყვირი, მისთვის ურჯულოც ხარ და გადამთიელიც.

თურქ-სელჩუკები ჰგონიხართ თქვენ, მაგას, ან მონღოლთა ურდოები, არ გესმოდათ, როგორი ხაფი ხმით აზანზარებდა იქაურობას — ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთო?

არჩევნებისთვის კი არა, მგონი, ომისთვის ემზადება ეს კაცი და არ გაგიკვირდეთ, თითო საარჩევნო ყუთთან თითო აბჯარასხმული და ხმალმომარჯვებული „ნაცელი“ მეომარი დაგვხვდეთ — არ შემოხაზავ ხუთიანს და ეგრევე თავს წაგაგდებინებთ...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# facebook

# xalxis azriT

მიშა, შენი არ ვიცი, მაგრამ არც მე ვაპირებ შეგარჩინო მოწამლული და ნაცემი თბილისელების ჯავრი, 26 მაისს დახოცილი ხალხის გვამებზე ჩატარებული აღლუმი, არც გალატაკებული, ვალებით და ჯარიმებით წელმოწყვეტილი ქართველების ჯავრს შევჭამთ! ციხეში ნაწამები და დახოცილი ბიჭების ჯავრსაც ცხვირიდან გადენთ! ამ ბიჭების სიცოცხლეც შენს კისერზეა. ესენი სამშობლოს არ იცავდნენ, შენ მათ შენი საკუთარი პოსტის შესანარჩუნებლად აგზავნიდი.... მე არ გადმოვყრი ნიანგის ცრემლებს, მაგრამ შენ რომ პასუხი აგო, მაგისთვის ვიბრძოლებ!... საქართველო შენ 1 ოქტომბერს კიდევ ერთხელ გეტყვის არას და გაქცევაზე არც იფიქრო!!!

ვფიქრობ და მართლა ვერ გამიგია იმათი ვინც 8 წლის უკან იბრძოდა შევარდნაძისა და აბაშიძის გადასაყენებლად . რატომ უჭერენ დღეს მხარს მიშას? ჩვენ ხომ თავისუფლებისა და დემოკრატიის უფრო მეტი ხარისხი გვინდოდა, გვინდოდა სამართლებრივი სახელმწიფო და მივოღეთ ავტოკრატიისა და ტირანიის უფრო მეტი ხარისხი ახალგაზრდა ნიჭიერი მმართველის ნაცვლად ნახევრად შეშლელი კოსმოპოლიტი და მაინც მოგვწონს??ე.ი. თქვენ არც სამშობლო არც სახელნწიფო არ განაღვლებთ ! თქვენ ზოგს საკუთარი სტომაქის სისავსე და დანარჩენსაც სულის ა და გონების სისუსტით გამოწვეილი სიმხდალე ანღვლებს და ალაპარაკებს და თუ ეს ესეა მე ჩემი საქართველოს ჩემი შვილების და მომავლის სახელით ვერ მოგცემთ უფლებას გადაწყვიტოთ ქვეყნის ბედი !!!!

ვიღაცას შემოხაზვას ავალებენ, ვიღაცას დუბინკის ჩარტყმას, ვიღაცას უკანა ფეხებზე დგომას, ვიღაცას გადაგდებული ჯოხის ან ბურთის მოტანას, ვიღაცას უქსევენ.... ოღონდ მაგ შემთხვევაში ვიღაცეები აღარ არიან, რაღაცეები არიან, რადგან ღმერთისაგან მინიჭებულ თავისუფალი ნების უფლებას თმობენ: ლუკმის ფასად, ფულის ფასად, ბლატნოი ნომრიანი ტელეფონის ფასად, სახლში ესპანური კაფელის ფასად....

აგვისტოს ომში დაღუპულებს პატივს მივაგებთ, ძალიანაც კარგი... მაგრამ რა დააშავეს აფხაზეთში დაღუპულებმა? რა დააშავეს იმათ ვინც სამაჩაბლოში დაიღუპა გასული საუკუნის 90-იან წლებში? დავიჯერო ისინი ბანგლადეშისთვის დაიღუპნენ? ისინიც ჩვენი ქვეყნისთვის დაიღუპნენ. ისინიც სამშობლოს იცავდნენ. შიშველი ხელებით იცავდნენ სამშობლოს.... არ შიძლება ხალხის დაყოფა. ხოლო სამშობლოსთვის დაღუპულების დაყოფა დიდი უზნეობაა.

რატომ ემზადებიან ასე ზუგდიდში? სხვა ქალაქებში “მღელვარების” მოლოდინი რატომ არ ქონდათ?! იქნებ სწორედ იმიტომაც ელიან, რომ ამ მღელვარების პროვოცირებაც არის დღის წესრიგში? თუ ასეა, მაშინ ეს ყველაზე დიდი შეცდომაა, რაც კი ხელისუფლებას აქამდე ქონია. ეს დასასრულის დასაწყისი იქნება!



# საჩხერეში ჩინელ „როსტომ წერეთელს" მაღაზია უყიდია, მალე შვილი უნდა შეეძინოს თურმე და აკაკი უნდა დავარქვაო, იძახის...

*ინტერვიუ ბატონ*
***რეზო ამაშუკელთან.***

**— ბატონო რეზო, ამას წინათ დავით ბაქრაძემ განაცხადა და ეს, პრინციპში, ნაციონალური იდეოლოგიის ნაწილიცაა, რომ ქართველმა ხალხმა თავისუფლების გემო და ფასი ბოლო 8 წლის განმავლობაში გაიგო, როცა ახალი ხელისუფლების მიერ უფრო ფართოდ გაიღო ფანჯრები ევროპისკენო.**

— დიახ, ზოგიერთმა ქართველმა ამ ბოლო ხანებში გაიგო, როგორ დააგირავოს უკანალი, როგორ გათხოვდეს კაცი კაცზე და ქალი ქალზე. ამერიკელები და ევროპელები მასწავლიან მე თავისუფლებას, როცა ძაღლებთან ქორწინების უფლება აქვთ?! ამერიკაც აღარაა ის, რაც ადრე იყო, ნურავინ მასწავლის მე ამერიკას. თავი დაანებონ ამით ბრავირებას. ბაქრაძეს კიდევ ის ურჩევნია, სარკეში ჩაიხედოს, არარაობიდან მოთრეული არარაობა რომ არის. ბოკერია რომ იმართლებს თავს, დავბრუნდი საქართველოშიო, ვის რაში სჭირდება ეგ და მისნაირები, წითელი ხიდიდან გარბოდნენ ომის დროს და გაიტანეს ნახევარი საქართველო. ახლაც ნელ-ნელა გააქვთ თურმე, მომდის ამბები ამის შესახებ. რაც ამათ არ მიაქვთ, ტეფტმა და სხვებმა წაიღეს საჩუქრად — ძვირფასი ქართული ხალიჩები და ათასი ძვირფასი რამე.

**— რამდენიმე დღის წინ პუტინმა თქვა, რომ რუსეთის მხარე კარგა ხანი ამზადებდა გეგმას, საჭიროების შემთხვევაში, წინააღმდეგობა რომ გაეწია. მთავრობამ ამის მოსმენის შემდეგ ერთი ჟივილ-ხივილი ატეხა: აი, ხომ ხედავთ, აღიარა რუსეთმა ის, რომ ომი ცხინვალში მისი დაწყებულია.**

— მე არასდროს მითქვამს, რომ ომი ცხინვალში საქართველომ დაიწყო და ამას არასდროს ვიტყვი, რადგან ომი საქართველომ კი არა სააკაშვილმა დაიწყო ცხინვალში. დღესაც ვამბობ და სანამ პირში სული მიდგას, ყოველთვის ვიტყვი, რომ ეს ასეა, იმიტომ, რომ მე ვიჯექი ტელევიზორთან და თვითონ ვუყურებდი, ეს იდიოტი, ეს კურდღელი, კურდღლის ცრემლებით რომ ტირის ხოლმე, ყოველ ნახევარ საათში რომ გამოდიოდა და ამბობდა: ავიღეთ ეს, ავიღეთ ის, ვითომ მაკნამარა მყავდეს, ან ალექსანდრე მაკედონელი.

**ფოთში გამოსულა და, არ დაიჩოქა დავით აღმაშენებელმა, არ დაიჩოქა გორგასალმაო, მეტი რა დაჩოქება უნდა, მთელი მსოფლიოს წინაშე თავი მოგვჭრა. კიდევ კარგი, რომ იცის ყველამ, ქართველი ამას არ იზამდა, რაც ამან გააკეთა — ცხვირით მოხნა ასფალტი და მერე იმაზე დაიწყო ლაპარაკი — ღირსება დავიბრუნოთო. მაგის ხელში როგორ შეიძლება საქართველომ ღირსება დაიბრუნოს.**

ხომ ხედავთ, რისთვის მოვიდნენ? თავიდან ბოლომდე სპობენ ყველაფერ ქართულს. ახლახან ხატების გატანასთან დაკავშირებით რაც მოხდა, ყველამ ვიცით. აწყურისა და ზარზმის ღვთისმშობლის ხატების მუზეუმიდან გატანას მუზეუმის თანამშრომელი ქალბატონი და ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი გაუწვნენ მუზეუმის კარებთან. ამ წინააღმდეგობის შემდეგ, მერაბიშვილის ბრძანებით, იმ დღეს ეს გადაწყვეტილება შეჩერდა. მაგრამ არავინ იცის შემდგომში რა მოხდა.

7 აგვისტოს თბილისიდან ახალციხის რაბათის მუზეუმში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან ახალციხეში შანსონიე შარლ აზნავურის დასახვედრად დაგეგმილი ღონისძიებისთვის სუჯუკთან, ბასტურმასა და სომხურ კონიაკებთან ერთად უკვე გატანილია ბექა ოპიზრის მოჭედილი „წყაროსთავი", აღბუღას „სამართლის წიგნი" და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი". მთავარ მასპინძელს, ამ წამლით თავგასიებულ მიშას მისხალი მუსიკალური სმენა არ გააჩნია და სინკოპეს გრძნობა ხომ ღმერთმა არ დაანათლა, ამიტომ მარტო ამ მართლაც გამოჩენილი მომღერლის სახეზე საყურებლად თუ ჩავიდოდა ახალციხეში.

ექსპონატების გატანის ფაქტი, როგორც მე ვიცი, ამ ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ დაადასტურა. „დასტური" მერე ნახეთ, ამ სიწმინდეებს თუ რამე შეემთხვათ. შეემთხვათ-მეთქი, ვამბობ, თორემ, ისე, ვითომ, არც არაფერი გაუტანიათ ამ სატანებს და არც არაფერი დაკარგულა აქამდე საერთოდ.



სიტყვამ მოიტანა და, ზუსტად ვიცი, ზოგიერთებს პირდაპირ სახლში მოჰქონდათ ძვირფასი ნახატების ორიგინალები, მაგრამ ამით ჯერ არავინ დაინტერესებულა იმიტომ, რომ, მე ვიტყოდი, ეს ელემენტარული ქურდები მიშას ფეხის მლოკავები არიან. ბატონი კუდავა ამტკიცებს და ირწმუნება, რომ „წყაროსთვის" ტრანსპორტირება შესაძლებელია. მე კი აქედანვე ვეუბნები, რომ ეს არაფრით არ შეიძლება და რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულია. ერის გენოციდის ეს სულიერი შემოქმედები, რომლებიც თანმიმდევრულად სპობენ ყოველივე ქართულს პირისაგან მიწისა, კიდევ ბედავენ, რომ ამ ტანსაცმლიან გიჟს და საქართველოს დაუძინებელ მტერს — გარეკილ I კვლავ შეუნარჩუნონ აყროლებული ტახტი. რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ საბოლოოდ ამოგვძირკვონ და ამოგვაგდონ.

რატომ უნდა მივიღოთ ჩვენ სირიიდან გამოქცეული სომხები? იცით, თქვენ, არის ამაზე ლაპარაკი. იმიტომ უნდათ ამის გაკეთება, რომ საქართველო გაანადგურონ!

ჩემი ქალიშვილი იყო ამას წინათ ხარაგაულში. ჩინელებს მიაქვს იქაურობა. ხარაგაულის ტყეები სულ მაგათ ხელშია. თანაც სწრაფად მრავლდებიან. ხელისუფლება ცდილობს ათქვიფოს ესენი ადგილობრივ მოსახლეობაში. გადაგვარება უნდათ ჩვენი.

თქვენი პატრონის დედაც, რატომ უნდა იყოს საქართველოში შაშკინი თავდაცვის მინისტრი, კაცი გამოილია ამ ქვეყანაში?!

კეჟერა ფხალი გამიგონია, მაგრამ კეზერაშვილი მინისტრი, რა უბედურებაა?!

მილიარდერია, ბატონებო, თქვენი მიშიკო. ბიძინა ივანიშვილი მაგასთან საშუალო ხელფასის მქონესავითაა. შეუძლებელი და წარმოუდგენელია ესენი არჩევნებით წავიდნენ აქედან.

**— მაგრამ შეუძლებელია და პირდაპირ მომაკვდინებელი სახელმწიფოსთვის კიდევ ერთი სისხლისღვრა, კიდევ ერთი რევოლუცია.**

— მეც კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იარაღით საქმის გაკეთების. მე იმას ვამბობ, რომ

**ერი შეიკრიბოს და დაუმორჩილებლობა გამოვაცხადოთ. ყოველგვარი იარაღის, ტყვიის და ასეთი რამეების გარეშე გამოვიდეთ გარეთ და ჩუმად დავდგეთ. არ ჯობია ერთხელ დავიხოცოთ, ვიდრე ამას ვუყუროთ მთელი ცხოვრება?**

ესენი ჩვენ დაგვცინდობენ, როცა შევარდნაძე „შეჭამეს", როგორც მგელი ტოტია ახალგაზრდა მგლებმა? რა ექნა შევარდნაძეს? ამბობს დღეს ვინმე იმას, როგორ გააგდო მან მაილსი კაბინეტიდან? რაზეც შევარდნაძემ ხელი არ მოაწერა, ყველაფერი გააკეთეს ამათ. კიდევ ვიმეორებ, ესენი ყველაფერზე ხელის მომწერნი არიან. თვალებში ჩახედეთ, ხალხო, იმას, ჩიორა, ჩიტო-გვრიტო რომ არის თუ ბოლოქანქარა; რომ ლაპარაკობდა, რამდენიმეჯერ გაისრიალა მის თვალებში გველმა. კარგად დააკვირდით, მე არ მეშლება ასეთი რამეები. ათასნაირი ხრიკები აქვთ ამათ მოფიქრებული ჩვენს წინააღმდეგ. ეს გოგორიშვილი რომ არის, ეს ქურდი, ხმების ქურდი, ისეთ რამეებს გეგმავს თურმე, რომ წინასწარ იციან, რა მოხდება არჩევნებში. მომდის ხმები, ვიცი ყველაფერი მაგათი ვერაგობის შესახებ.

ანდა რანაირად შეიძლება ადამიანმა გულგრილად უყუროს ჰალსტუხიან ხვლიკს, ჭიათურაში რომ ჩაძვრა. ჯერ იყო და, ხბორებს დიდი შპრიცით უკეთებდა ნემსებს, მერე ყველი ამოჰყავდა, ხან თაფლი ამოიღო, ხან ავტობუსის საჭესთან იჯდა, თუმცა არ ჩანდა, მის წაწვრილებულ ცხვირს ვხედავდით მხოლოდ. შემდეგ შახტში ჩაძვრა.

**დაადგით ფეხი, ქართველებო, ამ ხვლიკს წვეტიან კუდზე, თორემ, შეიძლება, ისეთი დიდი გველი მივიღოთ, სანატრელი გაგვიხდეს დანარჩენი სხვა. ამ ბოლოს ჰალსტუხი მოიხსნა, რადგან მთელი საქართველო „ჰალსტუკიან ხვლიკს" ეძახის, მაგრამ როგორც კი მო-**



**იხსნა, „უგალსტუკო შადიმანი“ გახდა. რა ქნას სააკაშვილის მოწუწნულმა კანფეტმა — პრეზიდენტობა ესიზმრება.**

წარმოიდგინეთ, ეს ქუსლებზე შემხტარი ხვლიკი კონსტიტუციაზე და ბიბლიაზე ხელდადებული ფიცს რომ დებს საქართველოს წინაშე. აქამდე მიიყვანეს საქართველო. ვაი, ჩვენს მოსწრებას, ამაზე ფიქრიც კი რომ შეუძლია ამ თახსირს და მოღალატეს.

მე გაგაფრთხილეთ, ქართველებო. დაფიქრდით და ისე ნუ იზამთ, რომ მერე ჩემი სიტყვების გახსენებისას სიმწრის ოფლმა დაგასხათ.

კიდევ, კაციტაძეს ვურჩევ, ხელების ქნევას თავი დაანებოს, ჭკუას ნუ გვარიგებს, ვის რა გამოადგება, თორემ მალე დადგება ის დრო, რომ „გამოსადეგს“ მალე ვნახავთ მის საქციელში.

ეს აუდიტია თუ რა ოხრობაა, ხალხმა უკვე ყადაღისტანი დაარქვა ჩვენს ქვეყანას. მოგელაძის ქალბატონი, ქალთა კოლონიის ზედამხედველს რომ ჰგავს, არ ფიქრობს, ხვალ და ზეგ რა შეიძლება მოელოდეს?

„კახელების საკეთილდღეოდ“ გადამდგარი ბეჟაშვილი რომ იბრახუნებს გულზე ხელს — კახელებს უნდა დავეხმაროო, გაირკვევა მალე, რა ბინძურ საქმეებშიც ურევია. მაგის ადგილას კი ჩვენმა ბრძენმა და ქვეყნის გადამრჩენმა ისევ თავისი ხელის ბიჭი, ზღვის გოჭი ლაშა თორდია დანიშნა. თანამდებობრივ კარუსელებზე ამდენ ბზრიალში გული არ ერევათ ამ უბედურებს?

**ეჭვი მაქვს, რომ ფულის მაგივრად ქოლგები დაურიგოს მიშამ კახელებს, იმიტომ, რომ ესენი არც ივანიშვილის ფულის და არც საკუთარი მილიარდების გადამხდელები არ არიან ხალხის საკეთილდღეოდ. ესენი არიან ღორები და ამ ღორების კოლტს დრო მალე გადაჩეხავს უფსკრულში.**

**— საარჩევნო პროცესი ძალაში შედის.**

— ძალაში შედის კი არა, ახლა არის პიკი და მე კატეგორიულად გამოვრიცხავ დასავლეთის ობიექტურ დამოკიდებულებას აქ ჩატარებული არჩევნების მიმართ. თუ ივანიშვილმა გაიმარჯვა, მაშინაც გამორიცხავთო, მკითხავენ. დასავლეთი არ დაუშვებს საქართველომ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ ნაბიჯი გადადგას. მე ვამბობ, რომ არ უნდა ვიყოთ დასავლეთის ობიექტურობის იმედზე.

თქვენი გაზეთის საშუალებით, დაჩოქილი ვთხოვ ბატონ ბიძინა ივანიშვილსა და ნამდვილ პოლიტიკოსებს — მოითხოვეთ ლუსტრაციის კანონი, რათა ბოლოს და ბოლოს გაირკვეს, ვინ ვინ არის და საბოლოო ჯამში, დადგეს იმ ვაიჟურნალისტების პასუხისმგებლობის საკითხიც, ვინც შინაგანი პრასტიტუტკობით უფრო არიან ცნობილნი, ვიდრე პროფესიონალიზმით. ტელევიზორის ყუთმა, რომლის გარეშეც ესენი არაფერს წარმოადგენენ, წაართვა საქართველოს მომავალი და დაღუპა ქართველი ახალგაზრდობა.

ტოტალური მოსმენებით დაზაფრეს მოსახლეობა, დიდი და პატარა. სათვალთვალო კამერები მაგათ დაუყენონ თავიანთ ცოლებს ლაჯებში. როგორც ვიცი, თითოეულ მათგანს 3-3000 კმ აქვთ „გავლილი“ და საჭიროების დროს ჩამოყრიან ხოლმე სპიდომეტრებს. ამიტომ სამშობლოზე ლაპარაკს თავი დაანებონ. ესენი კაცები არ არიან.

**ახლა ამბობენ, მომავალ პარლამენტში ნაციონალებიც იქნებიან, ისინი, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენიაო, დამისახელეთ ერთი ნაციონალი, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია, უბრალო პარტიულების გარდა, რომლებიც, აქეთ-იქით დაჰყავთ და მიშა-მიშას აჯღავლებენ.**

თუ ესენი კიდევ დარჩნენ ხელისუფლებაში, ეს იქნება დიდი შეთქმულება ამ პატარა სახელმწიფოს წინაშე და ბრალი დაედება ამერიკას, ევროპას, რუსეთს... ჩვენ კუნძული ვართ, კიდევ ვიმეორებ, კუნ-ძუ-ლი და გვებრძვიან, რომ საბოლოოდ მოსპონ ქართველი ერი.



**— ნაციონალები და მათი მომხრე ლიბერალები, ბატონო რეზო, ჩამორჩენილი აზროვნების, რეგრესის მიმდევრებს და რეტროგრადებს გვიწოდებენ...**

— თქვენ იცით, რა საშიშროების წინაშე ვარ მე? ოჯახით ვიბრძვი. იცის საზოგადოებამ ამის შესახებ. შორენა ბეგაშვილი და დუტა სხირტლაძე არის დღეს ქართველი ერის სახე და

**მინდა ქართველებს შევახსენო: პარიზში კოლაბორაციონისტებს და ბოზებს, გერმანელ ნაცისტებთან შეკრულებს როგორ დაერია ბოლოს მთელი პარიზი. მე ამის მომხრე არა ვარ, ცხადია, მაგრამ არც იმის მომხრე ვარ, ყველაფერი ვაპატიოთ ამათ... გუშინწინ (08.08. 2012. — ი.კ.) მე პატრიარქმა სიკვდილს გადამარჩინა. ჯერჯერობით სხვა არაფერი არ მკითხოთ.**

**— სად იყავით? რა მოხდა?**

— მასთან ვიყავი, მაგრამ ნუ მეკითხებით. **პატრიარქმა სიკვდილს გადამარჩინა!...** როცა საჭირო იქნება, მე თვითონ გეტყვით თქვენ. გპირდებით ამას.

სანამ პირში სული მიდგას, დედას ვუტირებ ლიბერასტებს, რომლებიც ებრძვიან საქართველოს, პატრიარქს, ეკლესიას... ლიბერასტები მიტევენ, ვიცი, მაგრამ ეს მაძლევს ძალას. მაგათნაირებთან ომი მშია, რადგან ესენი არიან ყველაზე მეტად დაკომპლექსებული, საცოდავი ხალხი.

გურგენა დონაძე რომ არის „რეალ-ტვ“-ის შეფი, ჩემი თვალით მყავს ნანახი მძივებით რომ გამოდანდალდა პოდიუმზე. ეჭვი მაქვს, რომ მაგას ახველებს. ხველებაზე გამახსენდა, „ჩვენი“ ნოდალიკო მელაძე რომ არის „იმედზე“, მაგასაც მაგრად უნდა ახველებდეს.

**ახლა ერთი რამ მინდა განვაცხადო. გამიგონია, ყოველი გონიერი კაცი სიკვდილზე უნდა ფიქრობდესო. ბოლო ხანებში ხშირად ვფიქრობ მეც. ანდერძი უკვე დავწერე — არ მსურს დიდუბეში დამასაფლავონ. სპეციალურად არიეს იქ ერთმანეთში კარგი და ცუდი. ანდერძზე ვლაპარაკობდი — მინდა დამასაფლაონ ვაკეში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის პატარა ეზოში. არ მაქვს სხვა პრეტენზია. ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ და არა მგონია, ამ არჩევნების შემდეგ, თუ ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩა, თავი ვიცოცხლო და დაბეჩავებულ ქვეყანას ჩუმად ვუყურო.**

**ირანდა კალანდაძე**

**P.S.** ინტერვიუ უკვე დაწერილი მქონდა, როცა ბატონმა რეზომ დამირეკა: ერთი აღმაშფოთებელი ამბავი გავიგე, რამაც მოსვენება დამიკარგა და გთხოვ, ესეც ჩაამატე, ქართველმა ხალხმა იცოდეს რა უბედურ დღეშიც ვართო. „გვარის გადაკეთება აღარ მიკვირს, მთელი პარლამენტი გვარგადაკეთებულია, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია. მითხრეს — საჩხერეში მაღაზია გაუხსნია ჩინელს, რომლის სახელი და გვარი, არც მეტი-არც ნაკლები, როსტომ წერეთელი ყოფილა. რამდენად მართალია, არ ვიცი, მაგრამ ცოლი ორსულად ჰყოლია და შეიძლება აკაკი წერეთელი დაიბადოს.

და კიდევ, მიხეილ სააკაშვილის გასაგონად ვამბობ: — ნუ ღრიალებს გასიებული ლაყუჩებით, თორემ დადგება მაგის განკითხვის დღეც. მაგის დღესასწაული სუფსარქისობაა და დიდგორობა ჩვენ, ქართველებს დაგვანებოს!“




# xa l xis az r iT

ვარდი ხო გაგვიბანძეთ ნაცებმა, ახლა ყაყაჩოს მიადექით?

რამხელა ტყუილი დააბრეხვა მიშამ - „ომის დროს ღრუბლებს ამოფარებული ფოთში ჩავფრინდი და იქიდან ღია ეთერით მივმართე საქართველოსო’’. არადა ეს ის დრო იყო როცა გოროზია მძღოლად მუშაობდა ბორისოვთან. არ მესმის რატომ ვერ ვიყენებთ ასეთ სატოპკეებს, რომლებსაც ყოველდღიურად გვიწევს ეს დაპანიკებული მხედართმთავარი.

კომპეტენტური განმარტება მჭირდება,როგორ შეიძლება თვითმფრინავი ღრუბლებს ეფარებოდეს, როცა ცა რუსული თვითმფრინავებითაა სავსე. და მეორე,ომის დროს დოკუმენტურ ფილმს რომ იღებდა პრეზიდენტი საკუთარ თავზე,ეს ფაქტი ფილმში რატომ არ მოხვდა და ოთხი წელი ამ გმირობის ამბავს რატომ გვიმალავდნენ?

როგორც ირკვევა ყველანაირი გამოკითხვით ხალხი მასიურად მივა არჩევნებზე, შემდეგ კი გამარჯვებისთვის და შედეგის დასადებად საჭირო იქნება რაც შეიძლება პატიოსანი, პრინციპული, მოუსყიდავი და მებრძოლი კომისიის წევრები რომ საბოლოოდ გაფორმდეს გამარჯვება!!!! გაითვალისწინეთ ოპოზიციონერებო!!!!!

ცა გადაკეტილი იყო, პრობკები, პრობკები... გარშემო რუსული ბომბდამშენები დაფრინავდნენ და მე მეძებდნენ... მე კი ღრუბლებს ვეფარებოდი, ხანაც ზღვაში ჩავყვინთავდი და ასე მალვა–მალვით ჩავფრინდ–ჩავცურ–ჩავირბინე ფოთში.... რას ვხედავ !!! ერთ პოლიციელს 54–ე არმია ჰყავს გაჩერებული და რუს გენერალს უყვირის – უკან დაიხიეთ თორემ გესვრიო... სად იყო და ფოთელი ნაციონალებიც გამოცვივდნენ და რუსებს ქვები დაუშინეს, ატყდა ერთი ვაი უშველებელი... ამ ამბავს პირველად ვყვები თქვენთან, აი, იმ დღის გმირიც აქ არის – უშიშარმა ჟურნალისტმა ალისტრახომ ეს ყველაფერი ფირზე აღბეჭდა.....

რას უშვება კაცს ჰელმონდის პროვინციის პლანი ხედაავთ !!!

ვისაც გინდათ ისეთ აყვავებულ ქვეყანაში იცხოვროთ, როგორსაც ’’რუსთავი2’’ და ’’იმედი’’ უჩვენებს, ხმა მიეცით ბიძინა ივანიშვილს და ’’ქართულ ოცნებას’’! ხოლო ვისაც გინდათ, ისეთ გაუბედურებულ და უსამართლო ქვეყანაში დარჩეთ, როგორსაც ’’მაესტროზე’’ და ’’მე-9 არხზე’’ უყურებთ, დარჩით მიხეილ სააკაშვილის და ნაცმოძრაობის ერთგულები!

ძალიან აეწვათ ნაცებს აგვისტოს ომის თემა. და იცით რატომ? იმიტომ რომ სიმართლეს მალავენ, იმიტომ რომ ემზადებოდნენ და უნდოდათ ომი, იქეთ პუტინს უნდოდა და აქეთ ამათ. მერე, როცა ბლიცკრიგი ჩაიშალა, მერე დაიწყეს მოთქმა – ოკუპანტები გვერევა, დასავლეთო რატომ არ გვეხმარებიო...დავით აღმაშენებლობა მოუნდა მიშას, შედეგად კი მიწები დაკარგა, ხალხი დახოცა... შენს მიერ დაკარგულს შენვე დააბრუნებ თუ მომავალ თაობებს გადაულოცავ, ისევე როგორც ვალები გადაულოცე?



*გვესაუბრება ფილოსოფოსი გოჩა მსხილაძე:*

# Cven gvyavs hermafroditi xelisufleba, romelic arc kacia, arc qali, Sesabamisad, kacicaa da qalic, anu araferi ar aris



**— გოჩა ხელისუფლება ყოველგვარ ზღვარს გადავიდა, უკანონოდ ადამიანების ქონებების დაყადაღების სერია გრძელდება. საზოგადოებამ ადეკვატური პასუხი არ უნდა მოითხოვოს ამ ქმედებებზე?**

— დაყადაღებას, სხვის ჯიბეში ხელისუფლების ხელის ფათურის აღვირახსნილ პოლიტიკას მრავალი წახნაგი აქვს. ერთერთი მათგანია სამართლებრივი წახნაგი, რაც ხელისუფლების მხრიდან კანონთან დამოკიდებულებას გულისხმობს, მეორეა — ხელისუფლების მორალურ-ზნეობრივი სახე, რომელსაც ფარდა, ნიღაბი ახდილი აქვს, მესამეა — ამ ქმედებების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება. საზოგადოება პროტესტს კი გამოხატავს, მაგრამ ამ აღვირახსნილი პოლიტიკური შანტაჟის მიმართ მაინც ლოიალურია. მივყვეთ სათითაოდ სამივე პუნქტს. საერთოდ, ჩვენისთანა ჰერმაფროდიტი ტიპის ხელისუფლებისთვის, რომელიც არც დიქტატორია, არც დემოკრატი, არც ზნეობრივია, არც უზნეო, არც კარგია, არც ცუდი, არც ჭკვიანი, არც სულელი — დამახასიათებელია კანონისადმი ვოლუნტარისტული დამოკიდებულება. ჩვენთან კანონი ბრძოლის, შანტაჟის, პოლიტიკური მოწინააღმდეგის ჩაქოლვის, განადგურების იარაღადაა ქცეული. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი კანონის სახელით კეთდება და ეს საზოგადოებას, როგორც კანონის აღსრულება, ისე მიეწოდება, რასაც სამართალთან არავითარი კავშირი არ აქვს. უფრო მეტიც, ხელსუფლება მუდმივად იქნება ამ რეჟიმში, სანამ საზოგადოებას არ გვეცოდინება რა არის სახელმწიფო. ჩვენ ვართ ეთნოსი, მაგრამ არ ვართ ერი.

**— და მითუმეტეს არ ვართ ჯანსაღი ერი.**

— დიახ. გრაფი კავურიმ, რომელმაც მე-19 საუკუნეში იტალია გააერთიანა, თქვა — „ჩვენ შევქმენით იტალია, როგორც სახელმწიფო, ახლა უნდა შევქმნათ იტალიელი“. ჩვენ გვაქვს სახელმწიფო, მაგრამ არ გვყავს ქართველი ერი. ჩვენ არ ვართ ერი, როგორც ასეთი. იმიტომ, რომ ნებისმიერი ერი განისაზღვრება იმით, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ინდივიდებს სახელმწიფოს მიმართ. მთელი უბედურება ისაა, რომ ვერ გაგვიაზრებია სახელმწიფო იმიტომ, რომ არ ვიცით რა მოვთხოვოთ ხელისუფალთ. რაც მას იძულებულს გახდიდა ხალხის მოთხოვნების ადეკვატური ყოფილიყო.

ბიძინა ივანიშვილის მიმართ განხორციელებული არაერთი ძალადობრივი ფაქტის მიუხედავად, საზოგადოება ამ ყველაფრის მიმართ ყრუა, მას ეს არ აწუხებს. იმიტომ, რომ მას არ აქვს სოლიდარობის განცდა. იგი ვერ იაზრებს, რომ როდესაც ერთს ართმევენ, მერე შენთანაც მოვლენ წასართმევად. ისეთი ფსიქოტიპისთვის, როგორიც სააკაშვილია, მნიშვნელობა არ აქვს ბევრი აქვს ადამიანს წასართმევი, თუ ცოტა, მთავარია წაგართვას. და როცა მოინდომებს. წაგართმევს კიდეც, როცა ამის სურვილი ექნება — ეს ჯერ ვერ გაუცნობიერებია ქართველ საზოგადოებას. ამიტომაც არის ყრუ, შეუვალი იმასთან მიმართებაში, რაც ბიძინა ივანიშვილზე ხორციელდება. მესამე — მორალურ-ზნეობრივი სახე. ამ ხელისუფლებას უკვე ზნეობრივ-მორალური უფლება არ აქვს ქართველი საზოგადოების სახელით ილაპარაკოს იმიტომ, რომ იგი ისეთი ხელისუფალია, რომელიც ყველანაირი ხრიკებით ცდილობს დაგვინგრიოს სახელმწიფო და მოქალაქეობრივი პოზიციები ჩაგვიხშოს.

**— როგორც ახსენეთ, საზოგადოება ყრუა, მაგრამ მათ საბოლოო დაყრუებას თვითონ ოპოზიციაც ხომ არ უწყობს ხელს?**

— ჩვენი უბედურება იცით რა არის? — სანამ ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდებოდა, პოლიტიკური ოპოზიცია არ გვყავდა. ისინი ბაიბურში არ იყვნენ თუ რა უნდოდათ პოლიტიკურ ავანსცენაზე. ამ პოლიტიკურ პარტიებს მოვთხოვოთ მაჰათმა განდის ზნეობრიობა და საზოგადოების მაღალი იდეალებისადმი დარაზმვა, წარმოუდგენელია. თუ ოპოზიცია რაღაცას დაემსგავსა — ეს იმიტომ, რომ პოლიტიკურ არენაზე ივანიშვილი გამოჩნდა. ამიტომ მათ მე ვერაფერს ვთხოვ.

**— გოჩა, როგორ ახსნით იმ გარემოებას, რომ ივანიშვილი დაყადაღებული ქონებების გამოსყიდვით ხელისუფლების ცარიელი ჯიბეები ივსება. ასე არჩევნებს როგორ მოვიგებთ?**

— ივანიშვილი კი არ უვსებს ხელისუფლებას ჯიბეებს, არამედ სააკაშვილი თავად ივსებს დაცარიელებულ ჯიბეებს, ყოვლად უტიფრად, უხეშად. ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ — პოლიტიკაში, ხშირ შემთხვევაში ფულზე უფრო ძლიერი რაღაცები არსებობს, რასაც კანონი ჰქვია, რასაც „სიმბოლურ კუაპიტალს“ ვეძახი. აი, სწორედ ეს „სიმბოლური კაპიტალი“ გააჩნია ხელისუფლებას და ამას ისე ჭრის და კერავს, როგორც თვითონ მოეპრიანება, ამიტომ პოლიტიკაში ფული ყოველთვის განმსაზღვრელი არ არის. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ამ სამყაროში მაჰათმა განდი არ იქნებოდა. არ იქნებოდა არც აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლა მანდელას მეთაურობით, ასე რომ ხელისუფლება ამ კაპიტალს ფლობს და მას, როგორც მათრახს, ისე იყენებს.

**— გოჩა, ამ ფონზე ბიძინა ივანიშვილი, როგორც ხელისუფლებისგან ჩაგრული ისე გამოიყურება...**

— საზოგადოება ბიძინა ივანიშვილს, როგორც თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების ობიექტს ისე უყურებს. ადამიანი პოლიტიკურ მოღვაწეს თავისი სარგებლიანობის მიხედვით აფასებს. ამიტომ საზოგადოება არ ნაღვლობს იმაზე, ბევრს წაართმევენ ივანიშვილს თუ ცოტას. ეს რომ არ იყოს პოლიტიკასთან კი არ გვექნებოდა საქმე, არამედ ზნეობასთან, მორალთან, რომელიც მაკიაველმა პოლიტიკის სივრციდან გაიტანა.

**— ბოლო დროს ხელისუფლების სატელიტი ოპოზიციური პარტიებიდან ჟღერდება მოსაზრებები, თითქოს ივანიშვილი რუსის ჯარის შემოყვანას აპირებს და ა.შ. რას ნიშნავს ეს, რაზე მიუთითებენ ამ შემთხვევაში სააკაშვილის პირით მოლაპარაკე ოპოზიციონერები?**

— თქვენ, ალბათ ბაჩუკი ქარდავას განცხადებას გულისხმობთ. მას და მისნაირ სუბიექტებს არასერიოზულად ვუყურებ. ყველამ იცის, რომ ქარდავა „ნაც.მოძრაობის“ გაგრძელებაა და მეტი არაფერი. რომ არა რუსეთის ბუად წარმოჩენა, რა იდეოლოგიური დატვირთვა უნდა მიეცა ხელისუფლებას თავისი ლეგიტიმურობისთვის?! ამით ხელისუფლება ჰქმნის სოციალურ მითოლოგიას, როცა ამ ნეგატიური კუთხით თავის არსებობას ამართლებს. რუსეთის თემა ეს არის სოციალური მითოლოგიის სფერო, რომლითაც საზრდოობს ეს ხელისუფლება. ეს მათი ჰაერია, არსებობაა. ასეთი სატყუარა საზოგადოებაში მუდმივად იქნება შემოგდებული — ზოგი აკენკავს, ზოგი — არა.

**— რამდენიმე დღის წინ სააკაშვილის გაკეთებულ განცხადებაზეც მინდა გკითხოთ. მან თქვა — მეტი საქმე არ მაქვს ჩემი აშენებული ქვეყანა სხვას დავუტოვო დასანგრევადო. რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამას?**

— პირადად, სააკაშვილს სერიოზულ პოლიტიკურ მოღვაწედ ვერ აღვიქვამ. კარგია, რომ ეს კითხვა დასვით, ამ ფრაზით მან მთლიანად მოიცვა თავისი მოღვაწეობის მთელი შინაარსი. საქმე ისაა, რომ მას ეს ქვეყანა თავის ქარვასლა ჰგონია — ვისაც უნდა დაუტოვებს, ვისაც უნდა — არ დაუტოვებს. იგი ვერ იაზრებს, რომ ხალხმა მოიყვანა ხელისუფლებაში და თუ არ გაამართლებს, უნდა წავიდეს. იგი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას არ გრძნობს, არამედ იგი ხელისუფლებას, სახელმწიფოს, როგორც თავის ბებიის ან ბაბუის დანატოვარს, ისე აღიქვამს, რომელსაც უნდა გადასცემს სხვას, უნდა — არა. ვიმეორებ, მისთვის სახელმწიფო ქარვასლაა. ეს უკვე პოლიტიკური ანალიზის კი არა, პოლიტიკური ფსიქოლოგიის სფეროა. აქვე, პოლიტიკური ლიდერის საკითხი დგას, თუ რა ტიპის ლიდერი გვყავს? — როგორც მოგახსენეთ, სააკაშვილი ჰერმაფროდიტი პოლიტიკოსია, რომლის მმართველობის ფორმა არცერთ კლასიკურ განმარტებაში არ ჯდება. ჩვენ გვყავს ჰერმაფროდიტი ხელისუფლება, რომელიც არც კაცია, არც ქალი, შესაბამისად, კაციცაა და ქალიც, ანუ არაფერი არ არის. ამ ფრაზაში ძალიან კარგად წარმოჩინდა სააკაშვილის ფსიქოლოგიური ხედვა ხელისუფლებაში ყოფნასთან დაკავშირებით.

**— ამ ჰერმაფროდიტი ხელისუფლების პირობებში, რამდენად სწორია ოპოზიციამ გული აქციებზე გამოსული ხალხის სიმრავლით მოიფხანოს. ჩვენ ხომ ისიც კი არ ვიცით, რამდენი ამომრჩეველი გვყავს. ოპტიმიზმის საფუძველი არის?**

— მიუხედავად რიგი საკითხებისადმი ჩემი კრიტიკული დამოკიდებულებისა, არჩევნებისადმი პოზიტიური განწყობა მაქვს. ეს განპირობებულია იმით, რომ აქციებზე მართლაც ხალხის უპრეცედენტო რაოდენობა გამოდის. ეს ხელწამოსაკრავი საქმე არაა და ნურავის ეგონება, რომ ამ ხალხის სიმრავლე ხელისუფლებას არ აფრთხობს. ისმის კითხვა — რატომ გამოდის ხალხი გარეთ? — იმიტომ, რომ ის, რაც ერთი შეხედვით საქართველოში შენდება, მას არ ეხება, მისი ტკივილის გამზიარებელი არ არის. რაც არ უნდა „შერატონები“ აშენდეს საქართველოში, ეს რიგით ქართველს არაფერს აძლევს. რასაც ხელისუფლება აკეთებს, ეს აღმშენებლობა არ არის, ქვეყანა ასე არ შენდება. სასტუმროები შენდება, მაგრამ არა ქვეყანა. ამიტომ საზოგადოების დიდი ნაწილი ხედავს, რომ ეს „აღმშენებლობა“, რომელსაც ძალით გვაჩეჩებენ, მოჩვენებითია.



**— სააკაშვილს წესით საპრეზიდენტო ვადა ეწურება. მაშინ რით ახსნით მის აქტიურ საარჩევნო კამპანიას?**

— იმიტომ, რომ მას ეშინია საზოგადოებრივი სამსჯავროსი, მან იცის, რომ ადრე თუ გვიან ეს დრო დაუდგება. მან არაცნობიერად იცის, რომ ყველა დანაშაულისთვის აგებს პასუხს.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# rogor davamyarebdi mSvidobas kavkasiaSi



„კოალიცია ქართული ოცნება თავს აარიდებს ცივი ომის რიტორიკას და უკეთესად მოახერხებს ჩვენს რეგიონში ფეთქებადსაშიში სიტუაციის რეალური მიზეზების განეიტრალებას“.

**ბიძინა ივანიშვილი**

8 აგვისტოს აღინიშნება მეოთხე წლისთავი საქართველოსა და რუსეთს შორის ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი ომისა, რომელმაც საბოლოო ჯამში რუსეთის მიერ ჩემი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია გამოიწვია. სამწუხაროდ, განვლილმა წლებმა მშვიდობა უფრო რეალური ვერ გახადა. მდგომარეობა მწვავდება რეგიონში, სადაც ოცდამეერთე საუკუნის პრობლემებს მეცხრამეტე საუკუნის ინსტიტუციებით ხვდებიან და ეს ყოველივე მეთექვსმეტე საუკუნის სიძულვილით არის გაჟღენთილი.

რატომ უნდა ადარდებდეს ეს ვინმეს ამ რეგიონის გარეთ? ეს კონფლიქტი საფრთხეს უქმნის ევროპისა და შეერთებული შტატების მზარდ ინტერესებს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ჩვენ უკვე აღარ ვართ ცალკე მდგომი იზოლირებული და მიყრუებული მთიანი საგუშაგო. ჩვენი სტრატეგიული მდებარეობა საშუალებას გვაძლევს, გავხდეთ კერა რუსეთისა და ცენტრალური აზიის განახლებული ურთიერთობებისა ირანთან, თურქეთთან და დასავლეთის ქვეყნებთან. აქ არის ძალიან დიდი შესაძლებლობა მდგომარეობის გაუარესებისა, რომელიც გავლენას მოახდენს ენერგეტიკულ მარაგებსა და სხვა მრავალ საკითხზე.

რუსეთი აგრძელებს ისტორიული მტრობის გაღვივების პოლიტიკას, რათა არამდგრადი მდგომარეობა შეინარჩუნოს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება ვლადიმერ პუტინის წისქვილზე ასხამს წყალს. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია, როდესაც ჩვენი ქვეყნის უშიშროების პროგრამას საფუძვლად დაუდო წარსულის ტერმინოლოგია — მაგალითად, დაპირება, რომ აუცილებლად დაანგრევს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ „ბერლინის ახალ კედელს“.

საბედნიეროდ, საქართველოს შეუძლია ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოყვანა 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ. თუ აგვირჩევენ, ჩემი კოალიცია „ქართული ოცნება“ თავს აარიდებს „ცივი ომის“ რიტორიკას და უკეთესად მოახერხებს ჩვენს რეგიონში ფეთქებადსაშიში სიტუაციის რეალური მიზეზების განეიტრალებას.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ყურადღებას დემოკრატიაზე გავამახვილებთ. როგორც ეს შესანიშნავად აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, როდესაც იგი ივნისში ჩვენს ქვეყანას ეწვია: „საქართველოს გრძელვადიანი უსაფრთხოება და წინსვლა უმეტესწილად დამოკიდებული იქნება დემოკრატიის ხარისხზე თქვენს ქვეყანაში“.

საქართველოში ამჟამად არ არსებობს მოქმედი სამოქალაქო საზოგადოება. ჩვენ ისევ მძიმე ტვირთად გვაწევს იგივე ავტორიტარული ერთპარტიული მოდელი, რომელმაც ასეთი დამანგრეველი შედეგი მოუტანა სხვა პოსტსაბჭოთა საზოგადოებებს. სუსტი და გაყოფილი ქართული ოპოზიციური მოძრაობა მხეცურად იქნა ჩახშობილი წარსულში. სწორად ამიტომ მე, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე, ისე დავეხმარე ექვს პარტიას, რომ საკუთარი სიძლიერე „ქართული ოცნების“ კოალიციაში გაერთიანებით მოეპოვებინათ. უკანასკნელი გამოკითხვები უჩვენებს, რომ ჩვენი კოალიცია ხელისუფლების თანაბრად, გვერდიგვერდ მიდის ოქტომბრის არჩევნებისკენ. თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, მწამს, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ — დემოკრატია გაიმარჯვებს.

„ქართული ოცნება“ ერთგულია დასავლეთთან პარტნიორობის პრინციპებისა, რადგანაც სავსებით ვაღიარებთ დასავლეთის ღირებულებებს. ჩვენ მოწოდებულები ვართ გავხდეთ ევროპული და ატლანტიკური ორგანიზაციების შემადგენელი ნაწილი. მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი იმის შესრულება, რასაც ახლანდელი ხელისუფლება იჩემებს — გავათავისუფლოთ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. ჩვენ ასევე მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ ჩვენს მეგობრებთან, რათა თავდაცვის მძლავრი სისტემა ავაშენოთ საქართველოში.

მაგრამ აქ მთავრდება ჩვენი შეხედულებათა მსგავსება. ჩვენ ვაპირებთ, თავი დავანებოთ იარაღის ჟღარუნსა და მუქარას და ვაღიაროთ, რომ საქართველო პატარა რეგიონალური ძალაა ძალიან სახიფათო სამეზობლოში. არანაირი მდგრადი მომავლის აშენება არ მოხერხდება, თუ ჩვენს სამხედრო პოტენციალს რუსეთის ან სხვა ქვეყნის წინააღმდეგ მივმართავთ. თუ კავკასიის კუბა გავხდებით, ჩვენი მომავლის იმედები დასავლეთთან მჭიდრო უთიერთობის შესახებ სამუდამოდ დასამარდება.



რაც მთავარია, ჩვენ ვიქნებით მტკიცე და შეურყეველი. ისევე მიზანდასახულად ჩავუყრით ახალ საფუძველს მშვიდობას, როგორც ეს ამერიკამ გააკეთა ბალკანეთში ომის დასრულებისთვის. ისტორიული მტრობის პრობლემის გადასაჭრელად გამოვიყენებთ სამხრეთ აფრიკის, რუსეთსა და პოლონეთს შორის დიალოგის გამოცდილებას და ყველაზე მეტად თავად ევროკავშირის გამოცდილებით ვიხელმძღვანელებთ. ჩვენ ასევე შევისწავლით გერმანიის გამოცდილებას დემოკრატიის მშენებლობის საქმეში განვითარების დახმარების მეშვეობით.

ჩვენი დიალოგი რუსეთთან იქნება მტკიცე და პრინციპული. ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხის გარშემო, თუ რომელ ერს ეკისრება პასუხისმგებლობა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში. კონფლიქტი დაიწყო იმ ქსენოფობიური და კონფრონტაციული სტილის გამო, რომელიც ასე დამახასიათებელია ორივე სახელმწიფოს ხელისუფლებისთვის. თუ შევძლებთ შეთანხმებას, რომ შეცდომები ორივე მხარიდან იყო დაშვებული, ეს რომ ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესის მაჩვენებელი იქნება.

როგორც ჩანს, ზოგიერთი უცხოელი დამკვირვებელი, მოსკოვსა და თბილისს შორის დემოკრატიული დიალოგის ნაცვლად, ისევ მათთვის ცნობილ სამხედრო დაპირისპირებას, გამოუვალ მდგომარეობას ანიჭებს უპირატესობას. ნება მომეცით, დავარწმუნო ჩვენი მეგობრები: არ ვაპირებთ ჩვენი თავდაცვითი სისტემების განიარაღებას, პირიქით, უფრო ჭკვიანურად ვაპირებთ მათ გამოყენებას. ჩემ მიერ საბჭოთა კავშირსა და რუსეთში გატარებულმა ოცმა წელიწადმა მასწავლა, რომ მკაცრ პოლიტიკას, ყოველგვარი ილუზიების გარეშე, ცდისა და შეცდომის მეთოდის გამოყენების მეშვეობით უნდა გაუმკლავდე.

ვისაც ჩვენი გეგმები იმ რუსული შეთქმულების ნაწილად მიაჩნია, რომელიც საქართველოს არჩევანის დასუსტებას ისახავს მიზნად, მათ ყურადღებას მივაპყრობ იმ კონფლიქტებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მძვინვარებს. თუ მშვიდობისა და თავისუფლების მცირეოდენ იმედსაც არ დავუტოვებთ, ჩვენს საზოგადოებაში თანდათანობით იფეთქებს შიდა ომები. ქვაბი უკვე თუხთუხებს — მდგომარეობა დაძაბულია. კავკასიაში შესაძლოა, დაიწყოს სირიის მსგავსი მცირე ომები. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთიცა და ირანიც ჩვენი უშუალო მეზობლები არიან, არც ერთ ჩვენგანს ნამდვილად არ უნდა სურდეს ასეთი რისკის საკუთარ თავზე აღება.

**Wall Street Journal**

## რუსთავის მერიის რეკომენდაციის მიუხედავად, „ოცნების“ აქცია შარტავას ძეგლთან გაიმართება

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა რუსთავის მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს, რომელზეც კიდევ ერთხელ დააფიქსირეს, რომ გადაწყვეტილებას არ ცვლიან და 19 აგვისტროს აქციას შარტავას ძეგლთან გამართავენ.



აქციის ორგანიზატორებსა და რუსთავის მერიის წარმომადგენლებს შორის დღეს შეხვედრა გაიმართა. რუსთავის მერიამ მათ რეკომენდაციის სახით „მეგობრობის მოედანი“ შესთავაზა.

როგორც მერიის პრესსამსახურის უფროსმა ნინო კორძაიამ საუბარში განაცხადა, მერია მზად არის, 2 დღის განმავლობაში მოედანზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მემორიალის სამშენებლო სამუშაოები შეაჩეროს და მოედანი აქციისთვის “ქართული ოცნების” წარმომადგენლებს დაუთმოს.

ნინო კორძაიას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ “ქართული ოცნება” პირველი განცხადებით მერიას აცნობებდა, რომ აქციის გამართვა “მეგობრობის მოედანზე” სურდათ, დღეს პოზიცია შეიცვალეს და აქციის გასამართ ადგილად ქიული შარტავას მოედანს ასახელებენ.

## შალვა ხაჭაპურიძე: შესაძლოა, ჰააგის სასამართლომ მიხეილ სააკაშვილი დააპატიმროს

ჰააგის სასამართლომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სარჩელი წარმოებაში მიიღო.



ამის შესახებ „ტრიბუნას“ იურისტმა შალვა ხაჭაპურიძემ განუცხადა. მისი თქმით, სარჩელი მან 2012 წლის 16 ოქტომბერს შეიტანა, 2 დღის წინ ჰააგიდან აცნობეს, რომ მისი სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო.

„სარჩელი შევიტანე 2012 წლის 16 ოქტომბერს. პირადად ვიყავი ჰააგაში და შევხვდი პროკურორს.

ჰააგის სასამართლოდან ჩამომივიდა დოკუმენტი, რომ დაწიყო გამოძიება სააკაშვილის, უგულავას, ადეიშვილის, მერაბიშვილის და თანამდებობის რამდენიმე პირის მიმართ. როგორც იქნა, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე,“ - განაცხადა ხაჭაპურიძემ „ტრიბუნასთან“ საუბრისას.

მისი თქმით, სავარაუდოდ, არჩევნებამდე ჩამოვლენ პროკურორები და დაკითხავენ აღნიშნულ პირებს.

„სავარაუდოდ, არჩევნებამდე ჩამოვლენ პროკურორები მათ დასაკითხად. არ არის გამორიცხული, რომ მათ სააკაშვილი დააპატიმრონ,“- განაცხადა ხაჭაპურიძემ.

რაც შეეხება სარცელში შეტანილ კონკრეტულ ფაქტებსა და ბრალდებებს, ხაჭაპურიძის განცხადებით საქმე ეხება 3 სხვადასხვა საკითხს.

„კონკრეტულ ფაქტებს რაც შეეხება, პირევლი არის პარლამენტი და მათ მიერ მიღებული კანონები. მეორე არის დაპატიმრებული ადამიანები, ჩამორთმეული ქონება და ა.შ და მესამე არის ცხინვალში ომის დაწყება. ამ დრომდე რომ ვერ გაურკვევიათ ვინ დაიწყო ომი, ჰააგის სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ომი დაიწყო სააკაშვილმა,“- განაცხადა ხაჭაპურიძემ.

# putini da sakaSvili farul garigebaSi arian da SeTanxmebulad moqmedeben?

2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებიდან ოთხი წელი გავიდა და დღემდე აქტუალობას არ ჰკარგავს კითხვა — ვინ დაიწყო ომი? ვისაც ეგონა, რომ ომი რუსეთმა კი არა საქართველოს მხარემ დაიწყო, პუტინმა თავისი სენსაციური განცხადებით ამ „გაუგებრობას“ „ნათელი“ მოჰფინა.



პუტინის განცხადებას — 2008 წლის აგვისტოში რუსეთი იმ გეგმით მოქმედებდა, რომელიც ჯერ კიდევ 2006 წელს იყო მიღებული და დამტკიცებული, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა ამ განცხადებას თან ერთვოდა, რუსეთისგან მანამდე გაკეთებული სულ სხვა შინაარსის განცხადება, კერძოდ, 2008 წლის სამხედრო აგრესია საქართველოს მოქმედების საპასუხოდ განხორციელდა და მიზნად გენოციდის შეჩერებას და რუსეთის მოქალაქეების დაცვას ითვალისწინებდაო. სად არის სიმართლე — ეს არის კითხვა, რომელიც პუტინის ბოლოდროინდელმა განცხადებამ გააჩინა და ახლა მთელი პოლიტიკური სპექტრი ამ რებუსის ამოხსნას ცდილობს. რა იყო ამ განცხადების მიზანი, თანაც წინასაარჩევნო პერიოდში — პუტინის მიერ დანაშაულის საკუთარ თავზე აღება და სააკაშვილისთვის სუფთა ნამუსის შენარჩუნება თუ ეჭვის დათესვა იმასთან დაკავშირებით, რომ პუტინისა და სააკაშვილის მტრობა მოჩვენებითია და მათ შორის ფარულ გარიგებებს, მოლაპარაკებებს აქვს ადგილი. ქართველი ერი დიდი ხანია შეაჩვიეს რუსეთის განცხადებებზე შეშფოთება-გაკვირვებას. მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ როგორც კი პუტინმა ეს განცხადება გააკეთა, ქართულმა პოლიტ.ელიტამ მაშინათვე დაგვმოძღვრა — აი, შეხედეთ, ხომ ვამბობდით პუტინმა დაიწყო ომი, ესეც ჩვენ ვართ, კაცმა თავის პირით აღიარაო. ხედავთ, პუტინმა რა თქვა, 2006 წელს ჰქონია საქართველოს დაქცევის გეგმაო — ავიშვიშდა ხელისუფლება. არადა, რა არის ამაში აღსატაცებელი ან თუნდაც გასაკვირი, მსგავსი განცხადებები რუსეთის პირველი პირებისგან პირველად ხომ არ გვესმის? ვისაც არ ახსოვს, შეგახსენებთ, რომ პუტინის განცხადებას წინ მედვედევის განცხადება უძღოდა. მან აღნიშნა, საქართველოზე იერიშის მიტანით ნატოს გაფართოების მცდელობა შევაჩერეთო. ანუ რუსეთს აგრესია რომ არ განეხორციელებინა, ნატო ახლა საქართველოში გვეყოლებოდა თურმე. აქედან ადვილად შეიძლება დავასკვნათ თუ ვისი საქმე გაუკეთებია სააკაშვილს? — რა თქმა უნდა, რუსეთის. ეს ფაქტიც რომ არ იყოს სააკაშვილის და რუსეთის პირველი პირების მეგობრულ ურთიერთობებზე ბევრი საეჭვო გარემოება მიუთითებს. თუ კარგად დავაკვირდებით, როცა სააკაშვილს კრიზისული სიტუაცია აქვს, როცა საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები ექმნება, მაშველ რგოლად მაშინვე რუსეთი გამოჩნდება ხოლმე. თუნდაც ბოლო შემთხვევა ავიღოთ. პუტინის განცხადების შემდეგ, სააკაშვილს ახალი სუნთქვა გაეხსნა, უფრო მეტი გულმოდგინებითა და დამაჯერებლობით გვიყვება ახალ-ახალ მითებსა და იგავებს. სააკაშვილის რიტორიკამ — მართალი ვყოფილვართ, ჩვენ არ დაგვიწყია ომიო, შეიძლება უბრალო მკითხველი დააბნიოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პუტინს არ უთქვამს ომი ჩვენ დავიწყეთო, არამედ მან გეგმაზე ისაუბრა. რა გასაკვირია, რუსეთს აღნიშნული გეგმა რომ ჰქონოდა?! საქართველო ცხინვალში ხომ ჯერ კიდევ 2004 წელს შეიჭრა ირაკლი ოქრუაშვილის სარდლობით. ამას მაშინ 15 ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ანუ საქართველოს ხელისუფლება მუდმივად იყო მზად პროვოკაციისთვის, მოქმედებისთვის და ამ ფონზე სრულებით არ არის გასაკვირი თუ რუსეთს რაიმე გეგმა ჰქონდა.

ასე, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება რუსეთთან მჭიდროდ თანამშრომლობდა და ასე აგრძელებს დღემდე. ეს არც ახალია და არც საიდუმლოს წარმოადგენს ვინმესთვის. ახლო ისტორიას თუ გადავხედავთ და კარგად გავიხსენებთ როგორ გაჩნდა ძალაუფლების სათავეში ამჟამინდელი ხელისუფლება? — კვალს ისევ და ისევ რუსეთისკენ მივყევართ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი იმთავითვე მიესალმა ამ ხელისუფლებას. ბევრი თქმულა და დაწერილა იმაზე, რომ ეს ხელისუფლება სწორედაც რომ რუსეთის ხელდასმულია ძალაუფლებაში და მათ შორის ეს უხილავი ძაფები დღემდე არ გაწყვეტილა. ორივე მხარე საკმაოდ კარგი მსახიობური ნიჭითაა დაჯილდოებული — თითქოს ისინი ვერ იტანენ ერთმანეთს, მაგრამ ეს მხოლოდ გონებაჩლუნგი საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად გამომეტებული სიტყვებია. სიტყვები სიტყვებად რჩება, რაც შეეხება საქმეს — ამ კუთხით ცვლილებები არ გვინახავს. სააკაშვილს სიტყვით კი დაემუქრნენ, მაგრამ იგი ერთი ადგილით დღემდე არავის ჩამოუკიდია. სააკაშვილისთვის ზედმეტი არაფერი უკადრებიათ, რუსებს მის წინააღმდეგ მკვეთრი ნაბიჯები არ გადაუდგამთ. მუქარა მუქარად დარჩა. არადა, თუ გავიხსენებთ როგორ მოქმედებს რუსეთი, რა რადიკალურ ნაბიჯებს დგამს იგი, როცა სერიოზულად აქვს განზრახული ვინმეს დასჯა. ძნელი მისახვედრი არაა რა დაემუქრებოდა სააკაშვილს, რუსეთს მისი დასჯა მართლა განზრახული რომ ჰქონდეს. თუ რუსეთმა ეს შეძლო რუმინეთში, აღმოსავლეთ ევროპის უამრავ ქვეყანაში, საქართველოში რატომ უნდა გაჭირვებოდა?! აქედან შეგვიძლია თამამი დასკვნის გამოტანა — რუსეთის და საქართველოს ხელისუფლებები ფარულად და თან მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამიტომაცაა, რომ რუსეთის ხელისუფლება საჭირო დროს ქართული ხელისუფლების სასარგებლო განცხადებებს აკეთებს და პირიქით. ჩვენი ხელისუფლება ხალხისგან მალულად ისეთ რამეებს აკეთებს, რაც რუსეთისთვისაა სასარგებლო.

## ვინ იყიდის საქართველოს რკინიგზას და სხვა ობიექტებს არჩევნებში „ნაც. მოძრაობის“ დამარცხების შემთხვევაში?

რკინიგზასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გავიხსენოთ, რასაც რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ჰქვია. ჩვენ გვქონდა ერთადერთი კოზირი, რითაც რუსეთთან „ვაჭრობა“ შეგვეძლო, რაც დავთმეთ, თუმცა სანაცვლოდ არაფერი მიგვიღია.

პუტინის „აღიარებით ჩვენებას“ თან მეორე საკითხი საქართველოს რკინიგზის სრული 100 პროცენტიანი პაკეტის გასაყიდად გამოტანა მოჰყვა. თუ კარგად დავფიქრდებით ამ რკინიგზის მყიდველი გარდა რუსეთისა მსოფლიოში არავინაა. ამით ყველაზე მეტად სწორედ რუსეთია დაინტერესებული. **მამუკა არეშიძის** თქმით: „რკინიგზას უმთავრესი დატვირთვა აქვს, მისი საშუალებით ხდება როგორც საბრძოლო რესურსის გადასროლა, ისე ეკონომიკური ბერკეტის ხელში ჩაგდება. მითუმეტეს, სომხური რკინიგზა რუსეთის ხელშია და ასევე აფხაზური რკინიგზის ნაწილიც. დარჩა მხოლოდ საქართველოს რკინიგზა და მისი ხელში ჩაგდებით, რუსეთი აკონტროლებს არა



მხოლოდ სამხრეთ კავკასიას, არამედ კავკასიას სამხრეთით და დასავლეთით. ამ ფონზე, ამოტივტივდა საქართველოს რკინიგზის გაყიდვის საკითხი. ჩვენ ისიც კი არ ვიცით თუ ყიდიან, ვისზე ჰყიდიან — ეს წინასაარჩევნოდ ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს“. აშკარაა, რომ რკინიგზის რუსეთზე გადაცემით ეს მაგისტრალი სრულად რუსეთის იქნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ოქტომბრის არჩევნებამდე რკინიგზა რუსების ხელში იქნება. სააკაშვილის ეპოქის პერიოდში რუსეთმა საქართველოსგან არაერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები შეიძინა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. მათ სიაშია: ენგურჰესი, ჟინვალჰესი, ლაჯანურჰესი, „თბილისის წყალი“, „ყაზტრანსგაზთბილისი“, ხრამი 1, ხრამი 2, ხრამი 3, ხრამი 4, ხრამი 5 და ა.შ. ამ ფონზე კი საქართველოს ხელისუფლება თითს სხვა ოპოზიციური პარტიებისკენ იშვერს და მათ რუსეთუმობაში ადანაშაულებს, თუმცა 30-ზე მეტი მსხვილი ობიექტი რუსეთს სწორედ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მიჰყიდა და არა ივანიშვილმა ან ვინმე სხვამ. ეს ხომ იგივეა მგელს ცხვრის ფარა მიაბარო... ერთი წუთით ასეთი სურათი წარმოვიდგინოთ — ვთქვათ, ოქტომბრის არჩევნებში „ნაც.მოძრაობამ“ ვერ გაიმარჯვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი დამარცხდა. ასე, არამარტო ამ „ნაც.მოძრაობის“ არსებობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, არამედ, „ნაც.მოძრაობის“ მიერ რუსეთისთვის გადაცემული და მიყიდული საქართველოს უზარმაზარი ქონების საკითხიც ენგურჰესიდან დაწყებული მადნეულის ოქროს საბადოებით დამთავრებული. ეს ხომ ნახევარი საქართველოა და ეს ყველაფერი უცებ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. ჩნდება კითხვა — დაუშვებს რუსეთი ამ ქონებების დაკარგვას?! გაიხდის იგი საყოყმანოდ საქმეს? — რა თქმა უნდა, არა. მას უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ თუ სააკაშვილი წავა, ისეთი ხელისუფალი მოვა, ვინც მათ ამ ქონებებს შეუნარჩუნებს. ამის გარანტია არ არსებობს, ამიტომაცაა, რომ რუსეთი, ჯერჯერობით სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნებას ცდილობს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მერაბიშვილი, რომელიც რუსეთის კაცად მოიაზრება სწორედ, ახლა არჩევნების წინ, პუტინის განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე დააწინაურეს პრემიერ-მინისტრად. მავანი იმაზეც საუბრობს, რომ ეს გადაწყვეტილება რუსეთმა მიიღო. რუსეთი სერიოზულ გავლენას ახდენს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე და იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც თითქოს საქართველოს ხელისუფლება იღებს.

## ვინ დაიწყო ომი?

ეს ყოვლად დემაგოგიური, რიტორიკული შეკითხვაა, რომლის გარკვევას თუ ვინ გაისროლა პირველად, მერე მეორედ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. **მამუკა არეშიძის თქმით:** „მთავარი ის კი არ არის, რუსეთი რისთვის ემზადებოდა,

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

არამედ ის, რომ საქართველოს მხარემ იცოდა, თუ რას უპირებდა რუსეთი მას“. მამუკა არეშიძე ჯერ კიდევ 2008 წლის ივლისში საუბრობდა მოსალოდნელ პროვოკაციაზე, თუმცა მიუხედავად ამისა ხელისუფლება მაინც იმ ხაფანგში გაება, რომლის შესახებ მან წინასწარ იცოდა.

**გოგა ხაინდრავა:** „სიცრუე, ფლიდობა, დიდი ფარისევლობაა, 4 წელი იმაზე ლაპარაკი თუ ვინ დაიწყო ომი – რუსეთი შემოიჭრა თუ ჩვენ შევიჭერით. მთავარი ისაა, რომ თუ რეგიონის გაკონტროლება გვინდოდა, როკის გვირაბი უნდა გადაგვეკეტა. იმ ეტაპზე ქართულ ჯარს აბსოლუტურად შესწევდა ძალა როკის გვირაბის გადაკეტვის. ამ საქმეში მთავარი დამნაშავე სააკაშვილია – იგი ხელმძღვანელობდა ამ ქაოსს. საქმესაც სწორედ ამიტომ არ იძიებენ, იციან, რომ ყველა გზა მათთან მივა“. მთავარი ისიცაა, რომ ომი 2008 წელს კი არა არამედ გაცილებით ადრე დაიწყო. აფხაზეთთან და სამხრეთ-ოსეთშიც ომი ჩვენ დავიწყეთ, რუსეთი შემდეგ ჩაერთო. ეს დაუმთავრებელი ომია. როგორ დაიწყო იგი 2008-ში, აბა, 2004 წელს რომ 15 ადამიანი შეეწირა, ეს რა იყო?! უბრალოდ, 2008 წლის აგვისტოში



ლოკალურმა დაპირისპირებამ გლობალური ხასიათი მიიღო. ქართველისთვის ის კი არ არის მთავარი ვინ დაიწყო ომი, არამედ როგორ მოიქცა საქართველოს ხელისუფლება ამ ომში. რა გააკეთა მან და რა შედეგი მიიღო?! დღენახევარში წაგებულმა ომმა, უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ფაქტია, რომ პროვოკაციაზე იყვნენ წამოგებული იმიტომ, რომ ყველამ იცის გორში დროშები, სურსათ-სანოვაგე რომ ჰქონდათ ჩატანილი. ეს ამბავი ცხინვალის მოსახლეობამაც იცოდა, რომელთაც ქალები, ბავშვები გახიზნეს. ვის დაუწყია საბრძოლო მოქმედება თავის ტერიტორიაზე? – საქართველოს. რა მოხდა ამის შემდეგ? – რუსული სამშვიდობო ჯარები დაილუპნენ. რუსებს ვინ მისცა სამშვიდობო სტატუსი? – იმ რუსს ხომ ჩვენ მივეცით სამშვიდობოს სტატუსი და ახლა რატომ გვავიწყდება ეს?! ეს ნიშნავს, რომ მას ხელი არ უნდა ახლო. ჩვენ კი ზარბაზნები დავუმიზნეთ და ბუნებრივია, მან ომი დაგვიწყო, სხვა რამის მოლოდინი ჰქონდა ვინმეს?! რა უძღოდა წინ 2008 წლის ომს?! – ამას წინ უძღოდა ის, რომ ე.წ. სამხრეთ-ოსეთში არჩევნები ჩატარდა. ახალგორი, რომელსაც არავინ გვედავებოდა მიემატა ამ სივცეს და ამ ომის შედეგად სამხრეთ ოსეთმა თავისი ადმინისტრაციული საზღვრები აღიდგინა. ამას უძღოდა ისიც, რომ კოდორის ხეობიდან საქართველოს ხელისუფლებამ ის ადამიანები გამოაძევა, ვინც ხეობას იცავდა, უიარაღოდ დატოვა ისინი, კოდორის ხეობას ზემოაფხაზეთი უწოდა და რუსებმა, ფაქტობრივად უომრად დაიკავეს ეს ტერიტორია და შედეგად, დღეს 25 ათასი ადამიანია ლტოლვილი.ეს შემთხვევითია?!

თუ ვინ დაიწყო ომი? – ამის გასარკვევად ბევრი **ტალიავინის დასკვნას** იშველიებს, თუმცა რაში გვჭირდება ეს ყველაფერი როცა ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ მოხდა. როცა ჩვენი თვალით ვუყურებდით, როგორ ბომბავდა ქართული არტილერია ცხინვალს, ამას ტელევიზიით გადასცემდნენ. რატომ ეგონათ, რომ ცხინვალს ასე ადვილად აიღებდნენ? – იმიტომ, რომ როგორც ჩანს რუსებმა მოატყუეს, უთხრეს– ცხინვალი არ გვაინტერესებს, ჩვენ გავიწევით თქვენ შედითო და როგორც ჩანს ამაში დიდი ფული გადაიხადეს...

დაბოლოს კიდევ ერთი ფაქტის შესახებ, რასაც გონებაჩლუნგი საზოგადოების გასაბრიყვებლად აკეთებენ – ხშირად გვესმის რუსეთისგან, სანამ სააკაშვილი ხელისუფლების სათავეშია, მას არ დაველაპარაკებითო და ხალხსაც ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ჰგონია. არადა სინამდვილეში, მე თუ მკითხავთ, სწორედ ეგ აწყობთ ერთ და მეორე მხარესაც. ეს ყველაზე მეტად რუსეთს აწყობს და სააკაშვილს. ესენი ერთმანეთს რომ არ ელაპარაკებიან, მას შემდეგ არ ხდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებისთვის ხმის მიცემა, საქართველოს მხრიდან სავიზო რეჟიმის გაუქმება, მას შემდეგ არ ხდება პუტინისა და მედვედევის აღსარებები?!

**თამარ შველიძე**

# vin akeTebs realurad rusul saqmes TbilisSi?



**ლინკოლნ მიტჩელი**

ოთხი წლის წინ საქართველოს და რუსეთს ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ომი ჰქონდათ. ერთი კვირაც კი არ იყო გასული ომის დაწყებიდან, როდესაც საქართველო დამარცხდა, ხოლო რუსეთმა განამტკიცა კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, ტერიტორიებზე, რომელთაც სახელმწიფოთა უმეტესობა, მათ შორის აშშ-ც, საქართველოს კანონიერ ნაწილად მიიჩნევს, მაგრამ დღეს რუსეთის მიერაა ოკუპირებული. მიუხედავად იმისა, რომ ომი სულ ერთ კვირას გაგრძელდა, მას დღესაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საქართველოს საშინაო პოლიტიკისთვის, ასევე ამერიკულ-ქართული ურთიერთობებისთვის. დღეს საქართველო საარჩევნო პერიოდს უახლოვდება – 2012 წელს საპარლამენტო, ხოლო 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნები განსაკუთრებით კი აშშ-ს მხარდაჭერით. ეს მხარდაჭერა გულისხმობდა უხვ უცხოურ ფულად დახმარებასა და სესხებს და კიდევ ნებას იმისას, რომ არ შეემჩნიათ ბევრი ნაკლოვანება, რომელიც საქართველოში დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს უკავშირდება. ეს უკანასკნელი მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია ქართული რეჟიმისთვის, რადგან აშშ-ს ძლიერი ზეწოლა, რომელსაც შემდეგ შესაბამისი შედეგები მოყვებოდა, ძალიან გაურთულებდა ენმ-ს კანონის დარღვევასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რაც, მათი რწმენით, აუცილებელია ძალაუფლების შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არჩევნები ახლოვდება.

საქართველოს ლიდერებმა უკვე იციან, რომ დასავლეთი ინფორმირებულია დემოკრატიის დეფიციტზე საქართველოში, ამიტომ მათ შეცვალეს სტრატეგია. ახლა ისინი ნაკლებად ცდილობენ დასავლეთს თავი დემოკრატებად მოაჩვენონ და საკუთარ რეპუტაციას უფრო იმაზე აგებენ, რომ რეგიონში რუსეთის გავლენის წინააღმდეგ აღმართულ ბასტიონს წარმოადგენენ. ამ მიდგომის ფარგლებში ხორციელდება ის ძალისხმევაც, რომელიც მილიარდერ ივანიშვილს იმის გამო, რომ მან ფული რუსეთში იშოვა, რუსეთის მარიონეტად წარმოჩენას ცდილობს. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს მთავრობიდან არავინ ღელავდა ივანიშვილის ქონების წარმომავლობაზე და არავინ ეჭვობდა საქართველოსადმი მის ერთგულებაზე მაშინ, როდესაც ის თავის ფულს ქართველი ჯარისკაცების დე ფაქტო რუსეთის კოლონიებია. რუსეთის ამბიციები ყოფილ საბჭოთა კავშირში მართლა სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

შესაბამისად, სააკაშვილის რიტორიკა, ნამდვილად ანტი-რუსულია, მაგრამ თუ საქართველოს მთავრობის მიმართებას რუსეთთან უფრო შედეგებით შევაფასებთ, ვიდრე მხოლოდ რიტორიკით, ზედაპირზე სრულიად განსხვავებული ისტორია ამოტივტივდება. მიუხედავად მათი განზრახვებისა, საქართველოს მთავრობის ქმედებებმა გამოიღო ისეთი შედეგები, რომელიც აშკარად შედის რუსეთის ინტერსებში. სააკაშვილი და მისი მთავრობა ხელისუფლებაში 8 წელიწადზე მეტია არიან და რუსეთმა ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი წაიღო, ვითარება, რომელიც თვალსაწიერ მომავალში არ შეიცვლება და რამაც საქართველოს ლტოლვა ნატოსა და ევროკავშირისკენ თითქმის აუხდენელ ოცნებად აქცია. გამოიარა რა ძალიან რთული ეკონომიკური პერიოდები, ახლა ქვეყანა უმუშევრობამ, ინფლაციამ და ვალების პრობლემამ მოიცვა და ეს ვითარება მომავალ რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო სერიოზული გახდება.

საქართველოს მთავრობა რუსეთისადმი შიშს ბასრ პოლიტიკურ იარაღად იყენებს, თითქმის ყველა შინაურ ოპონენტს, ისევე როგორც უცხოელ კრიტიკოსს, რუსეთის ჯაშუშობაში, მარიონეტობაში და სხვა ამგვარში სდებს ბრალს. პრო-დასავლელ პოლიტიკოსებსაც კი, ისეთებს, რომელთაც ძლიერი კავშირები აქვთ აშშ-სთან და ევროპასთან, ამგვარად ესხმის თავს. საქართვე-

უნდა ჩატარდეს. ამ არჩევნებს ექნება უზარმაზარი მნიშვნელობა არა მხოლოდ ამ ქვეყნის მომავლისათვის, არამედ ისინი მრავალი წლით განსაზღვრავენ აშშ-ს როლს და პოზიციას რეგიონში. ეს არჩევნები, არსებითად, 2008 წლის ქართულ-რუსული ომის ჩრდილქვეშ ტარდება.

ომის შემდგომ წლებში საქართველოს მთავრობამ დაკარგა თავისი წარსული იდენტობა. ამ წარსული იდენტობის თანახმად, საქართველოს სათავეში ედგნენ თვალნათელი დემოკრატები, რომლებიც ცდილობდნენ აეშენებინათ ევროპული ტიპის დემოკრატია იმ სივრცის შუაგულში, რომელიც ოდესღაც საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა. ახლა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობა კიდევ ერთი ნახევრად ავტორიტარული რეჟიმია, ისეთი, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნებისთვის შერჩევითად აღსრულებულსა და შექმნილ კანონებზე, რეპრესირებულ მედიაზე, პოლიტიკური ოპონენტების დევნასა და დაშინებაზეა დამოკიდებული.

ასეთი მიდგომები აქამდე კარგად მუშაობდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ), საქართველოს მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ასე იყო 2008-2010 წლის არჩევნებში, მაგრამ წელს განსხვავებული ვითარებაა. პირველად ენმ-ს მთავარ ოპონენტს გააჩნია იმის რესურსი, რომ საპასუხო შეტევაზე გადავიდეს. ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის გამო ხდება, უმდიდრესი ქართველი კაცის გამო, რომელზეც ამას წინათ „ნიუ-იორკ თაიმსმა“ ასეთი სტატია გამოაქვეყნა: „ფილანტროპობიდან საჯარო საფრთხემდე საქართველოში“. ივანიშვილმა შექმნა კოალიცია და მასში გააერთიანა წამყვანი ქართველი დიპლომატები, „ვარდების“ ყოფილი რევოლუციონერები, რომლებმაც სააკაშვილთან იმიტომ გაწყვიტეს კავშირი, რომ ის დემოკრატიას ჩამოშორდა, და კიდევ სხვებიც.

საქართველოს მთავრობა დიდი ხნის მანძილზე სარგებლობდა დასავლეთის, ჩექმებისა და აღჭურვილობის შესაძენად, საქართველოში ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის ან ქვეყნის ხაზინის შევსებისთვისა და ბიუჯეტის დასახმარებლად ნებაყოფლობით ხარჯავდა. პარადოქსულია, რომ მთავრობამ, რომელმაც ევროკავშირის ოფიციალური ანგარიშისა და ანალიტიკოსთა უმეტესობის აზრით, დაუშვა საკუთარი თავის პროვოცირება და ასეთ დამანგრეველ ომში ჩათრევა, ახლა ვინმე სხვას ბრალს სდებს რუსეთის გავლენის განმტკიცების ხელშეწყობაში.

მაგრამ, ზედაპირზე, სააკაშვილის რეპუტაცია, როგორც ძლიერი ანტი-რუსული ძალისა, ძალიან მტკიცეა. სააკაშვილი მუდმივად აცხადებს, რომ მას სა-



ქართველოს ნატოში გაწევრიანება სურს; საქართველოს მთავრობის რიტორიკა მუდმივად ძალიან ანტი-რუსული და პრო-დასავლურია; მთავრობამ, საკმაოდ წარმატებით, წამოიწყო დიპლომატიური კამპანია, რათა ქვეყნებმა, მათ შორის აშშ-მაც, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთის რეგიონები, რომლებიც 2008 წელს მან რუსეთის სასარგებლოდ დაკარგა, „ოკუპირებულ ტერიტორიებად“ მოიხსენიონ და ყველა შესაძლებლობას იყენებს იმისთვის, რომ დაგმოს რუსეთის ქმედებანი. უფრო მეტიც, ამ რიტორიკის დიდი ნაწილი სავსებით სწორია. რუსეთი მართლაც წარმოადგენს საქართველოსთვის სერიოზულ, დიდ საფრთხეს. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ამჟამად

ლო ისეთი ქვეყანაა, სადაც რუსულ შეთქმულებაზე ლაპარაკი ჩვეული რამაა, მაგრამ საინტერესოა, როგორი შეიძლება ყოფილიყო რუსული შეთქმულება საქართველოში.

წარმოიდგინეთ 2003 წლის ბოლოს, რუსეთის მთავრობას იმის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, გამოეგზავნა ვინმე, ვინც საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობას დაიკავებდა და ამავე დროს, ფარულად რუსეთის ინტერესებს განახორციელებდა. ეს, რა თქმა უნდა, არ მომხდარა, მაგარამ რომ მომხდარიყო, პატრონები კრემლიდან პრეზიდენტს საქართველოს ტერიტორიების რუსეთის სასარგებლოდ დაკარგვას დაავალებდნენ, რათა ზუსტად სცოდნოდათ, რომ საქართველო ვერ შევა ნატოში, საქართველოს ეკონომიკა სუსტი იქნებოდა, ხოლო ქვეყანაში პოლარიზაციას შენარჩუნდებოდა. ამ პრეზიდენტს იმასაც მოსთხოვდნენ, რომ რეგიონში ამერიკისადმი ნდობა შეესუსტებინა, ხოლო აშშ-ს რაც შეიძლება ბევრი ფული დაეხარჯა საქართველოში. სააკაშვილი, რა თქმა უნდა, არ არის საიდუმლო რუსული გეგმის მონაწილე, მაგრამ ყველაფერი ეს საქართველოში მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა.

სხვა დროს, როდესაც სააკაშვილი დასავლეთს განუცხადებს, რომ რუსეთი მისი მოსისხლე მტერია, გონივრული იქნებოდა დასავლელ პოლიტიკოსებს ეკითხათ – თუ რუსეთს სააკაშვილის მსგავსი მტრები ჰყავს, მაშინ რაღაში სჭირდება მას მეგობრები? მაგრამ თუ უფრო სერიოზულად ვილაპარაკებთ, აშშ არ უნდა დასჯერდეს მარტოოდენ ქართული მთავრობის ანტი-რუსულ რიტორიკას და სერიოზულად დაფიქრდეს იმაზე, თუ რა მოიგო რუსეთმა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და იმაზე, რას მოიგებს აშშ საქართველოსადმი, მმართველი რეჟიმისადმი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიისადმი განსხვავებული მიდგომის შემთხვევაში.

**მოამზადა ხათუნა თოლუამ**

# saeklesio wreebSi didi miTqma-moTqma: patriarqi 15 seqtembramde unda gadaayenon an TviTon unda gadadgeso



ბერი გაბრიელი და მამა ნიკოლოზი



მეუფე ილარიონი

„საერთო გაზეთის“ საშუალებით, მეუფე ილარიონ სამხარაძესთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ინფორმაციის გახმაურებას, უნდა ითქვას, რომ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მას შემდეგ, რაც ეს წერილები გამოქვეყნდა, თითქმის წელიწადი გავიდა, მაგრამ დღემდე მიკავშირდებიან დაინტერესებული პირები, ზოგი მეუფის დახ-



მამა გიორგი (ბასილაძე)



მამა ლეონტი (ჟვანია)

მარების სურვილით, ზოგი – ინფორმაციის სიზუსტის დასამტკიცებლად, ზოგი სხვადასხვა მოსაზრებით; ზოგი ინტერესდება, საიდან მოვიპოვე ეს ინფორმაცია და როგორ გავიგე მეუფის შესახებ. არ ვიცი, ვის რატომ „აწუხებს“ ამ ინფორმაციის არსებობა საერთოდ, თანაც ჟურნალისტს აქვს ინფორმაციის კონფიდენციალობის უფლება. ვისაც არ უნდა მოეცა ჩემთვის ცნობები მეუფის შესახებ, თუ აქამდე საპატრიარქომ არ იცოდა, სად იყო და როგორ იყო მოხუცი მეუფე, ახლა ხომ გაიგეს, ახლა რატომ არ ცდილობენ გამოიყვანონ გამოღრუებულ ფიცრებიანი და ჩატეხილსახურავიანი ფარდულიდან, სადაც მწევარსაც არ დააბამს გულშემატკივარი პატრონი. იმაზე მიდის ლაპარაკი, საიდან ვიცი მე ამის შესახებ და ვინ მითხრა ეს ამბავი. იუთუბიზე შემიძლია მივუთითო ვიდეოსიუჟეტი, სადაც მეუფეს სტუმრობენ ჟურნალისტები ჩემამდე გაცილებით ადრე, შემდეგ კი კასპელმა მეგობარმა მიმასწავლა მეუფის ადგილსამყოფელი.

ჩემი წერილების სერია, ძირითადად, თავისი ფოტომასალითურთ ინტერნეტით არის მოძიებული და ვისაც ჩემი მასალების გადამოწმება სურს, შებრძანდეს ინტერნეტში, სულ რამდენიმე „ფანჯრის“ გახსნაა საჭირო ამის ხელახლა წასაკითხად.

ახლახან საოცარი ამბავი შევიტყვე. საპატრიარქოში ჩუმი მითქმა-მოთქმა მიდის თურმე, პატრიარქი 15 სექტემბრამდე უნდა გადააყენონ ან თვითონ გადადგეს თავისი ნებით. მის ადგილზე ქუთათელ-გაენათელ მეუფე კალისტრატეს ან დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრამ გარმელიას ვარაუდობენო. ნაციონალები მეუფე კალისტრატეს კანდიდატურას უჭერენ თურმე მხარს, საპატრიარქო კი მიტროპოლიტის მხარეს ყოფილა. სინოდი არ აირჩევს მეუფე კალისტრატეს, რადგან ყველამ იცის მისი სომხური წარმოშობის შესახებო, მითხრა ჩემმა თანამოსაუბრემ.

გულდასაწყვეტი და შემაშფოთებელი, ჩვენდა სავალალოდ და საუბედუროდ, საძირკველშერყეულ ქართულ ეკლესიაში შექმნილი ვითარებაა და კიდევ ის, რომ საპატრიარქო ტახტზე პატრიარქის სიცოცხლეშივე მიდის ცილობა და გაწევ-გამოწევა. ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის, ცხადია, საიდუმლოდ რჩება პატრიარქის ანდერძი „მემკვიდრის“ შესახებ, მაგრამ მავანთა მახვილ თვალს რა გამოეპარება? საპატრიარქოში (და ვინძლო ხელისუფლებაშიც) ზოგიერთმა ალბათ, იცის, რა წერია ანდერძში, მაგრამ წესის უგულებელყოფით მაინც ცდილობენ სასურველ კანდიდატს გაუმზადონ საპატრიარქო ტახტი.

საქართველოს ეკლესია და მართლმადიდებლური სარწმუნოება დღეს საფრთხის წინაშე რომ არის, ამას არ უნდა ჩემი მტკიცება, მაგრამ საქართველოს ეკლესიას იმდენი წმინდანი ჰყავს, ეტყობა, მათი ლოცვა გვიფარავს. მარტო ბერი გაბრიელის მადლი გვეყოფა. გაბრიელ ბერს ღვთივკურთხეული და მრავალტანჯული საქართველო რომ უყვარდა, ეს ყველამ იცის და გარდაცვალებამდე, სულის ამოსვლის ლოცვებს რომ უკითხავდა თურმე მეუფე დანიელი, უკვე მიცვალებულ ბერს თვალი გაუხელია და უთქვამს: ხალხო, ქართველებო, ლოცვა ისწავლეთო...

დღეს ქრისტიანულ სამყაროში სულ 6 მლოცველი აღავლენს მდუმარე ლოცვებს. მათ შორის ორი ქართველია – მეუფე ილარიონი და მამა ნიკოლოზი, რომელიც გაბრიელ ბერის მოწაფეა. მეუფე ილარიონი 12 წელიწადი იყო მდუმარებაში (მე-6 წელია სდუმს მამა ნიკოლოზი) და ამ ადამიანს ზურგს აქცევს ქართული ეკლესია. ვინ მეტყვის, რომ არ ვწერო და არაფერი ვთქვა ამის შესახებ. ვინ მეტყვის, რომ არ უნდა გავაგებინოთ საქართველოს და მთელ ქვეყნიერებას, როცა საქართველოსთვის ამ საბედისწერო ჟამს ქვეყანაში გვყავს უდიდესი მლოცველები და ცოცხალი წმინდანები – მეუფე ილარიონი, მამა ნიკოლოზი, მამა გიორგი, მამა ლეონტი?...

საბედნიეროდ, დღესდღეობით, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც კეთილშობილური ზრახვები ამოძრავებთ და დაინტერესებულნი არიან საქართველოს ეკლესიისა და მეუფე ილარიონის სვე-ბედით. ამას წინათ ერთი ფრიად კეთილშობილი კაცი, ბატონი ოთარ კახიძე დამიკავშირდა და მეუფე ილარიონისა და საქართველოს საპატრიარქოს შერიგება-დაახლოების საქმეში მონაწილეობა მთხოვა.

ჯერჯერობით საქმე მხოლოდ იდეის დონეზეა, მაგრამ იმის შესახებ, რაზეც ბატონი ოთარი მესაუბრა, დანაშაულად მივიჩნიე, თქვენთვის არ მომეთხრო, პატივცემულო მკითხველო. გთავაზობთ ბატონი **ოთარ კახიძის** საუბრის ჩანაწერს:

**– ბატონო ოთარ, სარწმუნოებაში ფრიად განსწავლული და ეკლესიასთან დაახლოებული კაცი ჩანხართ. ქართულ პოლიტიკაში რაც ხდება, ადევნებთ თვალ-ყურს?**

– უნდა გითხრათ, რომ მე ვარ ივანიშვილის მხარეს. უფალმა, ეტყობა, გვაპატია ცოდვები და გამოგვიჩინა ეს ადამიანი. სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილიც ღმერთმა გამოგვიგზავნა დასასჯელად, ჩვენი ცოდვებისთვის.

რა დონეზე უნდა იყოს დღეს ქართველი კაცი, ივანიშვილზე ენა აუგად რომ მოუბრუნდეს. ახლა ზოგიერთი იმასაც ამბობს – ივანიშვილი მორწმუნე და ღვთის მოშიში კაცი არ არისო – კაცი-წმინდანი მოვიდა ჩვენს გადასარჩენად და ამის ლაპარაკი შეიძლება? ამ ადამიანს იმდენი რამე აქვს გაკეთებული, 536 ეკლესიას უშველა, გიგა ლორთქიფანიძის და გივი ბერიკაშვილის წერილები რომ წაიკითხო, ცრემლი მოგადგება თვალზე, ისეთი მადლიერები არიან. იმდენ გაჭირვებულს დაეხმარა, უკვე მადლი აქვს მოხვეჭილი ღმერთის წინაშე. ბიძინა ივანიშვილი არის მოვლენა ჩვენს დაჩაგრულ ერში.

**– თქვენ ცოცხალ ქართველ წმინდანებთან ხშირი ურთიერთობა გაქვთ – როგორ უყურებენ ივანიშვილის გამოჩენას და რას უწინასწარმეტყველებენ საქართველოს მომავალში?**

– არ მინდა ხოლმე ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვიტყვი: თქვა, ივანიშვილს საფრთხე ემუქრებაო. ეს რომ მითხრა, ლამის იყო გავგიჟებულიყავი, ფეხზე წამოდგომა დავაპირე, რომ ხელზე ხელი მომკიდა, გამიღიმა და მითხრა: კარგი, დამშვიდდი, ყველაფერი კარგად ჩაივლის და რაც ჩაფიქრებული აქვს ბატონ ბიძინას, ყველაფერი ისე იქნებაო.

**– ვინ გითხრათ ეს?**

– ამას წინათ ალავერდში რაც მოხდა პატრიარქსა და სააკაშვილს შორის, ამაზე გადაცემა ჰქონდა ეკა ბერიძეს. უთხრეს – წყარო დაგვისახელე, საიდანაც გაიგე ეს ამბავიო. წყაროს როგორ დაუსახელებდა, ხომ გააქრობდნენ მაშინვე იმ ადამიანს. სააკაშ-



ოთარ კახიძე

ვილი მიწიდან ამოთხრიდა მაგის მთქმელს.

რატომ დაუყადაღეს კალაძეს ქონება, იცით? გახსოვთ სააკაშვილის ფოტოები რომ გავრცელდა, მილანში მაღაზიებში რომ დადის და საათებს ათვალიერებს? მიშა ამ ფაქტების გამომზეურებას კახი კალაძეს აბრალებს. კალაძე თბილისს არ გასცილებია, მაგრამ ნახევარი მილანი მისი თაყვანისმცემელია.

ცოცხალ წმინდანებზე რომ ვლაპარაკობდით, მათ შორის მამა გიორგი ბასილაძე გამორჩეულია. ამას წინათ ჩემი ბიჭი წავიყვანე მასთან. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ჩემი შვილი ნაციონალებთან მეგობრობს. ისეთი რამეები უთხრა მამა გიორგიმ — მეც და თვითონაც გავოცდით. მაშინ ვუთხარი ჩემს ვაჟს — ხედავ, შვილო, ეჭვი ხომ არ გეპარება, რომ მე მამა გიორგის შენზე რაიმეს ვეტყოდი-მეთქი?

— გაბრაზებს ხომ, ოთარ, შენი ბიჭიო? — მკითხა. არ შეიძლება, შვილო, ამის გაკეთება-მეთქი, ვეუბნები... მაგრამ...

**— სააკაშვილზე რას ამბობენ ღვთისმორწმუნე მამები?**

— მამა გიორგი ბასილაძეს შეხვედრიხარ?

**— კი.**

— ხომ იცი, რომ ხშირად წევს? იცი, რა



მითხრა ერთხელ? — ოთარ, იმიტომ კი არ ვწევარ, რომ ავად ვარ, იმის დანახვა მტანჯავს, რასაც ვუყურებ — ამას რას ვხედავო, — მითხრა სააკაშვილზე და ამოიოხრა.

არაა ადვილი სააკაშვილის პირისპირ ბრძოლა. ამიტომ ერთხელ სოზარ სუბარს, რომელთანაც ვმეგობრობ, ვუთხარი კიდეც — იქნება წამოიყვანო ბატონი ბიძინა მამა აკაკისთან (მელიქიძე — ი.კ.), კვეთებულის ლოცვები ჩაუტაროს-მეთქი.

ღმერთს უნდა მიენდოს ბატონი ბიძინა. ღმერთს უნდა მივენდოთ ჩვენც, რადგან უფალმა გვითხრა: მე შევქმენი თქვენთვის ყველაფერი მიწის ზევით, ცასა და ქვესკნელში, იმიტომ, რომ გამოიყენო ყველაფერი ეს სიკეთეში. ჩვენ დავივიწყეთ ღმერთის სიტყვები, დავივიწყეთ სიკეთის ქმნა და სიყვარული, ავცდით უფლის გზას და თუ ღვთის ხმას ყურს არ მივუგდებთ, ჩვენი გაკეთებული საქმეები მადლს დაკარგავს და წინააღმდეგობებიც უფრო მეტი გვექნება.

**— არჩევნების პერიოდში რა შეიძლება მოხდესო, რას ამბობენ ცოცხალი წმინდანები?**

— საქმე რაშია, იცით, ჩემო ირანდა? ერთ რამეს მოგიყვებით: გარკვეული ხნის წინ მეუფე ილარიონი (სამხარაძე — ი.კ.) მოვინახულე. ბევრი ვილაპარაკეთ და წამოსვლისას ასეთი რამ მითხრა: ინგლისი და ამერიკა ერთმანეთს მწარედ გადაეკიდებიანო. მაშინ გამიკვირდა ეს ამბავი, მაგრამ გავიდა დრო და ინგლისსა და ამერიკას შორის დაპირისპირება დაიწყო. იმ ხანებში ისევ ვესტუმრე მეუფეს და ვკითხე, თუ რატომ მითხრა ინგლისსა და ამერიკას შორის დაძაბულობის შესახებ. წარმოიდგინეთ, რომ მეუფემ დეტალურად დამიხასიათა კაპიტალიზმის არსი და ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის საფუძველი ისე, რომ ნებისმიერ ექსპერტს შეშურდებოდა მისი მსჯელობა. ეს, ცხადია, ღვთისგან არის და ისიც განგებისგან იქნება, არჩევნების პერიოდში რაც მოხდება.

ხშირად ვესაუბრები ამ უდიდეს ადამიანებს საქართველოში მოსალოდნელ ამბებზე. ისინი ოქტომბერში განვითარებულ მოვლენებზე საუბრისგან თავს იკავებენ, მაგრამ, ზემოთაც გითხარით, წინააღმდეგობის მიუხედავად ყველაფერი კარგად იქნება.

**ირანდა კალანდაძე**

# Sevaxseneb kaci taZis komisias: საქართველოში ბავშვები ამომრჩევლები არ არიან



ვესაუბრებით „მწვანეთა პარტიის“ ლიდერს, ბატონ **გია გაჩეჩილაძეს**.

**— ბატონო გია, ქვეყანაში უამრავი კვლევა ჩატარდა წინასაარჩევნოდ, შედეგები საინტერესოა. შეიქმნა „სიების დაზუსტების კომისიაც“ — რომელმაც თვეების მანძილზე იმუშავა და აღმოაჩინა რომ საქართველოში ამომრჩეველთა რაოდენობა გაზრდილია. რაც გარკვეულწილად ეჭვს ბადებს იმიტომ, რომ ქვეყანაში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და არც უცხოეთში წასული მოქალაქეები არ დაბრუნებულან.**

— მოსახლეობა დაბრუნდა კი არა, თანდათან უფრო ვრწმუნდებით იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა სახელმწიფო კი აღარ არის, დარჩა მხოლოდ სახელი და თუ ოქტომბერში ცვლილებები არ მოხდება, ძალიან ცუდი დღე გველის. „ნაციონალების“ მთავარი მიზანი ის გახლავთ, რომ ქართველები აქედან აყარონ და უცხოელები დაეპატრონონ ჩვენს მიწას.

კაციტაძის განცხადებით, საქართველოში 3.621.00 ამომრჩეველი ყოფილა. 2010 წლის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ იყო 3.580.000. რეალური დათვლით ეს ციფრი არის 2.380.000.

თბილისის გარდა სხვა ქალაქებს თუ ავიღებთ, მონაცემები ასეთია: ბათუმში ცხოვრობს 125 800 ადამიანია კაციტაძის მონაცემებით კი ამ ქალაქში 131.756 ამომრჩეველია, ანუ უფრო მეტი, ვიდრე ცხოვრობს! ამას ასლან აბაშიძეც კი არ აკეთებდა თავის დროზე, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურად ზრდიდა მოსახლეობის რაოდენობას. ეს გახლავთ თვალში ნაცრის შეყრა. კვლავ გავაგრძელებ, 2010 წლის მონაცემებით, თბილისში იყო 995.000 ამომრჩეველი. დაზუსტების კომისიის მონაცემებით დღეს 1.027 000 ამომრჩეველია! 5 მილიონამდე რაოდენობა რომ ვითვლებოდით მოსახლეობა, მაშინ არ იყო ამდენი ამომრჩეველი. ჩვენ დათვლილი გვყავს — რეალურად, თბილისში არის 780.000 — ამომრჩეველი! ქუთაისში — 110.000 რუსეთში 80.000, ბათუმში 86.000, ფოთში 29.000 ამომრჩეველია. ამათ კი უწერიათ 42.000 კაცი. ეს ხომ სისულელეა და მეტი არაფერი! როგორ შეიძლება, რომ ფოთში ცხოვრობდეს 47.000 კაცი და აქედან 42.000 იყოს ამომრჩეველი, ანუ 18 წლის ზემოთ. ბავშვები იქ არ არიან? ბავშვები გაქრნენ საქართველოში? ყველაფერს საზღვარი ხომ აქვს? ვის ატყუებენ? ეს არის დაზუსტების კომისია? ეს მარტო სირცხვილი კი არ არის, ეს დანაშაულია! ყველამ კარგად იცის, რომ ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში მოსახლეობის ორი მესამედი არის ამომრჩეველი, ერთი მესამედი კი ბავშვები არიან. თუ თბილისი მილიონიანი ქალაქია, აქ ხომ 300 000 ბავშვი უნდა იყოს დაახლოებით? კიდევ ვიმეორებ, ნებისმიერ ქვეყანაში 25-27 პროცენტი მოსახლეობისა არიან არასრულწლოვანები, ეს მარტო ჩვენთან არ ყოფილა ასე!

**— ბატონო გია, კარგა ხანია არჩევნებში მონაწილეობის რეალური შანსი არ გქონიათ, ოქტომბერში კი თქვენ მიიღებთ მონაწილეობას. პარლამენტში პეტრე მამრაძის სახით გყავთ წარმოდგენილი, ისიც ცნობილია, რომ „ქართული ოცნების“ კოალიციის მხარდამჭერი იქნებით, როგორ აპირებთ მუშაობის გაგრძელებას?**

— „ქართული ოცნების“ პარტნიორები ვართ და ვიქნებით მათ გვერდით, თუ რა ფორმით, ან როგორ მოდელს ავირჩევთ, ეს ჯერ არ გადაგვიწყვეტია, ჯერ კიდევ გვაქვს დრო, რომ ჩამოვყალიბდეთ.

**— როგორ ფიქრობთ, „ნაციონალები“ კიდევ ხომ არ მოაწყობენ პროვოკაციებს იმისათვის, რომ არჩევნები ან ჩაშალონ ან რუსეთთან ურთიერთობა დაძაბონ, სექტემბერში ხომ რუსების წვრთნები იწყება „კავკასია 2012“, თანაც, ეს წვრთნები სექტემბრის თვეშია, ხომ არ რისკავენ ისინიც?**

— რუსებს ეს წვრთნები უნდა ჩაეტარებინათ, წესით, ივლისში, გადმოიტანეს 17-23 სექტემბერს, ჩვენი არჩევნები დაინიშნა 1 ოქტომბერს. ვფიქრობ, სააკაშვილი კვლავ ამზადებს მორიგ პროვოკაციას, რომელსაც შემდგომში ოპოზიციას დააბრალებს. იტყვის, რომ ოპოზიციამ შემოიყვანა აქ ჯარები, სინამდვილეში კი მას თავად სურს მათი აქ შემოყვანა, არჩევნების წინ, ჩაშლის მიზნით. თავადაც ყველა ხედავს, როგორი აგრესიული ხდება, როცა ოპოზიციის ლიდერებზე და განსაკუთრებით კი ბიძინა ივანიშვილზე საუბრობს.

ცხადია, რომ „NDI“ და სხვათა გამოკითხვის რეიტინგები არარეალურია. თუ ისინი აცხადებენ, რომ ბიძინა ივანიშვილს მოსახლეობის 25 პროცენტი უჭერს მხარს, დანარჩენი ოცდახუთი პროცენტი კი არ ამბობს ვის მისცემს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ღიად არ აცხადებენ, მაგრამ რეალურად მისი მხარდამჭერები არიან. დღეს ხალხი დაშინებულია. იტყვის ყველა სიმართლეს? ცხადია არა! „ნაციონალების“ მხარდამჭერნი რომ იყვნენ, ვინმე უშლით, სიამაყით იტყოდნენ მათ ვაძლევთ ხმასო. ანდა „ქრისტიან-დემოკრატების“ მხარდამჭერები რომ იყვნენ. ხომ ხედავთ, როგორ დადიან თავისუფლად, ტელევიზიის თანხლებით და საარჩევნო კამპანიას ეწევიან, ქეიფებს აწყობენ ღიად, სააკაშვილი მათ ვერ ხედავს? ეგენი არიან ოპოზიციონერები? მათ ვინმე ებრძვის ან ეკამათება? ისიც მინდა შეგახსენოთ, რომ კვლევებით დადასტურდა, რომ მოსახლეობის სულ ნაწილს 65 პროცენტი, ვისაც აქვს „რეალ-ტივის“ არხი, მათ არ უყურებს. ეს რას ნიშნავს? იმას, რომ ეს არხი ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა-გინებით არის დაკავებული. ეს 65 პროცენტი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია და იმიტომ. მოკლედ რომ გითხრათ, დღეს მოსახლეობა ღიად სიმართლეს არ ამბობს, ამიტომ ამ კვლევებზე დაყრდნობა შეუძლებელია.

**— თქვენს პარტიას თუ აქვს საარჩევნო დოქტრინა შემუშავუებული, იქნებ გვითხრათ ორიოდე სიტყვით ის, რის გაკეთებას შეძლებთ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში?**

— ჩვენი პარტიის საარჩევნო ნომერი არის 39, რა ფორმით შევალთ კოალიციაში, ამას ჩამოვაყალიბებთ, არჩევნებში მოსახლეობა უნდა გააქტიურდეს. დარწმუნებული ვარ, თუ საარჩევნო უბნებთან იქნება რიგები, იქ „კარუსელების“ განხოციელებას ვერ შეძლებენ. ერთადერთი შანსია ის, რომ ყველა მივიდეთ არჩევნებზე და სასურველ კანდიდატს მივცეთ ხმა. რაც შეეხება „მწვანეთა პარტიას“, ჩვენი მთავარი პროგრამაა შევქმნათ „ეკოლოგიურად სუფთა ქვეყანა“ — ის, რისკენაც მიისწრაფვის მთელი ცივილიზებული სამყარო, ევროპა. ჩვენ ამ ინტელექტუალურ სამყაროს ნაწილი უნდა გავხდეთ.

დღეს ბევრი პარტია საუბრობს ენერგეტიკაზე, ეს საკითხი პირველად ჩვენ დავაყენეთ. გვსურს შევქმნათ საქართველოში ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროები და დაზოგვითი ტექნოლოგიები, რომელიც თითოეულ ოჯახში ელექტროენერგიის ხარჯს შეამცირებს 10 ჯერ! ამ პროგრამის მიხედვით, მოსახლეობას გადასახადი ექნება მიზერული თანხით. ტექნოლოგიებით შესაძლებელია გაზის ხარჯების განახევრება, რის საშუალებასაც მოგვცემს დაზოგვითი ტექნოლოგიები. განა ეს ცოტაა? ჩვენმა ხალხმა არც კი იცის, რომ ეს პროცესები მსოფლიოში უკვე დაიწყო, „ნაციონალები“ კი მხოლოდ გადასახადების გაზრდით არიან დაკავებულნი და ისედაც შეჭირვებული ხალხი უფრო გაუბედურდა, რატომ არ უნდა გვქონდეს ჩვენ დიოდური ნათურები, რომელიც 12-ჯერ ნაკლებ დენს ხარჯავს? მოსახლეობამ ამის თაობაზე არც კი იცის. ამიტომ ჩვენი ვალია, ეს ყველაფერი ხალხს გავაცნოთ, ავუხსნათ და ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს მსოფლიოში არსებული ყველა ის სიკეთე, რაც შეგვიძლია რომ გვქონდეს. ეს იქნება „ეკოლოგიურად სუფთა ქვეყანა“, რაც არის კიდეც ცივილიზებული სამყაროს ნათელი მომავალი.

**ეთერ კასრელიშვილი**

# 12 weli, viTarca erTi dRe...


ძვირფასო თანამემამულენო! შეინახეთ „მართალი გაზეთის“ ეს ნომერი, შეინახეთ და წაიკითხეთ 5-6 წლის შემდეგ: თუ ხელისუფლების სათავეში ის პოლიტიკური ძალები მოვლენ, რომლებიც „რუსთავი-2“-ის უკან დგანან, დღევანდელი დღე სანატრელი გაგიხდებათ!

მართალს ვიტყვი. შევიქნები ტყუილისა მოძმე რად? დ. გურამიშვილი

მართალი გაზეთი

№53(75) 1.11.-4.11. 2001 ფასი 50 თეთრი

„რუსთავი-2“-მა საქართველოს წინაშე პასუხი უნდა აგოს თუ მის მიერ აგორებულ პროვოკაციას ქვეყანაში დესტაბილიზაცია და სისხლისღვრა მოჰყვება

**ძვირფასო თანამემამულენო! შეინახეთ „მართალი გაზეთის“ ეს ნომერი, შეინახეთ და წაიკითხეთ 5-6 წლის შემდეგ თუ ხელისუფლების სათავეში ის პოლიტიკური ძალები მოვლენ, რომლებიც „რუსთავი-2-ის“ უკან დგანან, დღევანდელი დღე სანატრელი გაგიხდებათ!** — ეს **„მართალი გაზეთის“** ქუდია №53 (75) 1.11 – 4.11 2001 წელს.

ფაქტია, არ იღო ყურად საქართველომ „მართალი გაზეთის“ მიმართვა-გაფრთხილება 2001 წელს, მოვიდნენ ხელისუფლებაში ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც „რუსთავი-2-ის“ უკან იდგნენ და დღესაც დგანან (რის უკან არ დგანან, საკითხავი ისაა).

**გთავაზობთ ინტერვიუს „მართალი გაზეთის“, დღეს კი, „საერთო გაზეთის“ რედაქტორ ბატონ ვახტანგ ხარჩილავასთან.**

— მაია, კარგად იცი, **„მართალი გაზეთი“** 2000-2003 წლებში გამოდიოდა, სულ რაღაც სამი-ოთხი წელი, მაგრამ რომ გადახედო, თარიღი შეუცვალო, დააწერო, დავუშვათ, 2011 წელი და დატოვო იგივე მასალები, გეგონება, იგივე დროა. იმდენად უცვლელი დარჩა ის პრობლემები, რაზეც ჩვენ ვწუხდით, იმდენად ისევ ისეთი საგანგაშო სიტუაციაა, მთლად გაყინული გონების რომ იყოს კაცი, მაინც მიხვდება, რომ საქართველოში არაფერი შეცვლილა ქვეყნის სასიკეთოდ.

**— და არც სახეები...**

— გეთანხმები, არც სახეები — რამდენიმეს გამოკლებით, რამდენიმეს მიმატებით იგივე ადამიანები ტრიალებენ როგორც პოლიტიკურ ორბიტაზე, ასევე მასმედიაში და ცალკეულ სტრუქტურებში. განსხვავება მხოლოდ იმაში არის ზოგჯერ, რომ თუ მავანი ჟურნალისტი ან პოლიტიკოსი წლების წინ სააკაშვილის ქება-დიდებას აღავლენდა, ახლა თითს უქნევს სააკაშვილს, თუმცა იგივენი არიან შინაგანად, მხოლოდ ამპლუა შეიცვალეს.

**— ანუ ცვლილება, რასაც გვპირდებოდნენ, არც ამ მხრივ მომხდარა.**

— დიახ, ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები გადანაწილდნენ ერთმანეთში და პოზიციები „შეიცვალეს“, თორემ, რასაც ჰქვია ცვლილება საზოგადოებრივ ან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს არ მომხდარა. თითქოს ჩაკეტილი წრეა, პრივატიზებული სივრცეა, სადაც უცხოს, გარედან მოსულს არ უშვებენ.

ქართულ ტელევიზიებს რომ დააკვირდეთ, არ აქვს მნიშვნელობა, ე.წ „ნაციონალური არხები“ იქნება თუ ე.წ ოპოზიციური, ერთი და იგივე ადამიანები ტრიალებენ, იშვიათად თუ გაკრთება ახალი სახე. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სივრცე არა მხოლოდ პრივატიზებულია, უფრო მეტიც, ამ სივრცეს ვიღაც განკარგავს. ის უჩინარი, გარდა იმისა, რომ რეჟისორობს ამ სივრცეს, სიტუაციასაც აკონტროლებს, რომ არ მოხდეს ვინმე უცხოს შემოჭრა ამ სივრცეში, რომელიც დისონანსს შეიტანს დალაგებულ „სისტემა-ოჯახში“.

ჩემი აზრით, რეჟისორი არ უნდა იყოს ვიღაც ჩვენებური — აი, ამაზეა საუბარი იმ ჩვენს „მართალ გაზეთში“. 12 წლის წინათ ჩვენ მთელი ხმით გავყვიროდით, რომ ეს არის უცხო ძალების მიერ მართული, თავისი მრწამსითა და თავისი სულისკვეთებით ანტიქართული ძალა, რომელიც დაანგრევს საქართველოსო, მაგრამ ვინ გვიჯერებდა ჩვენ, ჩემო მაია? დაჯერებას ვინ ჩივის, გახსოვს, როგორ აგრესიულად გვექცეოდნენ, როგორ ბედავთ ჩვენს საყვარელ ახალგაზრდა ლიდერებზე რაღაცების წერასო. ისიც გემახსოვრება, დრო რომ გავიდა, ადამიანები ბოდიშს გვიხდიდნენ — არ გვეგონა, ასეთები თუ იყვნენ, შეგვეშალაო...

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობსო, ვამბობთ, — საიდან იარსებებს ეს საზოგადოება, როცა ოცი წლის განმავლობაში, 1992 წლიდან, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ ჩამოყალიბდეს.



XXI საუკუნეა და ქვებს ისვრიან. ეს ვითომ პატარა დეტალია, მაგრამ პატარა კი არა, ძალიან დიდი დეტალია, იმიტომ, რომ, ამაში ჩანს, როგორ ჩაგვემსხვრა შიგნით ის ხერხემალი, რაზეც დგას ერი, ჩვენი წარსული, თუნდაც ჩვენი ქცევის ნორმები როგორ დავივიწყეთ, როცა ჩვენ ქვებს ვესვრით ერთმანეთს იმის გამო, რომ ზოგს გრიშა მოწონს და ზოგს — მიშა. კი, მაგრამ მხოლოდ გრიშა და მიშაა საქართველო? თვით ეს ქვეყანა შენი არ არის და საკუთარ თავში არ გაერთიანებთ შენც, იმ მიშასაც და გრიშასაც, ყველას აწმყოს და მომავალს, ყველას შვილებისა და შვილიშვილების ბედს? — ამაზე პასუხისმგებლობას რატომ არ გრძნობ, როცა ცხოვრობ ამ ქვეყანაში და უკაცრავად, მაგრამ მიწას ამძიმებ? 26 წლის ახალგაზრდა კაცმა გვითხრა: — „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“ — სოფელზე, სამშობლოზე ზრუნვა რატომ დაგვავიწდა? რა არის სამშობლო ჩვენთვის, ბოსელია, საბძელია, ბოსტანია, მარკეტია, კაცო?! ბაზრობაა მხოლოდ, სადაც სარგებელი შეიძლება ვნახოთ? ესაა მხოლოდ?

**— სწორედ იმიტომ მიყვარს ის „მართალი გაზეთი“, რომ ამაზეა საუბარი, ამის შესახებ აფრთხილებდა თითქმის ყველა ნომერში მკითხველს, რომ ართმევდნენ ყველაზე ძვირფასს, ძალზე მნიშვნელოვანს...**

— ყველა ნომერი იყო გაფრთხილება, რა იგეგმებოდა და შეძახილი: — „გადაჯიშებას გვიპირებენ, გადასხვაფერებას და ნუ იზამთ ამას, ქართველებო!“ — არ გვისმენდნენ! ასეთ ადამიანებს არ უსმენს ჩვენი საზოგადოება, სამაგიეროდ, დიდი ინტერესით უსმენს ვიღაც ავანტიურისტს, რომელსაც პარლამენტარობა უნდა, ძალაუფლება უნდა, რაღაც პირადი ინტერესები რომ აქვს.

ეს თუ ასე არ არის, აბა, ძნელი შესატყობი იყო, ვინ იყვნენ ისინი, ვინც დღეს ხელისუფლებაში გვყავს? გაიხსენეთ, როგორ იქცეოდნენ, რას ქადაგებდნენ, რა ინტერესები ჰქონდათ — ამას მიხვედრა არ უნდოდა, ეს ზედაპირზე იდო. მიუხედავად ამისა, მაინც ხომ აცუნდრუკდა ქართველი ხალხის საკმაო ნაწილი, მაინც ხომ ამჩატდა, მაინც ხომ გაჰყვა საცდურს?

**— გახსოვთ, ასეთი აზრი ტრიალებდა, „შევარდნაძეზე უარესი ვინლა უნდა იყოს“, „ოღონდ შევარდნაძე არ იყოს, ვინც გინდა იყოს“...**

— ეს იდიოტური არგუმენტია! რას ჰქვია — „ვინც გინდა იყოს!“

ჯერ ერთი, იმ დროს, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, შევარდნაძე იყო პრობლემა? — ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი და ის იქნებოდა, თუ არ იქნებოდა, დიდს აღარაფერს ნიშნავდა, რადგან, ძალაუფლება ისედაც ამათ ჰქონდათ უკვე ხელში, ესენი მართავდნენ ქვეყანას. ფეხებზე ეკიდათ გენერალური პროკურატურაც, შინაგან საქმეთა სამინისტროც და აბსოლუტურად ყველა უწყება.

**— მაშინ მოახდინეს საქართველოს პრივატიზება და ახლა ვინაა დამთმობი...**

— ასეა. შევარდნაძის ერთ-ერთი უმთავრესი ცოდვა, რაც მან ჩაიდინა, ისაა, რომ მან ჩააბარა ხელისუფლება ამათ და ასპარეზიდან გააძევა ის საშუალო თაობა, რომელიც ჭკუადამჯდარი იყო, გონიერი და პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა. ახლა რომ ამბობენ, „ჩარეცხილებიო“, ჩარეცხვა ის იყო, რაც შევარდნაძემ გააკეთა, ჩარეცხა მთელი თაობა, რომელსაც უნდა ეტვირთა ქვეყნის ტვირთი და ჩაანაცვლა პატარა ბიჭებით, რომლებიც, როგორც კი მოღონიერდნენ, მოუტრიალდნენ გამზრდელს და პანღურით გააძევეს. ის კი იყო ღირსი, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, ქვეყანამ რა დააშავა?



**— ბატონო ვახტანგ, საჩოთირო რამ უნდა გკითხოთ, არ ფიქრობთ, რომ ხალხის გაბაიბურებაში ლომის წილი ჩვენს კოლეგებს — ჟურნალისტებს უდევთ?**

— სამწუხაროდ, ასეა. თუმცა ესენი ჟურნალისტები კი არა, სპეცსამსახურების თანამშრომლები იყვნენ და არიან.

ესენი რომ მოიყვანეს ხელისუფლებაში, დაირქვეს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ და ეს ე.წ ჟურნალისტთა კორპუსი გადანაწილდა, ზოგი სახელმწიფო სტრუქტურებში წავიდა და ძალიან თბილად და ტკბილად მოკალათდა, ზოგი — ე.წ ოპოზიციურ ტელევიზიებში და ახლა იქიდან გვმოძღვრავენ, ვითომ თვითონ არ შეეწყოთ ხელი იმისთვის, რასაც ახლა ებრძვიან. დამიჯერეთ, ვინც იმ დროს ასე ირჯებოდა და „მოღვაწეობდა“, ისინი ისევ იქ არიან, სადაც იყვნენ და ვერასოდეს გამოვლენ იქიდან, იქვე არიან ჩარჩენილი.

აბა, კარგად მოუსმინეთ მათ საუბრებს, მათ გადაცემებს, მათ რეპლიკებს — ისინი ვერსად ვერ წავლენ თავიანთი წარსულიდან. მერე რა, რომ ერთ-ორ კრიტიკულ ფრაზას ისვრიან, ვიღაცას გაკენწლავენ, ესენი, ეს ე.წ. „სამხრებიანი ჟურნალისტები“ არიან ისევ იქ, თავიანთი ძველი პატრონების გვერდით.

ფარისევლობამ დააქცია ეს ქვეყანა! ფარისევლობს ყველა! პოლიტიკოსებზე ხომ აღარც ღირს საუბარი, სინდის-ნამუსის ძარღვი ყველას ერთად გაუწყდა თითქოს; ფარისევლობს კაცი, რომელსაც განათლებული და ინტელექტუალური ადამიანი ეთქმის; ფარისევლობს კაცი, რომელსაც არაფერში სჭირდება ფარისევლობა; ფარისევლობს სასულიერო პირი; ფარისევლობს მრევლი...

აბა, დააკვირდით, როგორი ურთიერთობებია ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის — სიმართლის თქმა ვის რაში აინტერესებს, მთავარია, ერთმანეთს კარგად წაეფარისევლონ.

სიყვარული ნიჭიაო. მე ვფიქრობ, რომ სიყვარული ბედისწერაა. იბადებიან ადამიანები, რომლებთაც საკუთარი თავის გარდა არავინ და არაფერი უყვართ. როგორც ჩანს, ასეთი ადამიანების სიმრავლეა საქართველოში და ამიტომ უცხოა მათთვის სიტყვა „თავგანწირვა“, თავგანწირვა, ვთქვათ, ქვეყნისთვის, პრინციპებისთვის, მოყვასისთვის, უსიყვარულოდ გაკეთებული კი, არანაირი საქმე არ უნახავს არავის...

— მოდი, ჩვენ ისევ გავაგრძელოთ იმ „მართალი გაზეთის“ ტრადიციები და სიმართლე ვილაპარაკოთ.

— ვილაპარაკოთ, სხვა რა დაგვრჩენია...

* * *

„წერილი, რომელსაც ახლა გთავაზობთ, „მართალი გაზეთის“ ფურცლებზე დაიბეჭდა 2002 წლის ივლისის თვეში. რედაქციის მინაწერში ვკითხულობთ: „პიროვნება, რომლის მონათხრობსაც ვეყრდნობით, ამ წერილის მომზადებისას და რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის გამჟღავნება, საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების ნიუანსებში კარგად ჩახედული და ფართოდ ინფორმირებული პირია. ცხადია, ჩვენ არ შეგვეძლო ამ პიროვნების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, თუმცა, მისი მიწოდება საზოგადოებისთვის მაინც აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია — საკითხი ჩვენი ქვეყნის ბედიღბალს ეხება.“

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# aqa ambavi `verbliudisa~ romelic saqarTveloSi zogierTebs nacionalur gmirad miaCniaT

### ბუშის და შევარდნაძე-პუტინის მოწინააღმდეგეთა საიდუმლო გარიგება

„11 სექტემბრის ამერიკული ტერაქტის შემდეგ შანხაიში აშშ-რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრამ და იმ ფაქტმა, რომ პუტინმა სუპერსახელმწიფოს პოსტსაბჭოთა სივრცის აზიური სამხედრო ბაზების დროებითი დათმობით მყარი პლაცდარმი შეაქმნევინა ჩეჩნეთის საზღვართან, აშკარად თუ ფარულად აამხედრა როგორც ბუშის, ასევე პუტინის მოწინაარმდეგეები.

ამ გარიგების პროცესუალური შესრულების ბოლო ეტაპზე ატყდა ქართული მედიის და პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენლის კიჟინი კოდორში შეიარაღებული ჩეჩენი და არაბი „ბოევიკების“ დაბანაკებაზე, რასაც მოჰყვა ედუარდ შევარდნაძის აგრესიული განცხადებები რუსეთის წინააღმდეგ. პოსტსაბჭოთა ექსსაგარეო მინისტრი პირველად დაუპირისპირდა რუსეთს საჯაროდ, რასაც რუსეთის ხელისუფლების „მემარცხენე“ პოლიტიკური ძალების მხრიდან საპასუხო აგრესიული კომენტარები მოჰყვა, პრეზიდენტი პუტინი კი, რატომღაც ზეკოსმიური სიმშვიდით შეხვდა ყოველივეს.

ვითარების ანალიზი ქვეშეცნეულად იძლევა საშუალებას, რომ აშშ-რუსეთის დიდი შეთანხმების პარალელურად, რუსეთ-საქართველოს, ანუ პუტინ-შევარდნაძის საიდუმლო შეთანხმებაც დავინახოთ, რომელიც პოლიტიკური კანონით კვლავაც „გაუმჭვირვალეა.“

ხსენებული დიდი შეთანხმების ირგვლივ გაჩენილი პირდაპირი თუ ირიბი ვარაუდებით შეშფოთებული ბუშის და შევარდნაძე-პუტინის მტრები აშკარად ამოქმედდნენ.

ვაშინგტონის თეთრი სახლის კულუარებიდან დაპირისპირებამ ავანსცენაზე გადმოინაცვლა და რესპუბლიკელებს ძალების მობილიზება უწევთ, რათა თავიდან აიცილონ კრიტიკის ნალმები თანაპარტიელ ბუშს.

სხვათაშორის, სამივე პრეზიდენტის წინააღმდეგ დაწყებული განზრახვის პირველი რაუნდი საქართველოში განხორციელდა და პრეზიდენტმა შევარდნაძემ გასული წლის ნოემბერში ტახტი თუ ეხსშინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის გადადგომით შეინარჩუნა, 2002 წლის გაზაფხულზე კოდორში შექმნილი დაძაბულობიდან შევარდნაძე პრეზიდენტმა პუტინმა იხსნა.

ქართული საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ორივე ინციდენტის ფარული ორგანიზატორები ჟვანია-სააკაშვილის სახით, რომლებიც სულ ცოტა ხნით ადრე, დასავლეთის ტრიბუნიდან არშემდგარ ქართულ სახელმწიფოზე საუბრობდნენ.

დასავლეთიდან მიღებული დირექტივების შესაბამისად მოქმედი ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფი ახალ, მორიგ „ანტირუსულ“ და „ანტიშევარდნაძისტულ“ კამპანიას გეგმავს. მათი მიზანია კრიმინალების საშუალებით შიგა თუ სასაზღვრო დივერსიების მოწყობა, რაც გამოიხატება თავდასხმებით, ძარცვებით... შესაძლოა, კვლავ გაიმეტონ სასიკვდილოდ ვინმე, კომპეტენტური პირი, რათა აჩვენონ მსოფლიოს, თუ როგორ ბინძურად ებრძვის შევარდნაძის ხელისუფლება ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებას საქართველოში.

მოგეხსენებათ, ასეთი მასშტაბური აქციის დაწყებას ესაჭიროება ფული, რომლის წყარო, როგორც „ჟურნალისტური გამოძიების“ მოსკოველი ინფორმატორი იტყობინება, კვლავ ამერიკულ-რუსულ-სომხური ფინანსებია.

რიგგარეშე სესიების მსვლელობისას პარლამენტის კულუარებში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ვახტანგ ჭკუასელი მოსკოვიდან იტყობინება ჟვანია-სააკაშვილის განახლებულ ურთიერთობებზე დასავლეთის რუს რეზიდენტებთან, რომელთაც ჟვანია-სააკაშვილმა კარგა ხანია, სულთან ერთად, საქართველოს სტრატეგიული საიდუმლო სახელმწიფო ინფორმაციებიც მიჰყიდეს. ვინაიდან ამჯერად მისაყიდი აღარაფერია, შევარდნაძის მემკვიდრეობას დახარბებული, მისსავე უბეში გამოზრდილი ჟვანია-სააკაშვილი მტრულად განწყობილ დასავლეთის რუს რეზიდენტებთან ახალი მოტივით დაახლოებას ცდილობენ, რაც უნდა გამოიკვეთოს მთავრობის, მათ შორის შსს, უშიშროების მინისტრებისა და პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით. საპროტესტო აქციის საბაბის საშუალებას შექმნიან მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების იმ წარმომადგენელთა მხარდაჭერით, რომლებიც მათი ფარული დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებიან.




მართალია, ერთ დროს ევგენი პრიმაკოვთან ურთიერთობაში ასლან აბაშიძის ფარული ძალისხმევით ჟვანია-სააკაშვილს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მაგრამ ახლა ახალი იდეებით განაახლეს ურთიერთობა პრიმაკოვის მთავარ დასაყრდენ „რუსეთის სტრატეგიული კვლევის ცენტრთან“. როგორც მოსკოვიდან გვატყობინებენ, ურთიერთობის ამ ინიციატივას მხარს უჭერს იური ლუჟკოვი.

იური ლუჟკოვი ცნობილია, როგორც „მემარცხენე ცენტრისტული“ პარტიების ლიდერი და მისი „ოტეჩესტვო-ს“ შტაბ-ბინა ხშირად მასპინძლობს რადიკალურად მემარცხენე პოლიტიკურ ლიდერებს: სერგეი ბაბურინს, კონსტანტინ ტიტოვს, ბორის ფიოდოროვს და სხვებს, რომელთა უკან დგანან მსხვილი ბიზნეს-ოლიგარქები, მათ შორის: არკადი ვოლსკის, კობზონის, დოვგანის და წარმოშობით ზუგდიდელი ანზორ კიკალიშვილის სტრუქტურათა ბიზნესმენები.

ბოლო დროს აღსანიშნავია პრიმაკოვ-ლუჟკოვისა და ვლადისლავ სურკოვის პოლიტიკური ტრიო, რომლებიც, პუტინს დიდად არ მოსწონს.



აი, ამ ჩამოთვლილ ძალებთან განაახლეს ურთიერთობა ჟვანია-სააკაშვილმა, რათა მათზე დაყრდნობით მიიღონ დაფინანსება იმ გადატრიალებისთვის, რაც იგეგმება ორმხრივი შეთანხმებით პუტინ-შევარდნაძის საწინააღმდეგოდ. ასე რომ, ლოზუნგი „მოსკოვი პუტინის და თბილისი შევარდნაძის გარეშე“ მხარეთათვის საერთოა.

სააკაშვილი, რომლის საიდუმლო ფსევდონიმია „ვერბლიუდი“, რუსული სპეცსამსახურების ოფიცერია და დაკავშირებულია სპეცსამსახურების იმ ძალებთან, რომლებიც დასავლეთიდან მიღებული დირექტივებით მოქმედებენ შევარდნაძე-პუტინის წინააღმდეგ.

რუსული „იმიჯკონტაქტი“, რომელიც დაარსების დღიდან დასავლეთიდან მიღებული დირექტივების შესაბამისად მოქმედებს, კვლავ ჟვანია-სააკაშვილის სამსახურშია და განახლებული პროგრამით იწყებს საზოგადოების ფსიქოტრონული ზემოქმედებით ზომბირებას.“

* * *

მივუბრუნდეთ იმ დროს, ვნახოთ, როგორ განვითარდა მოვლენები, გამართლდა თუ არა მოსკოვიდან მოწოდებული ინფორმაცია.

ყველას თუ არა, საზოგადოების დიდ ნაწილს ახსოვს, რა ამბავი ატყდა როდესაც „რუსთავი-2-ის“ ოფისში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო ჯგუფი შევიდა — ქუდზე კაცს იძახებდნენ ცალკე „რუსთავი-2-ის“ ე.წ სახეები და ცალკე — ახალგაზრდა ე.წ პოლიტიკოსები („ახალგაზრდა რეფორმატორები“, რომლებიც დღეს ხელისუფლებად და ოპოზიციად არიან წარმოდგენილები). უშიშროების სამსახურის ჯგუფის წევრები დამნაშავე ბავშვებივით ლიფტთანვე იდგნენ ჩამწკრივებული და დაკითხვას პირიქით, ტელეკომპანიის ჟურნალისტები უტარებდნენ, გარეთ კი ხალხის მობილიზება იყო დაწყებული, არიქა, თავისუფალ სიტყვას აპა-




ტიმრებენო. მოსკოვური ინფორმაციის თანახმად, რა თქმა უნდა, იქვე იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

საბოლოოდ, უშიშროება, როგორც შეიძურწა „რუსთავი-2-ში (სხვა სიტყვა არ შეეფერება), ისევე გამოიძურწა, მაგრამ ცივილიზებული მსოფლიო უკვე „დაბოლებული“ იყო, რომ უშიშროების სამსახურის თანამშრომლები ძალით შეიჭრნენ ტელეკომპანიაში და მხოლოდ ხალხის ძალისხმევამ იხსნა რაღაც საშინელებისგან.

რამ და ვინ იხსნა საქართველო იმ დროს სისხლისღვრისგან, ეს სხვა თემაა, მაგრამ უშიშროების მინისტრის თავი უკვე ტყავზელა ეკიდა, ცხადი იყო, რომ უშიშროების საბჭოს სხდომაზე მინისტრი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განაცხადებდა. მიუხედავად იმისა, რომ თვით მინისტრმა ვახტანგ ქუთათელაძემ ბრძანა, რომ მისი უწყების თანამშრომლებს კანონი არ დაურღვევიათ, არც არსად შეჭრილან, არც უფლებამოსილებისთვის გადაუმეტებიათ და მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე იყვნენ შესული. ისე მოხდა, როგორც გეგმა ითვალისწინებდა, მინისტრი გადადგა, რაც არავის გაკვირვებია.

საქართველოს გენერალურ პროკურორს სასწრაფოდ დაევალა შექმნილი მდგომარეობის შესწავლა და სათანადო დასკვნის გამოტანა. შესასწავლი არაფერი ჰქონდა გენპროკურორს, წინ ელაგა ყველანაირი დოკუმენტი, რომ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ გაბითურებული ხალხის რაოდენობით ზურგგამაგრებული შევარდნაძის მემკვიდრეობის მოსურნენი ულტიმატუმის ენაზე იქით ალაპარაკდნენ, მხოლოდ უშიშროების მინისტრი არ კმარა, შსს მინისტრი კახა თარგამაძე და გენპროკურორი გია მეფარიშვილიც გადმოგვიგდეთ, რადგან ამ სამმა შეთქმულება და შესაბამისად პროვოკაცია დაგეგმა თავისუფალი სიტყვის მებაირახტრე, ხალხის ტელევიზია „რუსთავი-2-ის“ წინააღმდეგო.

აქ იყო ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რასაც დაბრმავებული თუ უმწიფარი (ან ორივე ერთად) საზოგადოება ვერ აცნობიერებდა — ჟვანია ღიად სთავაზობდა გარიგებას გენპროკურორს, რომლის ბედიც იმით განისაზღვრებოდა, რა დასკვნას დადებდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ კანონის დაუმორჩილებლობა კანონშემოქმედებითი ინსტიტუტის, ანუ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ იყო წახალისებული და მხარდაჭერილი. სწორედ ბატონ ჟვანიასთან საკონსულტაციო ზარისა და მისი ჩარევის შემდეგ ატყდა გნიასი „რუსთავი-2-ში“. ბატონმა ჟვანიამ კარგად იცოდა, რომ კანონით, სამართლებრივი პასუხისმგებლობა მას და მის თანაგუნდელებს ეკისრებოდა, ამიტომაც ქვეშეცნეულად კი არა, სრული შეგნებით შესთავაზა გარიგება გენპროკურორს (ალბათ, მსოფლიოში ურბილეს გენპროკურორს).

მათი შიში საფუძვლიანი იყო, რადგან მათზე უკეთ არავინ იცოდა, რაც ჩაიდინეს და მათი მოქმედება რა მუხლით იყო დაფიქსირებული სისხლის სამართლის კოდექსში.

შს მინისტრმა, რომ იტყვიან, თავზე დაახურა ყველაფერი ბატონ ჟვანიას. ამ უკანასკნელმა სხდომა დატოვა და დარწმუნებული იყო, რომ შევარდნაძე მის (მისი გუნდის) მოთხოვნებს მხარს არ დაუჭერდა, არც შს მინისტრის და არც გენპროკურორის გადადგომას არ დათანხმდებოდა, ამიტომ ერთადერთ იმედად მხოლოდ პარლამენტი რჩებოდა.

სხდომის დამთავრების შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ბატონი ჟვანიას ეჭვი გამართლდა, შევარდნაძემ განაცხადა, რომ „რუსთავი-2-ში“ შესვლისას კანონი არ დარღვეულა და ამიტომ არც მხარს დაუჭერს ხსენებულ პირთა წინააღმდეგ წაყენებულ მოთხოვნას — ხუთშაბათი იყო.

შევარდნაძე იყო მაშინ ერთადერთი, ვინც ამას ამბობდა, სხვას არავის, მათაც კი, ვისაც სამსახურებრივად ევალებოდათ, რომ ობიექტური სამართლებრივი შეფასება მიეცათ მომხდარისთვის, პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული...

სხდომიდან გამოსულმა ჟვანიამ ჟურნალისტებს გამოგვიცხადა, რომ აქციის შემდგომი განვითარების ფორმა დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, შესრულდებოდა თუ არა მის (მისი გუნდის) მიერ წამოყენებული მოთხოვნა.

პარლამენტის სხდომაზე, რომელიც პარასკევს იყო დანიშნული, დიდი ამბავი უნდა გადაწყვეტილიყო. წინა ღამეს ჟვანია-სააკაშვილის ბანაკში საყოველთაო თათბირი გაიმართა, რომელშიც გზიდან ერთვებოდა მიხეილ სააკაშვილი და მითითებებს ტელეფონით იძლეოდა. როგორც ხმა გამოვიდა, გამოცდილი სპეციალისტების მიერ მოსკოვში დამუშავებული გეგმა სწორედ იმ დღეს უნდა განხორციელებულიყო.

გეგმის მიხედვით, შევარდნაძე უნდა აეძულებინათ, რომ გადამდგარიყო და ასევე, აუცილებლად უნდა დაეტოვებინათ პოსტები შს მინისტრს და გენპროკურორს, რის შემდეგაც, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლი ავტომატურად გახდებოდა ჟვანია, რომელსაც 45 დღის განმავლობაში უნდა მოემზადებინა საფუძველი ახალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ვინაიდან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს საკადრო ცვლილებების უფლება არ ჰქონდა, შეიძლებოდა, ჟვანია-სააკაშვილის გუნდს სრული ფიასკო განეცადა, თუ პოსტებზე დარჩებოდნენ კახა თარგამაძე და გია მეფარიშვილი, ასე რომ, აუცილებელი იყო მათი მოშორებაც.

**მაია ჭელიძე**

(გაგძელება იქნება)

# ministr goga xaCiZis mama, romelic `mxedrionis~ wevri iyo, yaCaRobaSi imxileboda?!



***„საერთო გაზეთს“ ცნობილმა ადვოკატმა მამუკა ნოზაძემ ძალზე საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძის მამის არცთუ სახარბიელო წარსულს ეხება. ამ თემით შეიძლება არც დავინტერესებულიყავით, რომ არა სურამში მომხდარი ის ცნობილი ინციდენტი, რა დროსაც მინისტრის მამა და მისი ქალიშვილი გავეშებული ებრძოდნენ ხალხთან შესახვედრად მისულ „ქართული ოცნების“ წევრებს.***

**მამუკა ნოზაძე:** „ზუსტად არ მახსოვს რომელი წელი იყო, ყოველ შემთხვევაში გოგა ხაჩიძე იმ პერიოდში სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გახლდათ, როცა ხაშურის სასამართლო (მოსამართლე თამაზ თაყაძე) იხილავდა სამოქალაქო საქმეს, სადაც მე ერთ-ერთი მოპასუხის ინტერესებს ვიცავდი. ამ საქმეში კიდევ ორი მოპასუხე იყო, მათ შორის ხაჩიძის მამა. საქმე ეხებოდა „მხედრიონის“ ზეობის პერიოდში ხაშურში მომხდარი დაყაჩაღების ფაქტს. სარჩელის შინაარსი იყო ასეთი, რომ სამმა შეიარაღებულმა პიროვნებამ დააყაჩაღა ხაშურში მცხოვრები ეთნიკურად ოსი პირი და ამ ყაჩაღობაში იმხილებოდა გოგა ხაჩიძის მამაც. დაზარალებული ჩიოდა, რომ მისი სახლიდან გაიტაცეს ანტიკვარული იარაღი და მის დაბრუნებას ითხოვდა. სხვათა შორის, ამ დანაშაულზე იმ პერიოდშივე აღიძრა სს-ის საქმე, თავდამსხმელები დააკავეს და ისინი რამდენიმე თვე ისხდნენ შსს-ს შენობაში არსებულ იზოლატორში. მაშინ დაკავებულებს დროებითი დაკავების იზოლატორების გარდა, შსს-ს შენობაში არსებულ საკნებშიც ათავსებდნენ დიდი ხნით. სამოქალაქო სარჩელი ამ სს-ის საქმიდან გამომდინარე იყო, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ანუ მოპასუხეები გაამართლა, მათთვის არ დაუკისრებიათ ამ იარაღის დაბრუნება“.

გუბერნატორის მამას, სააკაშვილის სასამართლო, ცხადია, არ დასჯიდა...

ეს არაფერ შუაშია, უბრალოდ, დაზარალებულმა ვერ შეძლო თავისი უფლებების დაცვა, შესაბამისი მკიცებულებები ვერ წარმოადგინა, რომლის თანახმადაც დაადასტურებდა, რომ მას ნამდვილად ჰქონდა ეს ანტიკვარული იარაღი და ის გაიტაცეს. თავის დროზე, როდესაც დაზარალებულმა პოლიციას მიმართა, საქმე მხოლოდ დაყაჩაღების ფაქტზე აღიძრა, იარაღის გატაცებასთან დაკავშირებით მას მაშინ არ მიუმართავს, ამიტომ ამ დანაშაულზე არ აღძრულა საქმე. რახან ეს გატაცება ვერ დაამტკიცა (სამოქალაქო საქმეში თითოეული მხარე ვალდებულია ამტკიცოს ის გარემოებები, რომელზეც ამყარებს თავის მოთხოვნებს), ამიტომაც საქმე ყველა სასამართლო ინსტანციაში წააგო.

ასე რომ, ხაჩიძეს არავინ არაფერს უგონებს, მამამისი მართლაც იმხილებოდა ყაჩაღობაში და მე, როგორც ადვოკატი, უშუალოდ ვმონაწილეობდი ამ დანაშაულთან დაკავშირებულ კონკრეტულ საქმეში. ეს საქმე დღეს არქივშია, ნებისმიერ დაინტერესებულ ჟურნალისტს შეუძლია გამოითხოვოს და ჩემს სიმართლეში თავადვე დარწმუნდება. მაშინ „ნაცმოძრაობას“ ასე არ ჰქონდა სახელი გატეხილი და სიმართლე გითხრათ, ძალზე გამიკვირდა, რომ ისეთი კაცი დანიშნეს გუბერნატორად, რომელსაც ასეთი საეჭვო წარსულის მამა ჰყავდა. იმავე სასამართლოზე გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ მინისტრ ხაჩიძის მამა სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებების წევრი იყო და კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდა.

**- დამნაშავეებმა სისხლის სამართლებრივად თუ აგეს პასუხი, მითუმეტეს დაკავებულები ყოფილან?**

- ეს საქმე სასამართლომდე არც მისულა, მოგეხსენებათ, მაშინ რა განუკითხაობაც იყო. როგორც გითხარით, ეს პიროვნებები რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს, მაგრამ არავის უთქვამს ხაჩიძის და მისი თანამზრახველები ამ ყაჩაღობაში უდანაშაულოები იყვნენო. საქმე არც შეწყვეტილა, უბრალოდ, მათ აღკვეთის ღონისძიება შეეცვალათ, ბრალდებულები გაუშვეს და პოლიცია ამ საქმეს მერე აღარ მიბრუნებია (ისე, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ექსპრეზიდენტმა შევარდნაძემ უმძიმეს დანაშაულობებთან დაკავშირებით მსჯავრდებული „მხედრიონელები“ ძალზე მალე შეიწყალა და თავისუფლება აჩუქა — მ.ს.).



სხვათა შორის გია ყარყარაშვილმაც განაცხადა თავის ინტერვიუში, რომ ხაჩიძის მამა „მხედრიონის“ წევრი იყო და სხვადასხვა დანაშაულებრივ საქმეებში იღებდა მონაწილეობას. მე მხოლოდ ეს ფაქტი ვიცი, რომელზეც თავისუფლად შემიძლია ვისაუბრო, რადგან გაცნობილი ვარ საქმის მასალებს, რომელთა მიხედვითაც ხაჩიძეს მამა დაკავებული იყო გარკვეული პერიოდი კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით.

**მანანა სუხიშვილი**




**ირაკლი ლომოური (მწერალი):** ჩემი და ჩემი მეგობრების თვალსაზრისით, გარემო საზოგადოება უკვე ზღვარზე, ბოლო მიჯნაზე იმყოფება! არის რადიკალური ცვლილების მოლოდინი და ცვლილება თუ არ მოხდა, ეს იქნება კატასტროფის ტოლფასი. თუ ჩვენ გავაგრძელეთ ისევე ცხოვრება, როგორც აქამდე ვიცხოვრეთ, თუ ჩვენ შევეგუეთ იმას, რასაც აქამდე ვეგუებოდით, ჩათვალეთ რომ საქართველოს, ჩვენს შვილებს, ჩვენს ერს მომავალი არ აქვს. და ეს არ არის მხოლოდ ლიტონი სიტყვები და არც მხოლოდ ჩემი აზრი. ჩემი ახლობლების უმრავლესობა ასევე ფიქრობს, რომ არჩევნები გაყალბდება. უფრო სწორად წინასწარ უკვე გაყალბებულია, რადგან არარეალური, გაბერილი სიები გვაქვს სახეზე. ეს ნიშნავს, რომ გამოცხადდება შედეგი, რომელიც აბსოლუტურად არარეალური და არაადეკვატური იქნება მიცემული ხმებისა. დაგვრჩება ერთი გზა - გამოვიდეთ ქუჩაში და ჩვენი პროტესტი ხმამაღლა გამოვაცხადოთ. რაც ხელისუფლებას ძალიან აწყობს, რადგან გამოიყენებს მისთვის ჩვეულ ძალისმიერ მეთოდებს. გამოიყენებს დიდი მასშტაბით და სისხლსაც დაღვრის. სხვა შანსი არაა. ეს არის გარდაუვალი.



აქ მთავარი არის, ჩვენ ვართ თუ არა მზად, ვიბრძოლოთ ბოლომდე. ანუ ქუჩაში გავიდეთ უიარაღოდ, ისევე, როგორც მაჰათმა განდის მომხრეები, რომლებიც თავს აცემინებდნენ ინგლისელ პოლიციელებს. ჩვენც თუ ვიქნებით მზად თავი ვაცემინოთ, სიცოცხლე შევწიროთ ჩვენი შვილების, ჩვენი ქვეყნის მომავალს?! თუ ამის მზაობა, განწყობა წინასწარ გვექნება, მაშინ შეიძლება მოხდეს გარდატეხა. გაიხსენეთ თუნდაც მუბარაქის შემთხვევა. ამერიკა წლების განმავლობაში იტანდა ამ და კიდევ ბევრ სხვა დიქტატორს, რადგან აწყობდა. მათ ხომ ორმაგი სტანდარტები აქვთ. დიქტატორი, რომელიც მათ მხარეზეა - მისაღებია, ხოლო ქვეყნის შიგნით რა ხდება, არ აინტერესებთ, თუმცა სიტყვით დიდი დემოკრატები არიან. მაგრამ, როდესაც ხალხი გამოდის და მოითხოვს რეჟიმის წასვლას, მაშინ დასავლეთი რაღაც მომენტში, იცვლის პოზიციას. ასე რომ ჩვენ სხვა გზა არ დაგვრჩენია, გამოვიდეთ ქუჩაში, რადგან არჩევნები რომ გაყალბდება, ეს უკვე ნათელია.

მართალია, ჩემი სანაცნობო წრე არ არის მთელი საქართველო, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს, რომ ის პროცენტები დაიდოს, რაც მას სჭირდება. და თუ ჩვენ ამ ტყუილს მოვითმენთ, დავმარცხდებით, ჩვენი ოცნება ჩაფლავდება!

რა თქმა უნდა, გარკვეულ ხმებს მიიღებს ნაციონალური მოძრაობა, ვთქვათ 30%-ს, მაგრამ დაიწერს 70-80%-ს. წინასწარ მილიონი ხმა, ბიულეტენი არის უკვე გამზადებული, არარსებული ადამიანების ხმა, იმას ჩაყრიან და რას იზამ? კონტროლის მექანიზმი ხომ არ არსებობს. რეალურ ამომრჩეველზე მილიონით მეტია სიებში გატარებული. არარსებულ ქუჩებზე, არარსებულ სახლებში მიწერილია ადამიანების გარკვეული რაოდენობა. ეს ხომ ტყული და სიყალბეა. არაფერი არ გვეშველება, თუ ჩვენ არ მივხვდებით, რომ მხოლოდ ბრძოლით შეგვიძლია გამოვიდეთ ამ სიყალბიდან და ბოროტებიდან.

ჩვენი მმართველი არ ვიცი, პარანოიით არის შეპყრობილი, არ ვიცი - ციკლოფრენიით, მაგრამ ნამდვილად სამარცხვინოა. გვყავდა ჩვენ ისტორიაში საშინელი მმართველები, ავგიორგი გავიხსენოთ, მაგრამ დღეს ავმიშას თუ მოვითმენთ, ჩვენ, როგორც ერს, მომავალი ნამდვილად არ გვიწერია! ვაჟას სიტყვები — „ბილწთს არ შავეკვრი ზავითა“ ან შოთას სიტყვები — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“ უნდა გავითავისოთ! მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ უნდა იყოს! ამ დროს დღეს ჩვენ ყველანი კონფორმისტები ვართ, შევეგუეთ ყველანი საკუთარი თავისთვის ცხოვრებას. თუ არ გავიხსენეთ, არ მივხვდებით, რომ ღირსება უფრო მაღლა დგას, ვიდრე კეთილდღეობა და მატერიალური სამყარო, ფიზიკური არსებობა - არაფერი არ გევშველება!

ივანიშვილს გაცილებით ადრე უნდა ეცადა საზოგადოებაში შემოსვლა. ის ხომ განდეგილივით ცხოვრობდა თავის კოშკში და ჩვენი საზოგადოება მისთვის შიგნიდან არ იყო ცნობილი! ახლა მიდის ეს პროცესი. გამოვიდა კოშკიდან, შემოიკრიბა ძალიან ფართო სპექტრი ოპოზიციის თუ ინტელიგენციის; ნიჭიერი, ინტელექტუალი ადამიანები არიან მის გვერდით.

კითხვები კი მაქვს ივანიშვილთან, მაგრამ სხვა არჩევანი არ არსებობს, ეს არის ბოლო გაბრძოლება და თუ აღმოჩნდა, რომ ესეც არის თამაში, სადღაც დაწერილი სცენარი, მაშინ ეს არის სრული დაღუპვა, კრახი!

თეორიულად არაფერს გამოვრიცხავ. შევარდნაძის დამყაყებული რეჟიმის დროს ჩვენ ვამბობდით, ოღონდ ეს წავიდეს და ამაზე უარესი ხომ არ მოვაო. აღმოჩნდა, რომ მოვიდა! ეს გაზრდილი პარამეტრები და კვლევები, აშენებული ქვეყანა მხოლოდ ილუზორული და ვირტუალურია! ეს არ არის რეალობა. მე იმასაც, უშვებ, რომ თავად ჩვენი მმართველი სინამდვილეს ვერ აღიქვამს ობიექტურად. მაგრამ მის გვერდით ხომ არიან უფრო საღად მოაზროვნეები?! თუმცა მათ საქართველო პირადი გამდიდრებისთვის სჭირდებათ და დანარჩენი სრულებით არ აღელვებთ!

პრეზიდენტის ფრაზა „მეტი საქმე არა მაქვს ჩემი აშენებული ქვეყანა მათ დავუტოვოო“ - ნიშნავს, რომ ის არ აპირებს ხელისუფლების დათმობას. ის და მისი გუნდი აპირებენ სათვეში ყოფნას მარადიულად, რათა ბოლომდე გამოხრან ეს ქვეყანა! თუ ვინმეს სჯერა, რომ ეს ქვეყანა მართლა აშენდა, გაიხედოს გარეთ რამდენი უმუშევარი და მშიერია! წაგებულ ომზე გვითხრეს, რომ მოვიგეთო! ამ უზურპატორ ხელისუფლებას ყველაფერი თავისთვის უნდა - ფულიც, ძალაუფლებაც, სასამართლოც! ეს ყველაფერი სიურრეალიზმია! კოშმარულ სიზმარში არ მომელანდებოდა, რომ 21-ე საუკუნეში საქართველოში იქნებოდა ვოდევილური ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმი. ამის მერე მხოლოდ დახვრეტები რჩება!

ჩვენ შეიძლება ვერც გავაცნობიეროთ, რა შეიძლება ჩაიდინოს ამ ხელისულფებამ! საზოგადოებრივი დაპირისპირება უკვე ყოველ კვირას ხდება. ერთი გზა რჩება - თავი გადავდოთ განდის მომხრეებივით. თუმცა ინგლისელები ცივილური იმპერიალისტები იყვნენ და ეს კი ჩრდილოური იმპერიალიზმის მოყვანილია! მიშა, რა თქმა უნდა, არის რუსეთის კაცი და სწორედ რუსეთის საქმეს აკეთებს!

**ფრაგმენტები ინტერვიუდან „მაესტრო“, გადაცემა „პოლიტმეტრი“**

# epatieba Tu ara satiras yvelaferi da ras warmoadgens realurad leiboristebis mokavSire partia germaniidan?

შალვა ყველას ებრძვის, შალვას არავისი სჯერა, გარდა შატბერაშვილისა. შალვა ინგლისურის სწავლას, ცხვრის გატყავებას და საგარეო პოლიტიკას ერთნაირი მონდომებით უდგება. შალვა იმდენად სერიოზულია, კომედიური ჟანრის გადაცემებს არ კადრულობს, "ნანუკას შოუში" უკრაინელი, ქერა, მაღალფეხება, მკერდშიშველი ქალების ხათრითაც ვერ მიიყვანეს. შალვა ამტკიცებდა, პატარკაციშვილმა წინასაარჩევნო პროგრამა მომპარაო, ივანიშვილი რუსეთის აგენტიაო, ტერაქტებს მიწყობენო, ხმები გამიყალბესო. მოკლედ, შალვა ყველას და ყველაფრის ოპოზიციაა. ამას წინათ გერმანულენოვანი გაზეთის "სარკი"-ს ონლაინ გვერდზე შევიხედე (**Spiegel.de**) და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ნათელაშვილზე საკმაოდ ვრცელი სტატია ვიპოვე. თავიდან გავიფიქრე, არც ისე ხელწამოსაკრავი ყოფილან ლეიბორისტები-თქო, მაგრამ, როცა სტატიის შინაარსს გავეცანი, არ ვიცოდი, მეტირა თუ მეცინა. დარწმუნებული ვარ, ლეიბორისტების ლიდერი დამიმადლებს ამ სტატიის გახმაურებას, მისთვის ხომ ყველანაირი პიარი (შავიცა და თეთრიც) პიარია.

სტატიის ავტორი: მარტინ სონენბორნი – 43 წლის. ავტორი ნაშრომის "თანამედროვე სატირის უმოქმედობა"; გაზეთ "ტიტანიკი"-ს ყოფილი რედაქტორი; 2006 წლიდან გაზეთ "სარკი"-ს (**die Spiegel**) სატირული რუბრიკების პასუხისმგებელი რედაქტორი. თავის სატირიკოსებთან ერთად ავტორია წიგნისა "**das Partei**", სადაც აღწერილია, როგორ უნდა შექმნა პარტია გერმანიაში და მოიპოვო ძალაუფლება. წიგნიც სატირული შინაარსისაა და უხვადაა გაჯერებული გერმანული პარტიების ქილიკით. მარტინმა თავის ჯგუფთან ერთად შექმნა პარტია "**die Partie**". პარტიის წევრები, უმეტესად, გაზეთ "ტიტანიკი"-ს ხელმომწერები არიან.



2007 წელს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ესტუმრა რამდენიმედღიანი ვიზიტით. მარტინს უთქვამს, საგარეო საქმეთა მინისტრზე ნაკლები რითი ვარო, ამიტომ სასწრაფოდ დაუწყია ზრუნვა იმაზე, რომ თავადაც მოხვედრილიყო საქართველოში და შეხვედროდა თუ ხელისუფლებას არა, ოპოზიციურ პარტიას მაინც. კავშირები ადვილად მოიძებნა – ვინმე დანიელ ვიჰარდი, რომელიც თავს წარმოაჩენდა ნათელაშვილის პარტიისთვის ევროპული ხაზით მრჩეველს (ვციტირებ - ავტ.). დანიელი შეუთანხმდა, რომ შეახვედრებდა ლეიბორისტური პარტიის ლიდერს. ვიჰარდი საქართველოში ცხოვრობდა და აქ კურირებდა გერმანიაში ე.წ. აუ-პაიერის პროგრამით წასვლის მსურველთა გამგზავრებას. შეხვედრა დაიგეგმა.

მარტინისთვის უთქვამთ, კავკასია საშიში მხარეა სამოგზაუროდო, იქ ქალაქის მთავარ ქუჩებში ჯერ კიდევ ღიად ხდება ძარცვა და მკვლელობაო. მარტინმა წამოსვლამდე გერმანიის საგარეო სამინისტროში დარეკა და იკითხა: შეიძლება თუ არა საქართველში იორკეზების ნაბიჯებით შეჭრაო. პასუხად იკითხეს, (და ლოგიკურადაც) გასართობი რადიოდან რეკავთო?

მოგეხსენებათ, სატირიკოსებს უხდებათ ტანისამოსი შეუხამებელ ფერებში, მაგრამ სპეციალურად ჩვენი ქვეყნისთვის და სპეციალურად შალვასთან შესახვედრად გერმანიის ერთ-ერთ ცნობილ მაღაზიაში "**G&A**"-ში, მთელმა ჯგუფმა, ერთად შეიძინა 49 ევროდ შეფასებული კოსტიუმები და ასე დამშვენებულნი გამოფრინდნენ. აეროპორტში და თვითმფრინავში რამდენიმე ქართული სიტყვა შეისწავლეს. თბილისის ახალ აეროპორტში აზერბაიჯანელი მძღოლი დახვდათ. მარტინი აღნიშნავს, არ გამჭირვებია მძღოლთან საუბარი, რადგანაც რუსული იცოდაო (რა იციან გერმანელებმა, რომ ჩვენს უბედურ ქვეყანაში ყველა ტაქსისტს და მძღოლს ორი დიპლომი აქვს და რუსულის ცოდნა აქ არავის უკვირს). სასტუმროშიდდანიელ ვიჰარდმა (შეხვედრის ორგანიზატორი) მიაკითხა დელეგაციას. საუზმის შემდეგ კარგად დანაყრებულ გერმანელებს ვიჰარდმა ქალები შესთავაზა, შემიძლია 10-15 ევროდ მოგიყვანოთო. (მაინც, რას ნიშნავს, რომ ევროპელია, 5-ლარიანს არ კადრულობს). გერმანელებმა დილის სექსისგან თავის შეკავება ამჯობინეს და დელეგაციაც პირდაპირ შალვას ოფისისკენ გაემართა. იქ უკვე ელოდებოდნენ ჟურნალისტები, ოპერატორები, პარტიის წარმომადგენლები. როცა უკვე ოფისის კიბეებზე ადიოდნენ, ვიჰარდს მარტინისთვის უთქვამს: არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ აქ დიდი გაუგებრობაა, ჰგონიათ, რომ დიდი პარტია ხართ და გერმანიის პარლამენტში 30 მანდატი გაქვთ, ამიტომ მოგიწყვეს ასეთი შეხვედრა, და გთხოვ, არ შეიმჩნიოო (!!!). მარტინს საკმაოდ მცირე დრო ჰქოდა სიტუაციის გასაანალიზებლად, ამიტომ თავიდან სიტყვაძუნწობდა. შალვას დელეგაციის დანახვისას სიხარული ვერ დაუმალავს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც ხელისუფლებას შეხვდა, სულ 4 კაცი ახლდა და თქვენ ჩემთან რამდენნი ჩამოსულხართო (25 კაცი იყო დელეგაციაში). შალვა რის შალვა იქნებოდა, რომ არ მოეყოლა როგორ მოუტეხა სააკაშვილმა არჩევნებში ხმების 30%, გერმანიის პოლიტიკური ძალები უფრო მოქნილები უნდა იყოთო, - დაურიგებია კიდეც მეგობრულად მარტინი. სონენბორნს მოეწონა ქართული ოპოზიციიის ლიდერი, ქარიზმატული, მხიარული ადამიანიაო. მალე "ორმა ლიდერმა" პრესკონფერენციის დარბაზში გადაინაცვლა. იქ - ჟურნალისტები ელოდნენ. გადაიღეს საზეიმო მისალმება (უფრო გადახვევა ეთქმოდა - ავტ.), სახელდახელოდ შექმნილ დოკუმენტზე ხელიც მოაწერეს. დოკუმენტი ამ ორი პარტიის თანამშრომლობას ითვალისწინებდა. შალვამ ბევრი ისაუბრა ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე. თქვა, ჩვენი პარტიები შეერთდა და აწი, ერთად ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთო. მარტინს ერთი-ორმა თანმხლებმა ურჩია: სიმართლე დროზე ვუთხრათ, მერე რომ გაიგონ, იქნებ კედლებზე ჩამოგვკიდონო (კავკასიაში "პაპუასური მომენტი" მუშაობს. ავტ). მაგრამ, სონენბორნმა თამაშის გაგრძელება ამჯობინა (ამაზე უკეთეს სატირულ გარემოს სადღა იპოვნიდა – ავტ.) და შალვას იქვე, კამერებისა და ჟურნალისტების წინ ამაყად დაჰპირდა, აი, მოვალ თუ არა გერმანიის ხელისუფლების სათავეში, თქვენს პარტიას ყველანაირად მხარში დავუდგები, ხოლო მთლიანად ქვეყანას კი ევროკავშირში საქმეს "ჩავუწყობო". ამ განცხადებამ ოვაციები და დიდი ტაში გამოიწვია. სონენბორნის ჯგუფს საჩუქარიც ჰქონდა ჩამოტანილი სპეციალურად შალვასთვის, ბერლინში, ტურისტულ შოპში (სადაც ყველაფერი კაპიკები ღირს) ლუდის კათხა იყიდა. საზეიმოდ გადასცა კათხა ოპოზიციის ქარიმზატულ ლიდერს მარტინმა. იმ დღეს ქვეყნის ყველა დიდი არხი ამ შეხვედრას აშუქებდა, როგორც ქვეყანაში მომხდარ მნიშვნელოვან ამბავს. მარტინის გამოცდილი ჯგუფი უკვე თავად ველარ არკვევდა, სად მთავრდებოდა ხუმრობა და სად იწყებოდა რეალობა. სონენბორნი ტუხოვსკის ცნობილი გამონათქვამით ინუგეშებდა თავს: "სატირას ყველაფერი ეპატიება".




პრესკონფერენციის შემდეგ დელეგაცია რესტორან "ბაბილოში" მიიყვანეს, სადაც მასპინძელს უკვე მიტანილი ჰქონდა საუკეთესო 60 ლიტრი ღვინო. იქ კიდევ ერთხელ შესთავაზეს ქალები, ოღონდ, ამჯერად, 40 ევროდ.

დანიელმა მარტინს აუხსნა ქართული სუფრის წესები: თამადა სუფრის უფროსია, ის ამბობს სადღეგრძელოს, რომელიც ყოველთვის – გაუმარჯოთი მთვარდებაო. ჭიქები ბოლომდე უნდა გამოიცალოსო, ჭიქაში სასმისის ჩატოვება ამ ქვეყანაში სასიკვდილო შეურაცხყოფად ითვლებაო. შეგიძლია ნებართვა ითხოვო და საკუთარი სადღეგრძელოც კი თქვაო.

მარტინმა პირველ სასმისამდე რესტორნის დათვალიერებაც მოასწრო. ამბობს: სავსე იყო დარბაზი მდიდარი ქართველებითო, მუსიკოსები 70-იანი წლების სიმღერებს მღეროდნენო. სუფრა კი, სუფრამ ნამდვილად გააოცა. მიმტანები ყოველ წამს ამატებდნენ ახალ-ახალ კერძებს.

თამადად "ბოსმა" შატბერაშვილი დანიშნა. სოსომ საზეიმოდ დალოცა დიდი გერმანული პოლიტიკის წარმომადგენლები. ერთხმიანმა გაუმარჯო-მ დარბაზი ლამის შეაზანზარა. საპასუხოდ, მარტინიც ფეხზე ადგომით ამბობს სადღეგრძელოს, ცდილობს, ღიმილი დამალოს, არ უნდა საზეიმო წუთები გააფუჭოს. რამდენიმე წინადადების შემდეგ ჩუმდება – ხედავს, როგორი ყურადღებით უსმენს სუფრის თითოეული წევრი, როგორი სასოებით უყურებენ. შემდეგ სტატიაში ამბობს, ვგრძნობდი, რომ მქონდა სიტყვის უფლება, თავი მართლა ლიდერი მეგონა და მსიამოვნებდაო.

სტუმრებიც და მასპინძლებიც უკვე შეთვრნენ. ...და აქ კიდევ ერთხელ სთავაზობენ ქალებს (ამჯერად რუს გოგოებს) და უკვე 50 ევროდ. (არ დაგავიწყდეთ, რომ სტუმრებმა კოსტიუმებში მხოლოდ 49 ევრო გადაიხადეს). შატბერაშვილი ძალიან დათვრა, მაგრამ არ ნებდება. სტუმრების საპატივცემულოდ ახალი სასმელი მოიტანა. ამბობს, ჩემი გამოხდილი სასმელიაო. სასმელი პლასტმასის მწვანე ბოთლში ასხია და ეტიკეტის გარეშეა. მოგეხსენებათ, გერმანელები ეტიკეტის გარეშე არც სასმელს ეკარებიან და არც საჭმელს. მარტინ სონენბორნი: ვუყურებდი თამადას, ცხვირს მიწვავდა სასმელის სუნი, ცოტა მოვსვი. სასმელმა სკოლის დროს ჩატარებული ექსპერიმენტები გამახსენა. (ალბათ, რამე მჟავე-ტუტოვან ექსპერიმენტს გულისხმობდა. - ავტ). ოდნავ მოვსვი, მივხვდი, ვერ დავლევდი. ვფიქრობდი, როგორ ამეცილებინა სასმისი თავიდან. როგორც კი მოვახერხე, ჭიქა ზემოთ ავიქნიე ძლიერად და სასმელი კედელს შევასხი. უკან მიხედვაც აღარ მინდოდა, მეგონა, კედელი ამომწვარი დამხვდებოდა.




შატბერაშვილი ცოტა ხანში უკვე სკამზე შემდგარი ამბობს სადღეგრძელოს. მალე კი სტუმრებიც და მასპინძლებიც ერთმანეთს უბოდიშებენ ჰიტლერისა და სტალინის პოლიტიკის გამო და თანხმდებიან, რომ მსგავსი აღარ უნდა განმეორდეს.

გერმანელი "ლიდერი", ამბობს, მეორე დღეს ვერ ვიხსენებდით, როგორ მივედით სასტუმროშიო, ვერ გაგვეგო, რატომ ეძინა ზოგს იატაკზე და ზოგსაც უნიტაზზე შარვალჩახდილსო.

რასაკვირველია, ვეცადე რესტორან "ბაბილონი"-ს მენეჯერთან დაკავშირება. ეჭვი მქონდა, რომ, იქ კიდევ ბევრი რამ მოხდებოდა საინტერესო, რაც მარტინმა ან ველარ გაიხსენა, ან ველარ ჩაატია სტატიაში. "ბაბილონის"-ს მენეჯერმა გამომიცხადა: ვერც უარვყოფ და ვერც ვადასტურებ, რომ ეს შეხვედრა ამ რესტორანში მოხდა და საერთოდ, პოლიტიკაში არ ვერევიო. მე, რასაკვირველია, არ ამიხსნია მენეჯერისთვის, რომ ამ შეხვედრას კავშირიც არ ჰქონდა პოლიტიკასთან.

უცნობია, როგორ გაგრძელდა ამ ორი "გიგანტი" პარტიის თანამშრომლობა. ფაქტია, მარტინი ჯერ კიდევ ვერ მოვიდა ხელისუფლებაში და დაგვყარა ეგრე, ევროკავშირში საქმის "ჩაუწყობლად".

*რა ვისწავლე სტატიიდან:*

1. რასაც ვხედავ და ვისმენ, ყველაფერს არ უნდა ვენდო გადაუმოწმებლად.
2. სატირას მართლაც ყველაფერი ეპატიება.
3. ჯერ კიდევ ვართ ის ქვეყანა, სადაც ადამიანს მხოლოდ იმიტომ ვაფასებთ და ვენდობით, რომ ის უცხოელია და ახლახან ჩამოფრინდა, ევროპის რომელიმე ქვეყნიდან, ან აშშ-დან.
4. არავის სჭირდება ჩვენი 15-ევროიანი ქალები. (ნუ, არც 40-იანი)
5. ჯერ კიდევ ვერ გაგვირკვევია, რომ ეს ის "უცხოელები" არ არიან, სამნახადი არაყი რომ უყვართ და ჭიქა სასმისის შემდეგ ქალებს რომ ითხოვენ.
6. არ ითვლება პატივისცემად სტუმრის ისე დათრობა, რომ მერე შარვალჩახდილს დაეძინოს უნიტაზზე.

**თამუნა კუშელავა**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თბილისში თვლა არა აქვს კაზინოებსა და სლოტკლუბებს, თანაც, მათ აშენებენ ყველგან და არა ერთ კონკრეტულ სივრცეში. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? ის, რომ საზღვარგარეთ უზნეობა დაშვებულია, მაგრამ წახალისებული არ არის, საქართველოში კი დაშვებულიცაა და წახალისებულიც. აბა, სხვა რა ახსნა მოეძებნება იმ ფაქტს, რომ ლამის ყოველ ქუჩაზე, ყოველ კორპუსთან სათამაშო დაწესებულებაა გახსნილი? საინტერესოა, ამ საკითხში რატომ გადავუხვიეთ „მთავარ მაგისტრალურ ხაზს" და რატომ აქვს ჩვენს მიმბაძველობას ასეთი ცალმხრივი ხასიათი? „გავკადნიერედები" და ვიკითხავ: საერთოდ, რატომაა სათამაშო ბიზნესი ასე გაფურჩქნულ-აყვავებული? ვის აძლევს ეს ხელს? ან ამ ბიზნესის ლობისტების ინტერესები რატომ დგას მთელი ერის ინტერესებზე მაღლა? რა, სულს რგებს ამგვარი გართობა თუ სხეულს?

ეჰ, რა თქმა უნდა, ამგვარი შეკითხვების დასმა უაზრობაა, რადგან პასუხი ისედაც ყველამ იცის — არალეგალური თამაში კანონით ისჯება, ლეგალური კი — არა, ვინაიდან ბიუჯეტში დიდძალი თანხა შედის; ცხადია, ასეთი გართობა არც სულს რგებს და არც სხეულს, მაგრამ მაინც ნებადართული და წახალისებულია, ვინაიდან რგებს ცალკეული ადამიანების ჯიბეს და, აბა, მათ ინტერესებთან ერის ინტერესები რა მოსატანია. ამას რომ უზნეობა ჰქვია, ეს ვის ადარდებს... ყოველ შემთხვევაში, იმათ არ ადარდებთ, ვისაც ძალაუფლება გააჩნიათ და ჩვენი ქვეყნის „გარემიქსებას" ასე გამალებით ცდილობენ.

... კი, მაგრამ ჩვენ რომ ჩვენი სატკივარი გვაქვს? ჩვენ რომ თვალსა და ხელს შუა ვცოტავდებით და ვცოცხლდებით? ჩვენ რომ მცირერიცხოვანი ერი ვართ და სხვაზე მეტად გვიღირს თითოეული მოქალაქის სიცოცხლე, ფიზიკური და მორალური სიჯანსაღე? იმ სხვას, მრავალრიცხოვან ერს, ოკეანეც ვერ დაახრჩობს, ჩვენ კი შეიძლება წვეთი მოგვერიოს, შხამის ერთი წვეთი; შეიძლება გავქრეთ და მერე ვის თვალს გაახარებს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი? — ისევ და ისევ რიტორიკული შეკითხვები, რომლებიც, საუბედუროდ, ძაღლის ყეფასთანაა გაიგივებული, ქარავანი კი არხეინად მიდის...

ამ მზისქვეშეთში ახალი არაფერია და არც „ყომარბაზობა" იყო საქართველოსთვის უცხო ხილი, მაგრამ ასეთი მასშტაბი და ოფიციალური „ხელდასხმა" არასოდეს მიუღია. ეს უკვე ავადმყოფობაა — უფრო მეტიც, ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების დიდ ნაწილს აზარტული თამაშებით გატაცება ნარკომანიის ერთ-ერთ გამოვლინებად მიაჩნია და ზარებს არისხებს.

როგორ გადავრჩეთ, როგორ დავიცვათ თავი, როცა ამ საშინელი ავადმყოფობის ბაცილები ყველგანაა გაბნეული და სწორედაც რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნაწილია მისი გავრცელება?! „დაავადებულთა" რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. აზარტული თამაშები ერთნაირად ითრევს განსხვავებული სქესის, ასაკისა და სოციალური წრის წარმომადგენლებს. უკვე აღარ გვიკვირს, როცა გავიგებთ, თუ როგორ გაყიდა ამა თუ იმ ქალბატონმა სახლი, როგორ დატოვა ოჯახი ქუჩაში, როგორი გაუბედურებულია ახლა და ა.შ. რამდენი ასეთი შემთხვევა მომხდარა და აღარც კი გვაოცებს. თბილისი პატარა და ჭორიკანა ქალაქია, თითქმის ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს და გულითაც რომ გსურდეს, ვერაფერს დამალავ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე პოპულარულ ადამიანებს ეხება — ზემოხსენებულ ქალბატონთა შორისაც გამოერია რამდენიმე ასეთი მანდილოსანი, რომლებსაც, თითქოსდა, არაფერი აკლდათ, არაფერი სჭირდათ საამისო, რომ იოლი ფულის მაძიებელთა რიგებს შემატებოდნენ, მაგრამ, ფაქტია, უძლური აღმოჩნდნენ ამ სენის წინაშე (ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო"!...)

ექიმები ერთხმად ამტკიცებენ, რომ აზარტული თამაშების მოყვარულს ფსიქიკა ენგრევა და მისი განკურნება ძალიან ძნელია; ამ პროცესში ერთდროულად უნდა ჩაერთოს მედიცინა და ეკლესია, ანუ აუცილებელია მედიკამენტების მიღება, ფსიქოთერაპიული სეანსები და მოძღვართან ურთიერთობა. როგორც წესი, მოთამაშეები ვერ აცნობიერებენ თავიანთ მდგომარეობას და, წამალდამოკიდებულთა მსგავსად, მიაჩნიათ, რომ ნებისმიერ მომენტში შეძლებენ შეჩერებას. აქედან გამომდინარე, ისინი არც მკურნალობაზე თანხმდებიან... და გვიან, ძალიან გვიან




# visi su l i gsu r s...

ხვდებიან თავიანთ შეცდომებს. მხოლოდ ერთეულებს შესწევთ იმის ძალა, რომ რეალობას თვალი გაუსწორონ და გადარჩენის გზები ეძებონ — ეს ვაჟკაცობის ტოლფასია და უდიდეს ნებისყოფას მოითხოვს. სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები მაინც რისკის ზონაში იმყოფებიან, რადგან სტერილურ გარემოს ვერავინ შეუქმნით და სანამ გარემო არ შეიცვლება, ცდუნების საფრთხეც იარსებებს — აქ უკვე გამუდმებული თვითკონტროლია საჭირო.

ხშირია საუბარი ე.წ. ჩანაცვლების მექანიზმზე, რაც იმით გამოიხატება, რომ მოთამაშეს, რომელსაც თამაშის პროცესი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს, რაიმე სხვა სახის ალტერნატიულ „სიამოვნებას" სთავაზობენ. მართლაც, ბევრი ამტკიცებს, რომ სიამოვნების მისაღებად თამაშობს და არა ფულის მოსაგებად, თუმცა პირადად ჩემთვის გაუგებარია ასეთ შემთხვევაში რა უნდა შესთავაზო შემოქმედ ადამიანს; მას ხომ ისეთ სიამოვნებაზე მიუწვდება ხელი, როგორიცაა შემოქმედებითი პროცესი, თუკი სიტყვასთან, ფერთან, მელოდიასთან ურთიერთობის სიხარული არ აკმაყოფილებს და ისევ თამაშისკენ მიუწევს გული, მაშინ როგორღა უნდა დაეხმარო, უკეთესი რა უნდა განაცდევინო?! არადა, ფაქტია, რომ ამ მხრივ არაერთი მწერალი, მხატვარი თუ მსახიობი საჭიროებს დახმარებას — ეს ის ხალხია, რომელსაც ვერავინ დასწამებს სულიერ სიღატაკეს, უინტელექტობას, ინტერესების ცალმხრივობას. სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს საშინელი სენი ერთნაირად ერევა და იმორჩილებს ნიჭიერსა თუ უნიჭოს, ხელოვანსა თუ ობივატელს, გაუნათლებელსა თუ ინტელექტუალს. სწორედ ამითაა იგი ძალზე საშიში — იმ იარაღს ჰგავს, რომელსაც ჩვენი ერის სინდისს, გონებას, შემოქმედებით პოტენციალს უმიზნებენ. რამდენი ასეთი იარაღია ჩვენზე მოღერებული, მკითხველო? რამდენი დანაღმული მინდორი უნდა გადავიაროთ, ან გადავივლით კი? კიდევ რა „პლასტიკური ოპერაციები" უნდა ჩაუტარდეს ჩვენი ცხოვრებისა და აზროვნების წესს, რომ თანამედროვე დემოკრატიის მამებმა ცივილიზებულ ერად გვცნონ და „ფორჩიანი კანფეტები" გვიბოძონ? ბედის უკუღმართობას რა ვუთხარი, თორემ ვისვისგან რა ესწავლება, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. სამაგიეროდ, აბსოლუტურად გარკვეულია, რის ფასად დაგვიჯდება ზემოხსენებული „კამფეტები"...

ახლა „პირველსა სიტყვასა მოვიდეთ" — განა გვყავს დასაკარგი ახალგაზრდები? განა ისედაც ბევრი არ დავკარგეთ ბოლო 20 წლის განმავლობაში? აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დატრიალებული ტრაგედიები, 2008 წლის აგვისტოს მსხვერპლი არ კმარა? საკმარისი არ არის, რომ გვყავს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების დაფიქსირების გამო დახოცილი და ნაწამები ახალგაზრდები? ახლა აზარტულმა თამაშებმა უნდა შერყვნას და დაამახინჯოს ჩვენი შვილების სული — აი, ასეთი რეალობის წინაშე ვდგავართ: ახლა „აჭარაბეთმა", „ევროპაბეთმა", „ლასვეგასმა" უნდა მონუსხოს, ფულის მონად აქციოს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკის მქონე გოგო-ბიჭები; კაზინოებმა, სლოტკლუბებმა, კომპიუტერულმა სათამაშო საიტებმა უნდა დაავიწყოს მათ სწავლა, ოჯახის წევრებისა და ახლობლების სიყ-



ვარული, გულიდან უნდა ამოურეცხოს ყოველივე ადამიანური. ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს — თითოეული მათგანი, ხომ საქართველოს აკლდება, თითოეული მათგანის უკან ხომ გაუბედურებული, სასოწარკვეთილი მშობლები დგანან, რომლებმაც აღარ იციან, რა ქნან, როგორ უშველონ შვილებს და საკუთარ თავს. ამ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, როცა მშობლების ნდობას კარგავს და მათგან საჭირო თანხას ველარ იღებს, ნაირ-ნაირ ზღაპრებს თხზავს, გულისამაჩუყებელ ისტორიებს იგონებს, რომლებიც, თითქოსდა, მას ან მის მეგობრებს გადახდა თავს, არარსებული საშიშროების შესახებ ყვება — მიზანი ისაა, რომ ოჯახის წევრები როგორმე დაარწმუნოს თავის სიმართლეში, ნანატრი ფული მიიღოს და ითამაშოს, ითამაშოს, ისევ ითამაშოს...

საოცრად ცბიერნი ხდებიან, მოხერხებულად მანიპულირებენ მშობლების, ნათესავებისა თუ ახლობლების ადამიანური სისუსტეებით; კარგად ჰყავთ შესწავლილი ისინი და ზუსტად იციან, ვის რაზე აუჩუყდება გული, ვის რაზე „წამოაგებენ". ისე ოსტატურად ფლობენ სიცრუის „ხელოვნებას", რომ ხშირად ძალიან ჭირს მათი ნამდვილი სახის დანახვა. მკითხველო, რამდენი ასეთი შემთხვევა იცი? რამდენჯერ აღშფოთებულხარ, რამდენჯერ გტკენია სხვისი სატკივარი? არ ვიცი, ამ დროს როგორ უნდა ანუგეშო სასოწარკვეთილი ადამიანი — როგორ უნდა დაეხმარო ქალს, რომელსაც მთელი წელი სჯეროდა, რომ მისი 17 წლის ვაჟი შეყვარებულს ხვდებოდა, გოგონას ფოტოებიც კი აჩვენა, უყვებოდა მასთან დაკავშირებულ ისტორიებს, ითხოვდა რჩევას, პირდებოდა, დღე-დღეზე გაგაცნობო; ბოლოს კი, როცა სახლიდან ქალის არცთუ მრავალრიცხოვანი სამკაულები გაქრა ქორწინების ბეჭდის ჩათვლით, შვილმა კი უტიფრად გამოუცხადა, —„იმას" ვაჩუქეო, დედამ შეიტყო, რომ არანაირი შეყვარებული არ არსებობდა, მისი ბიჭი კი სლოტკლუბების ყოველდღიური სტუმარი იყო. არა, ქალს ნამდვილად არ დანანებია ლომბარდში ჩაბარებული ძვირფასეულობა, მას შვილის დასახიჩრებული სული დაენანა, ის არარსებული ლამაზი გრძნობა დაენანა, რომლის გათამაშებაც ასე ოსტატურად შეძლო ბიჭმა; დაენანა თავისი რწმენა, რომელსაც თაღლითობისა და სიცრუის გზაზე შემდგარმა მისმა ერთადერთმა შვილმა ასე დაუნდობლად დასცინა — ეს გაცილებით უფრო ფასეული იყო, ვიდრე თუნდაც მთელი ქვეყნის სამკაულები.

... ან იმ კაცს როგორ უნდა დაეხმარო, რომელმაც თავის სტუდენტ ვაჟს არც მედიკამენტები დააკლო და არც — ფსიქოთერაპევტის კონსულტაციები; მონასტერშიც თავად აიყვანა და მოძღვარს ჩააბარა გარკვეული ხნით, მაგრამ ეს ყველაფერი „მგლის თავზე სახარების კითხვა" აღმოჩნდა: მონასტრიდან დაბრუნებული, ღვთის მადლს „ნაზიარები" ბიჭი უკვე ღამესაც აღარ ათევდა შინ, არც რეკავდა, ათასში ერთხელ ტანსაცმლის გამოსაცვლელად შემოირბენდა ხოლმე სახეშეშლილი და აღრენილი, ლანძღვაგინებით იკლებდა მშობლებსა და მოხუც ბებიას, მისი წასვლის შემდეგ კი ოჯახიდან ერთმანეთის მოყოლებით ქრებოდა ნივთები. კაცმა თავიდან ვერაფერი შეამჩნია, რადგან რძალ-დედამთილი მის უჩუმრად ყიდდა ჭურჭელსა და ძვირფასეულობას, მაგრამ ყველაფერს მიხვდა, როცა სახლიდან გაიტანეს ძველებური ჭაღი, მაგიდა, კომპიუტერი, კედლის საათი... მერე ნათესავებმაც დაურეკეს, ზოგიერთმა მათგანმა პირდაპირ მიახალა, ზოგიერთმა კი მიანიშნა, — ქალები თავზე დაგასხდნენ და მიხედეო. თურმე, ყველა ჩამოუვლიათ, კაცის სახელით ფული უთხოვიათ — შიმშილით ვწყდებით და გვიშველეთო. რამდენჯერ გაუმართეს ხელი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ტყუილს მოკლე ფეხი აქვს, ბოლოს ნათესავებმაც შეიტყვეს სიმართლე და ხელცარიელი გამოისტუმრეს მორიგ ჯერზე მისული რძალ-დედამთილი, თანაც უთხრეს, — სირცხვილია, ის კაცი მაინც შეიცოდეთ, სახელს ნუ უტეხთ, მთელი ცხოვრება სწორედ იმიტომ იდგამს წელებზე ფეხს, რომ ოჯახს არც მოშივდეს და არც მოწყურდეს, თქვენი საქციელითა და სიტყვებით კი ცოცხლად დებთ მიწაშიო. ამასობაში ბიჭი უნივერსიტეტიდან გარიცხეს გაცდენების გამო, მამამისმა როგორღაც დააზუსტა მისი ადგილ-სამყოფელი — თურმე, „აჭარაბეთში" ათენებდა და აღამებდა. ცოლისა და დედის მიერ თავმოყვარეობაშელახულმა, დარდისაგან განადგურებულმა კაცმა შვილი შინ მოათრია და ის იყო, დაგროვილი ბოღმის ამონთხევას აპირებდა, რომ ბიჭმა მშვიდად განაცხადა, — თუ სამ დღეში „თავანი" არ ჩავაბარე, მომკლავენ და გაინძერიო; თანხის რაოდენობაც დაასახელა. კაცმა უმწეო მზერა შეავლო დაცარიელებულ ბინას და გაჟეჟილი ხმით ჩაილაპარაკა, — შვილო, მე თუ გამყიდი, არ ვიცი, გასაყიდი აღარაფერი დატოვე, დედაშენმა და ბებიაშენმა კი ყველასთან თავი მოიჭრეს და ერთ თეთრსაც არავინ გვასესხებს, ხომ ხედავ, კეთროვანივით მოგვიძულეს და აღარც გვკითხულობენო. — შენს გაყიდვაში რა ყრია, ძვალი არ იჭმევა შენი და ხორცი, როდის რა გაგიკეთებია ჩემთვის, რომ ახლა მორალს მიკითხავო — იყო გაპირუტყვებული შვილის პასუხი. სწორედ ამ მომენტში დაარტყა ინსულტმა — მას მერე წევს, თითქმის ველარ მოძრაობს, მეტყველების უნარიც დაკარგული აქვს; ახლა მართლა შიათ და სწყურიათ, მკურნალობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ბიჭი არავის მოუკლავს, მაგრამ სადღაც გადაიკარგა. წევს კაცი და ნატრობს სიკვდილს, ან იმ დღეს, როცა უკვე იპოთეკით დატვირთული ბინიდან საწოლიანად გაიტანენ თანხის გადაუხდელობის გამო, თუმცა, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, სიკვდილი ურჩევნია.

უამრავი ასეთი ისტორიის გახსენება შეიძლება. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რამდენი გაუბედურებული მშობლის ინსულტი, ინფარქტი, გალატაკება თუ თვითმკვლელობაა აზარტული მოთამაშეების კისერზე; რამდენი ოჯახია ღია ცის ქვეშ დარჩენილი და სიცოცხლემოძულებული; რამდენი ცოლი, ქმარი, დედა თუ შვილია ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული იმის გამო, რომ ერთ-ერთ მათგანს არასწორად ესმის შვილისა თუ შვილიშვილის სიყვარული და დათვურ სამსახურს უწევს მას. ვინ დაიცავს გაუბედურებულ მშობლებს საკუთარი შვილებისაგან? ან თავად მათ ვინ დაიცავს, საკუთარი ნებისყოფის გარდა? ნებისყოფა კი, მოგეხსენებათ, ხშირად ზრდასრულ, ჩამოყალიბებული ფსიქიკის მქონე ადამიანებსაც ღალატობს, არამცთუ ახალგაზრდებს — მათ ხომ ჯერ კიდევ უჭირთ თეთრისა დაშავის გარჩევა, „მინდასა" და „შესაძლებელს" შორის ზღვარის გავლება, როცა ფულს ველარავის სძალავენ, არც კრიმინალზე იხევენ უკან, ან ე.წ. მორალურ შანტაჟს მიმართავენ, თვითმკვლელობით იმუქრებიან. ისიც ფაქტია, რომ ხშირად ასრულებენ ამ მუქარას და ახალგაზრდებს შორის თვითმკვლელობათა 98 პროცენტი სწორედ აზარტულ მოთამაშეებზე მოდის. რაღა უნდა იყოს ამაზე უარესი? კიდევ რა საშინელება უნდა დაგვემართოს, რომ კეთილი ვინებოთ და მივბაძოთ, თუნდაც, ბაქოს, სადაც არც ერთი სათამაშო დაწესებულება აღარ არსებობს? ან, იქნებ, ვინმემ გაიზიაროს ასეთი გულუბრყვილო მოსაზრება (სასწაულებიც ხომ ხდება ზოგჯერ): შეწყდეს მოგებული ფულის გაცემა. ხომ ამტკიცებს მოთამაშეთა საკმაოდ დიდი ნაწილი, რომ მათი მიზანი მოგება კი არ არის, არამედ — თამაშის პროცესით სიამოვნების მიღება. ჰოდა, მიბრძანდნენ, ბატონებო, ითამაშონ, ისიამოვნონ, დატკბნენ მოზღვავებული ადრენალინით, წაგებული თანხა გადაიხადონ, მოგებული კი დარჩეს კაზინოსა თუ სლოტკლუბში და სოციალურად დაუცველი ადამიანების პრობლემების მოგვარებას მოხმარდეს — ვნახოთ, იქნებ ამან, შეამციროს მოთამაშეთა რიცხვი, თან მეორე კეთილი საქმეც გაკეთდება... ეჰ!

მკითხველო, სრულიადაც არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს ვინმეს დამოძღვრის პრეტენზია. უბრალოდ, ამ წერილით ჩემი გულისტკივილი, გავახმოვანე, გული კი, დარწმუნებული ვარ, ყველას ძალიან გვტკივა, რადგან ზემოთხსენებულმა სენმა უკვე საკმაოდ ბევრი ადამიანი დაღუპა ფიზიკურად თუ სულიერად და არ ვიცით, კიდევ ვისი სული სურს.

ნინო სიხარულიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# nacionalebs qveynis sportuli imiji ar ainteresebT _ revanSze arian gadasulebi...



**ინტერვიუ ოლიმპიურ ჩემპიონთან, დეპუტატობის კანდიდატთან, კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ შოთა ხაბარელთან.**

*შოთა ხაბარელი: დაიბადა 1958 წლის 26 დეკემბერს, ქარელის რაიონის სოფელ ძლევისჯვარში. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი და თსუ იურიდიული ფაკულტეტი. არის ევროპის გუნდური ჩემპიონი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორი. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო სამუშაოებზეა. მუშაობდა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად. მისი ხელმძღვანელობით ქართველმა ძიუდოისტებმა მოიპოვეს ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები. ზედიზედ ორჯერ აღიარეს ევროპისა და პლანეტის საუკეთესო გუნდის მწვრთნელად.*

**— ბატონო შოთა, მოდით, ვისაუბროთ სპორტსა და პოლიტიკაზე. უფრო ზუსტად, ხელისუფლებისა და სპორტსმენების ურთიერთობაზე, რომელმაც დღეს ერთობ მძიმე ვითარებამდე მოგვიყვანა. გავიხსენოთ თუნდაც ახლახან ლონდონის ოლიმპიადაზე მომხდარი ინციდენტი.**

— მართალი ხართ, ძალიან მძიმე ვითარებაა. არაერთხელ მითქვამს, რომ დღეს ქართული სპორტი პოლიტიზებულია. სამწუხაროდ, სპორტი უკვე სპორტს აღარ ჰგავს, სულ სხვა ფუნქცია შეიძინა. საუბედუროდ, ჩვენს ზოგიერთ ათლეტს ზონდერებად იყენებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ სპორტის მოყვარულებისთვის საყვარელი ადამიანები ზონდერბრიგადებში გადადიან და უპირისპირდებიან მათ, ვინც ხარობდა მათი წარმატებებით. სამწუხაროა კიდევ ერთი გარემოებაც, რომ ამას თავისი ინიციატივითკი არა, ვიღაცის დავალებით აკეთებენ. პოლიტიკა ხშირად არის შეჭრილი სპორტში. ნახეთ, ვინ ხელმძღვანელობს სპორტულ ფედერაციებს და აქედან გამოჩნდება ყველაფერი. ლონდონის ოლიმპიადაზე ბეთქილ შუკვანთან დაკავშირებული ინციდენტი პოლიტიკას უკავშირდება. ახალგაზრდა კაცმა გამოხატა თავისი სიმპათიები ბატონი ბიძინა ივანიშვილისადმი და ამის გამო მტრად შერაცხეს, იყო გინება, გარიყეს გუნდიდან და რა ვიცი, კიდევ რა. მოკლედ, ეს იყო უკიდურესი სიბინძურე, სხვა სიტყვას ვერ ვუძებნი მის მიმართ ჩადენილ საქციელს. შენი გუნდის წევრს, რომელსაც სხვა აზრი გააჩნია, როგორ შეიძლება შერაცხო მტრად, გარიცხო გუნდიდან და ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო. თუმცა მსგავსი შემთხვევები ადრეც ყოფილა ზურაბ ზვიადაურის, კახი კალაძის მიმართაც, თუნდაც ჩემი შემთხვევა გავიხსენოთ.

**— დავუბრუნდეთ ლონდონში მომხდარ ინციდენტს. უცხოელები ხომ გაიგებდნენ, როგორ წამოვიდა ინგლისიდან შუკვანი, როგორ იმოქმედებს ეს ფაქტი საქართველოს იმიჯზე?**

— თავისთავად ცხადია, უარყოფითად იმოქმედებს. უცხოელებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ უდიდესი სპორტსმენი პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლონ სამსახურიდან! ბეთქილი ერთ-ერთი ფავორიტია თავის წონაში, თავისუფლად შეეძლო ოქროს მედლისთვის ბრძოლა, მაგრამ ისე მოუშალეს ნერვები, ისეთი ზეწოლები განახორციელეს, რომ ორთაბრძოლებზე აღელვებული გავიდა. ჩვენივე ქვეყნის წარმომადგენლებმა, დარწმუნებული ვარ, ისე ჩაუწყვეს საქმე, მოსალოდნელი იყო საერთოდ უმედლოდ დარჩენილიყო. არ უნდოდათ მისი სპორტული წარმატება, რადგან ამბობდა: გამარჯვებას „ქართულ ოცნებას“ მივუძღვნიო. ამ ხალხს ქვეყნის იმიჯი არ აინტერესებთ, რევანშზე არიან გადასული. სპორტი საერთოდ ცალკე დარჩა, ცალკე დარჩნენ სპორტსმენები და ცალკე არის ნაციონალური მოძრაობა. სპორტი ხალხს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ მათ აინტერესებთ, არ დაკარგონ გავლენა სპორტსმენებზე და ამითაც შეუწყონ ხელი თავისთვის სკამების შენარჩუნებას. ეს არის ნაციონალების მიზანი. ამისთვის მიდის ბრძოლა. ქვეყნის ინტერესები და სპორტსმენების წარმატებები მაგათთვის არაა მნიშვნელოვანი.

სიმართლე გითხრათ, ინფორმაცია მეც მხოლოდ პრესიდან მაქვს. როგორც ვიცი, ევროპის ჩემპიონატის შედეგები გაითვალისწინეს, მაგრამ ეს იყო ოთხი თვის წინ გუნდის დაკომპლექტებას მთავარი მწვრთნელი წყვეტს, მაგრამ უნდა გაეთვალისწინებინათ ირაკლის გამოცდილება საერთაშორისო სარბიელზე. ახლა ჩემთვის შორიდან ძნელია საუბარი.



**— ბატონო შოთა, ოლიმპიადამდე ჩვენთან საუბარში თქვით, რომ თუ ვინმე გახდება ჩემპიონი, მხოლოდ ბუნებრივი ნიჭის წყალობითო. რა ნიშნით შეირჩა საქართველოს ოლიმპიური ნაკრები?**

— ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი, ეს ბავშვი ღმერთმა დაიფარა, რომ არ მოხვდა იმ ორწლიან სამწვრთნელო პროცესში, რასაც ავსტრიელი სპეციალისტი ატარებდა. რასაც ადრე ვამბობდი, რომ დავკარგავდით იმ პოტენციალს, რაც ჰქონდათ ჩვენს ძიუდოისტებს. სამწუხაროდ, გამართლდა. ბევრი კარგი ბიჭი დავკარგეთ. შავდათუაშვილი ბოლო სამი თვე შეუერთდათ და ვერ მოასწრეს მისი გადაწვა და იმიტომაც გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ყველა მოჭიდავეს ეტყობოდა, რომ აცდენილი იყვნენ სპორტულ პიკს. სამწუხაროდ, ნაადრევად შევიდნენ ფორმაში და ოლიმპიადისთვის უკვე დაღმასვლა დაეწყოთ. ასეთი მნიშვნელოვანი ასპარეზობის წინ რომელი ჭკუათმყოფელი მოაწყობს შეჯიბრს და თან სად — სამხრეთ ამერიკაში! ასეთი მოქმედებები ჩემთვის მიუღებელია. ხანგრძლივი მგზავრობა, თანხების უმიზნოდ ხარჯვა, უსამართლოა. უამრავი თანხებია გახარჯული უაზრო ვოიაჟებში. ჩვენ გვაქვს უნიკალური კურორტები, ხომ შეიძლებოდა აქ მომზადება და თანხების აქ დახარჯვა, მითუფრო თუ ასეთ ფატალურ შედეგს მივიღებთ. ჯერ კიდევ შარშან ვამბობდი, რომ ავსტრიელ სპეციალისტს არ აქვს ეროვნული ნაკრების მომზადების გამოცდილება, მაგრამ არ დამიჯერეს და მივიღეთ ის, რაც გვაქვს.

**— რამდენადაც ვიცით, ცირეკიძე „ქართული ოცნების“ მიმართ სიმპათიებით არის განწყობილი ეს ხომ არ გახდა მიზეზი ლონდონში მისი არწაყვანის?**

— ამასაც არ გამოვრიცხავ, რადგან რამდენჯერმე გაიჟღერა მისმა გვარმა „ქართული ოცნების“ მიმართ, ალბათ, აქვს სიმპათიები, ეს გახდა ვიღაცებისთვის ცნობილი და შეიძლება, ესეც იყო მიზეზი.

**— გამოდის, ისევ პოლიტიკასთან მივდივართ.**

— ამას ახლა ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ხმები უსაფუძვლოდ არ ვრცელდება, ესეც უნდა ვივარაუდოთ, რომ ვიღაცებმა დაბლოკეს. კიდევ ერთს გეტყვით, რაც უდაოდ საინტერესოა, რატომ მოხდა, რომ არჩევნების წინ ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი გამოჩენილი ვეტერანი სპორტსმენები წაიყვანეს. იცოდნენ, რომ რამდენიმე სპორტსმენი აპირებდა თავისი აზრის დაფიქსირებას და ამიტომ წაიყვანეს ლონდონში. რატომ არ მიჰყავდათ წინა ოლიმპიადებზე ჩვენი ვეტერანები. ესეც არის დაკავშირებული პოლიტიკასთან და საქმე გვაქვს, გარკვეულწილად, მოსყიდვასთან. ამ ადამიანებს ეკუთვნით დაფასება, მაგრამ რაღა არჩევნების წინ გაახსენდათ. 130 სპორტსმენი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია. ისინიც, ვინც ლონდონის ოლიმპიადაზე იყვნენ, ვიცი, ბევრი შემოუერთდება „ქართულ ოცნებას“.

**— თქვენ წელან კახი კალაძის ჯარიმა ახსენეთ. რისი გულისთვის აჯარიმებენ, საკუთარი ფული რომ დახარჯა?**

— ასეთი რამ არ გამიგია, როგორ შეიძლება ასეთი ფორმით დაუპირისპირდე იმ ადამიანს, რომელმაც ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს გააცნო. განსხვავებული აზრის გამო მტრად უნდა გამოაცხადო? ამაზე ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა. რას აკეთებს საერთაშორისო საზოგადოება?!

**— კახის მეგობარი ანდრეი შევჩენკოც მიდის პოლიტიკაში, მაგრამ მასზე ზეწოლის ფაქტები არ გაგვიგია.**

— რაც ჩვენთან, საქართველოში ხდება, მსოფლიოში არ არსებობს. პრეზიდენტი რომ იტყვის — მეტი საქმე არა მაქვს ქვეყანა ჩაგაბაროთო, რაზე უნდა ვილაპარაკოთ, თითქოს ქვეყანა მისი საკუთრება იყოს. იმისთვის ავირჩიეთ, ემსახუროს ქვეყანას, მაგრამ...

**— როგორ ფიქრობთ, ჩვენი სპორტსმენები გაუძლებენ ზეწოლას?**

— სპორტსმენები ვაჟკაცები არიან, ყველაფერს გაუძლებენ, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევენ. ვიცი მათი განწყობა. კარგად ხედავენ, რა სიბინძურეც არის და თავიანთ პოზიციებს მალე დააფიქსირებენ.

**გია ბურდული**

მიუხედავად მოწინავე და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანზაციების, ჰილარი კლინტონის განცხადებისა, რომ სახელისუფლებო მმართველმა პარტიამ მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს საარჩევნო კამპანიასა და უშუალოდ არჩევნებზე საჯარო სექტორის რესურსის გამოყენება, ნაციონალები ამას არად დაგიდევენ და ღიად აგრძელებენ ჩვეული მეთოდების გამოყენებას.

კულუარული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებისათვის (ხელმძღვანელებისათვის) „ნაცვერხუშკის“ მიერ გაცემულია დირექტივა, თანამშრომელთა ზაფხულის პერიოდში გაშვების თაობაზე თანამშრომლებს ხელმძღვანელები პირდაპირ ეუბნებიან, რომ შეზღუდვები პოლიტიკურად ცხელი ზაფხულითაა ნაკარნახევი. თუ ვინმეს მაინც ეღირსება დასვენება, მხოლოდ რამოდენიმე დღით. საჯარო მოსამსახურეთა ბედს გაიზიარებენ ხელისუფლებასთან დაახლოებული ან მათზე დამოკიდებული არასამთავრობო ორგანიზაციები და დაწესებულებები.

სამაგიეროდ, სამსახურებში ჩარჩენილებს უხვად

# sworeba arCevnebze _ Svebulebebsi aravin gauSvaT, sagangaSo mdgomareobaa!



ჰპირდებიან არჩევნების წარმატებით ჩავლის (ვისთვის როგორ) შემთხვევაში, ოქტომბერ-ნოემბერში მასობრივ „ამნისტიას“ კუთვნილზე დღეების დამატებია, პრემიალური თანხების გაცემისა და თუ საჭიროება მოითხოვს, უხელფასო შვებულებების მიცემასაც.

ინფორმაციის პირველწყაროებს მიზეზების გამო ვერ დავასახელებთ. ერთ-ერთი ამგვარი ინკოგნიტო რესპონდენტის განცხადებით, როდესაც უფროსმა თანამშრომლებს შეზღუდვების შესახებ ამცნო, ჩვენთან მოსაუბრის კოლეგამ ზემდგომს შეჰბედა — მე შვებულება კანონით მეკუთვნის, რატომ არ მაძლევთო. პასუხად კი უფროსმა კბილებში გამოსცრა, — რა გეკუთვნის და რა არა შრომის კოდექსში წერია და შიგ ჩაიხედეო.

ჩვენს დაწყევლილ შრომით კანონში კი წერია, რომ დამქირავებელს უფლება აქვს დაქირავებულს არ მისცეს (გადაყვა) კუთვნილი შვებულება. ერთი და იგივე სამუშაოს შემსრულებელთაგან (ბრიგადა, ჯგუფი და ა.შ.) თავისი შეხედულებისამებრ წაახალისოს პიროვნებები მატერიალურად და რაც ყველაზე მთავარია, სურვილისამებრ, ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე გაანთავისუფლოს თანამშრომელი, (წინასწარი გაფრთხილების გარეშე) მართალია, ამგვარ ბატონყმურ კანონმდებლობას დასავლეთში უამრავი კრიტიკოსი ჰყავს, მაგრამ ვარდ-ეკლოვანებს ეს სულაც არ ადარდებთ.

არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში სამსახურის დაკარგვის პერსპექტივა ყველასთვის მიუღებელია. ამის გამო უკანონო შეზღუდვებზე ხალხი ხმას არ იღებს, ვინ იცის, როგორ განვითარდება ქვეყანაში პოლიტიკური მოვლენები. ასე კი მომავალ წელს საპრეზიდენტო, შემდგომ კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, გამოდის, რომ არსებობს ალბათობა ხალხის 3 წელი დაძაბულ, სტრესულ მდგომარეობაში ყოფნისა.

**ზაზა ბილიხოძე**

მოგზაურობა სამშობლოში

# vis vutovebT aqaurobas?..

## ტყე-ჯავახეთი






ნინელი ანანიაშვილი და ბარალეთის საყდარი
(ინტერიერი, მცირე ქვა-ჯვრები და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფასადი)

სირგვის სამხრეთით ჯავახეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სოფელი **ბარალეთია.** იგი, ძირითადად, ამავე სახელწოდების მდინარის მარცხენა სანაპიროზეა გაშენებული. ვიდრე ისტორიულ საბუთებს შევეხებოდეთ, მანამდე აქ ჩაწერილი ის ლეგენდა უნდა გადმოგცეთ, რომელიც ჯავახეთის ამ მონაკვეთში, ძველ დროში, ტყის არსებობას ადასტურებს.

**ერთხელ სოფელზე მომდგარ მტერს ტაძრის ოქროს გუმბათი დაუნახავს შორიდან. მის ელვარებას მომხვდურის ხარბი თვალი დაუბრმავებია. ჯარის წინამძღოლს გუმბათის წაღება უბრძანებია, მაგრამ გახიზნულ სოფელში ერთი ბერიკაცის გარდა ვერავინ უნახავთ, რომ ეკლესიამდე მიმავალი ბილიკი ესწავლებინა. ბერიკაცი არ გამომტყდარა, რის გამოც წამებით მოუკლავთ. ბევრს ცდილა მომხვდური, რომ ბილიკი თავად აღმოეჩინა, მაგრამ ამაოდ. მაშინ წინამძღოლს ტყის გადაწვა უბძანებია და განძი ასე ჩაუგდია ხელთ. ცეცხლი, რა თქმა უნდა, გავრცელებულა და ოდესღაც უსიერი ტყე, თურმე, 7 წელი ხრჩოლავდა. მხოლოდ აქა-იქ გადარჩენილა პატარ-პატარა კორომები.** იოლი შესაძლებელია, რომ ლეგენდას საფუძვლად ედოს 914 წელს აბულ-კასიმის ლაშქრობა საქართველოში, როცა თმოგვის ციხესთან ხელმოცარული აზერბაიჯანის არაბი ამირა განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა დანარჩენ ჯავახეთს. ლეგენდას რომ რეალური საფუძველი აქვს და მცირე კორომები XVI საუკუნემდე არსებობდა, ამას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრით" დამოწმებული ტერმინი ტყე-ჯავახეთიც ადასტურებს. იმის გამო, რომ ტყე-ჯავახეთი ზღვის დონიდან 1600 მეტრზე მაღლაა, მეცნიერთა ვარაუდით, აქაური ტყე მხოლოდ არყითა და ფიჭვით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ სად გავექცეთ იმ ფაქტს, რომ არათუ ბარალეთში, არამედ მასზე გაცილებით მაღლა მდებარე აზავრეთში და სხვა სოფლებში ხეხილის ერთი ჯგუფი ხარობს?!...

ბარალეთში, ბუნებრივია, ხილი შემოსავლის წყარო ვერ იქნება. აქ, ისევე როგორც მთელ ჯავახეთში, სოფლის მეურნეობის ძირითად დარგად კარტოფილის კულტურა ითვლება, რომელმაც არათუ ადრინდელი მარცვლეული კულტურები, მესაქონლეობაც კი მეორე ადგილზე გადაწია. უხვი მოსავლის მთავარი გარანტია აქ მდინარიდან შემოყვანილი სარწყავი არხებია.

**სოფელში ამჟამად 245 კომლი მოსახლეა, რომელთაგან დიდი უმეტესობა სომხობაა, ქართველობა კი მხოლოდ 40 კომლია.** მოსახლეობის ასეთი თანაფარდობის მიზეზი, ერთი მხრივ, ჩვენი უყურადღებობის გამო ქართველების საგრძნობი ნაწილის აყრაა, მეორეს მხრივ კი XIX საუკუნის 20-იან წლებში ერზერუმელი სომხების ჩამოსახლება მთავარმართებულ პასკევიჩის მეცადინეობით. გარდა ამისა, **როგორც ვარაუდობენ, სომეხთა მცირე ნაწილი აქ დავით აღმაშენებელსაც ჰყავს მოყვანილი ანისის აღების შემდეგ, როცა მან ბარალეთი მცირე სავაჭრო ქალაქად აქცია.** ამის ერთი გვიანდელი ირიბი საბუთიც არსებობს. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში ნათქვამია: **„არს ბარალეთი მცირე ქალაქი, მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი".**

სოფელში ორი ეკლესია და ორი სკოლაა. დავიწყოთ ეკლესიებით. სომხური ტაძარი მხოლოდ XIX საუკუნისაა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დავით აღმაშენებლის ჩამოსახლებული სომხების შთამომავლები ქართველებთან ერთად ერთ ეკლესიაში ლოცულობდნენ. შეიძლება, რომ ამ დროს ქართულ-დიოფიზიტურ და სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიათა შორის არსებულ განსხვავებაზე ჯავახეთში მცხოვრები სომხები საუბარს ვერ ბედავდნენ, ანდა სულაც მართლმადიდებლებად იყვნენ მოქცეულნი. მერე და მერე სომხებმა მაინც თავი გამოამჟღავნეს. ცნობილია, რომ ლაშა-გიორგის დროს ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის VII საუკუნიდან არსებული დაპირისპირება ჯავახეთს გადმოსწვდა, ეს ძალიან ნათლად და ხატოვნად იოანე ბატონიშვილს აქვს აღწერილი „კალმასობის" სრულ ვარიანტში. მღვდელმთავრებს შორის გამართული კამათი მაშინ ქართველთა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ, შეიძლება, სომხებს ცალკე ლოცვის ჩატარების ნებართვა მაინც დართეს. ამაზე მხოლოდ ეჭვით შეიძლება საუბარი, ეჭვს კი ბარალეთის ძველი ეკლესია ბადებს. ღვთისმშობლის ეს ორნავიანი საყდარი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი მთავარი დარბაზი უფრო ძველია, ვიდრე სამხრეთისა. ორი დარბაზის გამმიჯნავი ტლანქი, გახსნილი სამთაღედი იმდენად უხერხულად არის შეჭრილი მთავარი საკურთხევლის ნახევარწრეში, რომ ძნელი წარმოსადგენია, ორივე დარბაზი ერთდროულად და ერთი ხუროთმოძღვრის მიერ იყოს აგებული. ძველი ოსტატი ამას არ იქმდა. სწორედ ეს ბადებს ეჭვს, რომ სამხრეთის გვიანდელი დარბაზი განსხვავებული მრევლის ღვთისმსახურებისთვის აიგო. ასე რომ, ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, ლავგარდანის ქვეშ, მოთავსებული ქართული ასომთავრული წარწერის პირველი სიტყვა „აღეშენა" რეკონსტრუქციას უნდა აღნიშნავდეს და არა ბალავრის დადებას. ამის მაგალითები სხვაგანაც ბევრგან გვხვდება.

წარწერა ასეთია: **„აღეშენა ეკლესიაი ესე მათ ჟამთა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა, ადიდენ ორთავე ცხოვრებათა შინა, საყდარსა..."** ტექსტი იმიტომ აღარ გრძელდება, რომ მეორე ტყუპისცალი ქვა აღარ არსებობს კედელში. ეს უკვე გვიანდელი შეკეთების ბრალია.

**XIX საუკუნეში მოსულ ერზერუმელ სომხებს ერთხანს ტაძრის სამხრეთი ნავი გამოყენებიათ სალოცავად და ზედ მცირე სამრეკლოც შემოუდგამთ, მერე კი 1898 წელს ცალკე აუგიათ თავიანთი საყდარი.**

ღვთისმშობლის ეკლესიის ირგვლივ ძველი საფლავების საინტერესო ქვებია. ზოგს ვერძის ფორმა აქვს, ზოგზე გუთნისდედის ატრიბუტებია გამოსახული, ზოგზე — მეომრის. ყურადღებას იპყრობს ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან დაწოლილი ვეება ლოდი, რომელზეც ლამაზი მხედრული ასოებით ამოკვეთილია **„ძველ ქრისტიანთა ეკლესიის შეწყნარებისა ერთგული წინამძღვრის"** ანუ მართლმადიდებელი მღვდლის **პეტრე ხმალაძის ეპიტაფია.** რაოდენ ტევადია მართლმადიდებლობის ასეთი განმარტება —„ძველ ქრისტიანთა"! იქნებ, ამ სიტყვების მიღმა ის ბრძოლაც იგულისხმება, რომელიც აქაურ ქართველობას გადახდა საკუთარი მეობისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების უპირატესობის დასამტკიცებლად XIX საუკუნეში?!

ამ პეტრე ხმალაძის შთამომავალი იყო ბარალეთის ქართული სკოლის დირექტორი **გიორგი ხმალაძე,** რომელმაც ჩემთან საუბარში გაიხსენა მისმა რძალმა **ნინელი ანანიაშვილმა:**

**„ბატონი გიორგი მე შევცვალე სკოლაში, მაგრამ ახლა ისეთი მძიმე მდგომარეობა გვაქვს, რომ მისი ტვირთის ზიდვა ძალიან მიჭირს. ბოლო წლებში, ქართული მოსახლეობის კლების გამო, უფროსკლასელთა რაოდენობა ისე შემცირდა, რომ სამი ასაკობრივი ჯგუფისთვის ერთი ზედა კლასიც კი ვერ დავაკომპლექტე. ამიტომაა, რომ ბარალეთელი უფროსკლასელები ახალქალაქის ქართულ სკოლაში განაგრძობენ სწავლას. ახალქალაქიდან ბარალეთამდე კი 16 კილომეტრია. დიახ, ვერ ვზიდე ჩემი განსვენებული მამამთილის ჭაპანი. იცით, როგორ გადაარჩინა მან ეს ეკლესია? ის მცირე საეკლესიო ინვენტარი, რაც კი განადგურებას გადაურჩა, სახლში გადამალა, სასაწყობედ გამზადებულ, კირით შეთეთრებულ ეკლესიაში კი იმდენი იბრძოლა, რომ, მხარეთმცოდნეობის კუთხე გახსნა, ამ ჯვრების შეტანა ვერ გაბედა** (ქალბატონი ნინელი ორ საწინამძღვრო ჯვარს მიჩვენებს), **მაგრამ ეკლესია გადაკეთებასა და გავერანებას გადაარჩინა"...** ქალბატონი ნინელი წამით დადუმდა, მღელვარება დაძლია და განაგრძო: **„რა თქმა უნდა, აქეთ რომ გამოვთხოვდი, ახალგაზრდა ვიყავი, მასწავლებლობა დავიწყე, მაგრამ სოფლის სომხურ გარემოს ვერ შევეგუე, მცირერიცხოვანი ქართველობა ჩვენებურ ამინდს ვერ ქმნიდა, არც თბილისიდან იყო რაიმე ხელშეწყობა. ერთი სიტყვით, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი და ბატონ გიორგის შევბედე, რომ აქ ველარ გავძლებდი. მან ყურადღებით მომისმინა და ასე მომიგო — მე როგორ დაგაკავებ, მაგრამ ვიდრე წახვიდოდე, ერთ შეკითხვაზე მიპასუხე — აქაურობას ვის უტოვებ? შემრცხვა და დავრჩი. მას შემდეგ გადავწყვიტე — მეც და ჩემი შვილებიც აქ ვიყოთ და აქ დავიხოცოთ. ქართველმა აქედან ფეხი არ უნდა მოიცვალოს".**

ეს საუბარი 10 წლის წინ შედგა, მაგრამ ისე ცხადად ჩამებეჭდა გონებაში, რომ მოსვენებას არ მაძლევს. 10 წელი მცირე დრო არ არის ჩარხის წაღმა თუ უკუღმა დასატრიალებლად. ამდენად, არასდროს მტოვებს მწვავე განცდა და შეკითხვა: — ვაითუ?...

ვაითუ, სულ დაიცალოს ეს სოფელი, ვაითუ, ბარალეთიც მისი მეზობელი **მერენიის** დღეში ჩავარდეს, სადაც ქართული წარსულიდან მხოლოდ მცირეოდენი კვალიღაა გადარჩენილი. ერთი მათგანია წარმართული მენჰირი (იგივე „ვეშაპი" და „ძიქვა" ანუ რძის ქვა), რომელიც ამჟამად ფიცრულში დგას. ეს გიგანტური ლოდი და ოდნავ ზევით არსებული დიდი, გემრიელი წყაროს წყალი, გადმოცემის თანახმად, რძედამშრალი დედების მკურნალია. ქალები ჯერ ლოდს შეეხებიან ერბოიანი ხელით, მერე კი წყაროს წყალს სვამენ და მის კედელში ჩადგმულ წმინდა გიორგის ბარელიეფთან ანთებენ სანთელს. ეს ბარელიეფი იმ ძველი ტაძრის კუთვნილება უნდა იყოს, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ძველი ქართული საყდრის არსებობას ის ქვაჯვარიც ადასტურებს, რომელიც XIX საუკთუნის სომხური ეკლესიის ზეძირკველშია გაწოლილი.

სოფლის სახელწოდება მერენია, ქურთული „მერე"-დან მომდინარეობს, რაც მოედანს ჰქვია. ახლა ჯერჯერობით აქაური აღარც ბურთია ჩვენი და აღარც მოედანი.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**





მერენიის წყარო, მის კედელში ჩასმული
წმ. გიორგის ბარელიეფი და სომხური ეკლესიის ზეძირკველში ჩადგმული ძველი ქვა-ჯვარი

# cxra nomeri giJebis TareSi da gayiduli qveyana

იმერეთში, ხარაგაულის რაიონის უამრავ ულამაზეს სოფელთა შორის, არის საქართველოს ბევრი სხვა სოფელივით უპატრონოდ მიტოვებული ჩემი ამაშუკეთიც. „ქართული ოცნების“ დარგობრივი ჯგუფიდან ხარაგაულის რაიონში ერთკვირიანი ვიზიტით, „ქართული ოცნების“ წინაარჩევნო კომპანიის ჩასატარებლად, ბიძინა ივანიშვილის მხარადსაჭერად და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გასაცნობად სამკაციანი ჯგუფი გაგვაგზავნეს. მთლიანად ხარაგაულის რაიონისა და მისი სოფლის მოსახლეობის გაუსაძლისი სიდუხჭირის ფონზე, შერეული, ალპური ზონის კლიმატის ტყეებითა და ნაკრძალებით განთქმულ ამ მხარეს კიდევ ერთი უბედურება დაატეხა თავს ქართველთმოძულე სააკაშვილის რეჟიმმა. ეს „საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის“ პროექტია. კერძოდ კი ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთზე ე.წ. რკინიგზისთვის გასათხრელი გვირაბი, რომლის განხორციელების პროექტის ტენდერშიც „თურმე“ ჩინურ კომპანიას „გაუმარჯვია“. სადღაც შორეულ ჩინეთში, „თავისით შეუტყვია“, საქართველოში ტენდერი რომ ტარდებოდა და სააკაშვილი „არაფერ შუაშია“?! სამუშაოს ჩასატარებლად ჩამოსული მრავალრიცხოვანი ჩინელების მასიური მიგარაცია „სტიქიურ უბედურებად“ ექცა ადგილობრივ მოსახლეობას. გაუთავებლად „სინგაპურიზაციისა“ და „მრავალეთნიკური ერის “ (სააკაშვილის საყვარელი ტერმინი) ხსენების ფონზე, ყველაფერი ქართულის მოოხრებისა და განადგურების შემდეგ სააკაშვილის ასეთი დემოგრაფიული პოლიტიკაც აღარვის უკვირს. ერიცა და ეთნოსიც, მისი აზრობრივი დატვირთვითა და თვალსაზრისითაც შეუძლებელია მრავალეთნიკური იყოს. ეთნოსი დამოუკიდებელ ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენს. ეს არათუ აზრობრივად გაუმართლებელი ნონსენსი, ელემენტარული გაუნათლებლობა.

ქართველ კაცს სტუმრად ჩამოსულისა და საქმეში შემხიდებლისთვის უარი არასდროს უთქვამს, მაგრამ ხშირად ამ „დამხმარე-შემხიდებლების“ მოჯამაგირედ აქეთ ქცეულა და ეს „მომხმარეც“ მისი ქონების ბატონ-პატრონიც აქეთ გამხდარა. ხარაგაულის რეალობიდან კი, როგორც ჩანს, საქმე დახმარებასა და შეხიდებაში სრულებითაც არ არის. პირიქით, საქართველოს ეკოსისტემის განადგურებასა და ამ პროექტის არეალში მცხოვრები მოსახლეობის საკუთარი მიწებიდან აყრასა და ამ მიწებიდან მათ გასახლებაშია. ადგილობრივი მოსახლეობისგან მოპოვებული ინფორმაციით, ხსენებული გვირაბი არა ხელისუფლების მიერ გაცხადებული ჩქაროსნული მატარებლისთვის, არამედ (საქართველოს ტერიტორიის გავლით) თურქეთისთვის სატვირთო სარკინიგზო მარშრუტისთვის კეთდება. ხარაგაულის მოსახლეობა კი, რომელსაც რკინიზგის ნაცვლად ავტობანის გაკეთებას ჰპირდებიან, იმ რკინიგზით სარგებლობის შესაძლებლობასაც კარგავს, რომლითაც მიუვალ მთიან ადგილებში რკინიგზასთან ურმით ჩაყვანილი პაციენტისთვის მატარებლით ექიმიც არაერთხელ მოუყვანიათ. ვინაიდან „დემოკრატიულად გაჭენებული შუქურის“ მმართველობით მოუწესრიგებელი გზების გამო, იმერეთის ამ მაღლამთიან სოფლებში სასწრაფო



დახმარების მანქანაც ვერ ადის. ბორითის გზის პირას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის აშენებული, საუკეთესო სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი უფასო საავადმყოფოში კი „ზედა ეშელონების“ ბრძანებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯერ ეს ტექნიკა დააზიანა, საავადმყოფოს ბოქლომიც დაადო. შემდეგ კი მოსახლეობას ხარაგაულში უკვე არსებული ოთხსართულიანი საავადმყოფოს შენობაში „ახალი საავადმყოფოს“ გახსნის პერსპექტივით ატყუებს. ჩვენი ყოფნისას ხარაგაულში ჩამოსული გაპრემიერებული მერაბიშვილის ვიზიტის ერთი დეტალი ტელევიზიებსა და ჟურნალისტებს ყურადღების მიღმა დარჩა. საკრებულოში „თავისიანებთან“ შეხვედრაზე მისულ „უძლეველ მერაბიშვილს“ „ქართული ოცნების“ ჩვენი ჯგუფის ახალგაზრდა წარმოამდგენელმა შეკითხვა დაუსვა: „ვანო ისევ კამაზით ხარო“?. ეს „ის კამაზია“, რომლითაც სააკაშვილის თქმით, „გაღლეტილი მერაბიშვილის“ ოჯახი თურმე დღემდე დადის. დაბნეული ვანიჩკა, „შენ ხარ კამაზით, შენ ხარ კამაზითო“, — გაიძახოდა. მისმა გაოგნებულმა დაცვამ კი „ქართული ოცნების“ ჩვენი წარმომადგენლის ტელეფონიც დააზუსტა და ამ ფრაზით დაბნეული აღმა-დაღმა დარბოდა და „ინფო 9“-ს ჟურნალისტებსა და კამერებს ემალებოდა. საავადმყოფობის გამო კი ხარაგაულიდან ზესტაფონში, იქედან კი ქუთაისში გადაგზავნილი ბევრი ავადმოყოფი გზაში მხოლოდ იმისთვის დაიღუპა და იღუპება, რომ ხელისუფლებას ივანიშვილის გახნილი უფასო საავადმყოფო არ აწყობს. არც ისაა ცნობილი, ამ ჩინური კომპანიის მიერ განხორციელებული დახურული გვირაბის პროექტით რისი გადაზიდვა იგეგმება — ნარკოტიკების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის თუ „თვალისთვის მოსაფარებელი“ კიდევ სხვა რამის?! სააკაშვილის „პროექტომანიის“ (ჰესებისა და გვირაბების თხრის) გამო, უკვე გაქრობის პირას მისულ ბახმაროს მიდამოებში არსებულ „ნაბეღლავის“ მინერალურ წყალს ახლა „ზვარეს წყალიც“ ემატება. ჩინური კომპანიის მიერ დაწყებული გვირაბის გათხრით, იკეტება ნუნუსის საუცხოო სამკურნალო და სასწაულმოქმედი თვისებების მქონე „ნუნისის წყლის“ ხეობაც. ნუნისის მონასტერთან მიმავალი გზაც ჩინელებით დასახლებულ ტერიტორიაში ექცევა. ნუნისის გამოქვაბულში კი „ნოეს კიდობნის“ არსებობის არაერთი მოსაზრება და ფოტომასალა არსებობს. „ზვარეს ქარხნის“ ყოფილი ტერიტორიაც დღეს ჩინელების ხელშია. მიწის სიღრმიდან დღესაც სამკურნალო „ზვარეს წყალი“ ამოდის. ირგვლიც კი ნაგავი, პლასტმასის ცარიელი ბოთლები და სიბინძურეა. იქ მისულებს, მომავალი კარ-მიდამოს შემთვალიერებით დაკავებული „იქაურობის ბატონ-პატრონი“ ორი ჩინელი დაგვიხვდა. „მათ ტერიტორიაზე უცხოთა შესვლა“ აშკარად არ ესიამოვნათ და სანამ არ წამოვედით შორიდან ამრეზით გვიცქერდნენ. ჩამოსული ჩინელები კი „საქართველოს მოქალაქეობის“ მიღებასთან ერთად (რაც მათ იქაურობის ბატონ-პატრონად ხდის) უმოწყალოდ კაფავენ ადგილობრივ ტყეებსა და ადგილზე სამოსახლოებსაც იშენებენ. არაერთ ჩინელს შეხვდებით ლაცაბიძეების, ღონღაძეებისა თუ სხვა ქართული გვარებით. მთავარი პრობლემა კი იმაშია, რომ „სამუშაოდ ჩამოსული“ ჩინელი მუშახელი, ასეთ წალკოტში ცხოვრების შემდეგ მშობლიურ ჩინეთში დაბრუნებას აღარც კი ფიქრობს. თუ ჩინელის ანზღაურება 1700 ლარს შეადგენს, შესრულებულ მიმე სამუშაოში (ელექტროშემდუღებელის) გაჭირვებულ ქართველს 11-საათიან სამუშაოში 20 ლარს უხდიან. მამა-პაპისეული ტყის მოხმარებისთვის ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობას უზომო ჯარიმებს უწესებს, (თუმცა წინასაარჩევნოდ გარკვეულ ნაწილს შეზღუდვა დროებით მოუხსნეს) ჩინელები კი უმოწყალოდ კაფავენ ხარაგაულის ტყეს. **თავად ხელისუფლებაც, საშემოდგომოდ, წიფის გვირაბით, 30 000 კუბომეტრი შეშის გატანას გეგმას საქართველოს ფარგლებს გარეთ.** ხარაგაულის ეკოლოგიას არც იქაური ადგილობრივი პოლიცია წყალობს. პოლიციის ადგილობრივი მაღალჩინოსნები კერძო დროსტარება- გართობისთვის ანკესით თევზაობას არ კადრულობენ. ღამღამობით დენის გამოყენებით „თევზაობენ“. დენგატარებულ წყალში ერთხელ მოხვედრილი თევზი კი კარგავს ქვირითის დების უნარს და მდინარის თევზით მდიდარი რაიონი ამ ბუნებრივი რესურსის გარეშეც რჩება. ხარაგაულის ტყეში, რომელიც ბორჯომისკენ დღეს გაუქმებული ნაკრძალის სტატუსის მქონე „ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკით“ გრძელდება, იჩეხება ბუნებრივად მოშენებული ხის ისეთი უნიკალური ჯიშიც, როგორიც რცხილაა. ნიადაგში დაქსაქსული მისი ფესვები მიწას დაცურებისა და ჩამოშლისაგან იცავს. რცხილის თვითნებური ჩეხვაც, მეწყერებისა და მიწის ჩამოშლის საფუძველი გახდება. ხელისუფლება კი (ღმერთმა არა ჰქნას, ოქტომბრის შემდეგაც რომ დარჩეს) ფაქტობრივად განზრახ გამოწვეული ამ სტიქიური უბედურებისთვის მეგობარი ქვეყნებიდან გამოყოფილ თანხებსაც ისე „გემრიელად შეირგებს“, როგორც სამაჩაბლოს დევნილთა სახლებისთვის გამოყოფილი თანხები „შეირგო“ სუბელიანთან ერთად. აშენებულ ხუხულებს კი სამაჩაბლოელებს ყელში ამოუყვანეს. ეკოსისტემის მოშლისა და უნიკალური ტყის განადგურების გარდა, ეს ე.წ. პროექტი დემოგრაფიულ საფრთხესაც უქმნის ხარაგაულის მო-




სახლეობას. სოლიდური შემოსავლებით დაფინანსებული ჩინელები, გაჭივებულ ადგილობრივ მოსახლეობას საცხოვრებლების დატოვების სანაცვლოდ, სხვაგან გადასახლებას სთავაზობენ. ხშირ შემთხვევებში, ეს თანხა არ შეესაბამება სამოსახლოსთვის აუცილებელ, საკმარის თანხას, რასაც ჩინელებისგან შევიწროვებული, გაუსაძლის პირობებში მყოფი ადგილობრივებიდან ბევრი უკვე თანხმდება. გადახდილი თანხა კი, სანამ სხვა საცხოვრებელს იპოვნის, ან ეხარჯებათ, ან სახლის შესაძენად არც კი ჰყოფნით. რუსულენოვანი ჩინელები იმასაც ამხელენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მათ მეტი თანხის გადახდას უკრძალავს. წალკოტ მხარეში დასახლებით „მადლიერი ჩინელები“ კი ხელისუფლების წინააღმდეგ არ მიდიან. ჩინეთის ხელისუფლება თავისი ეთნოსის სხვის მიწებზე დასახლებასა და მათ კეთილმოწყობაში თავის მოქალაქეებს ბევრ ფულს უხდის. სააკაშვილის პირადი დამსახურებით კი საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ქართული მოსახლეობისგან იცლება უკვე იმერეთის ულამაზესი სოფლებიც. ნაცვლად იმისა, რომ სოფელმა თავიც, ქალაქიცა და ქვეყანაც გამოკვებოს, იმერელი გლეხის სამოსახლო ნაყოფიერ მიწებზე ჩინელები ეწევიან სოფლის მეურნეობას და თავისი მოყვანილი პროდუქტით საქართველოს მომარაგებას. უსახლ-კაროდ დარჩენილი ქართველი კი, (თავის სარჩენად), ან საბერძნეთში, ან ამერიკაში მდიდარ მოხუცთა მოსავლელად და სხვა ქვეყნებში მძიმე სამუშაობზე მიდის. აქ დატოვებულ მათ მოხუცებს კი სააკაშვილი მასხრად იგდებს და წინასაარჩევნოდ კბილების ჩასმით სურს მათი კეთილგანწყობის მოპოვება. „ამ ჩასმული კბილებით რა უნდა ვჭამოთო?“— ერთმა მოხუცმა იმერელმა მკითხა. დაცლილი სოფლების, სოფლის სკოლების ნახვისას, (სადაც ზოგან ორი, ზოგან კი ექვსი ბავშვის მეტი არც მიდის პირველ კლასში), ნათელია, რომ სააკაშვილის შიზოფრენიულად (თუ დავალებით) ახირებული პროექტების განხორციელებით „ნაციონალური მოძრაობა“ და პირადად „გაჭენებული სააკაშვილი“ საქართველოს დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ და ფაქტობრივად, ეთნიკურ გენოციდსაც ეწევა. სამომავლო პროექტებში გამარჯვებული კომპანიებიც ხელისუფლებასთან გარიგებულნი, ან სულაც მათ მიერ ლობირებულნი რომ არიან — ესეც ნათელია, რადგან ყველა ასეთი პროექტის უკან მხოლოდ საქართველოს და ქართველი ხალხის საზიანო შედეგები დგება.

**ბაია ამაშუკელი**


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# მედიკამენტური უსაფრთხოება

### ანაბოლური სტეროიდები

ანაბოლური სტეროიდები, ქიმიური სტრუქტურის მიხედვით, მამაკაცის სათესლე ჯირკვლებში გამომუშავებული სასქესო ჰორმონის – ტესტოსტერონის მსგავსი პრეპარატებია. თანამედროვე მედიცინაში მათ ფართოდ გამოიყენებენ სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. უკანასკნელ წლებში საკმაოდ იმატა იმ ახალგაზრდების რაოდენობამ, რომლებიც ფიტნეს-კლუბებსა და სპორტულ დარბაზებში ინტენსიური ვარჯიშის სანაცვლოდ, სწორედ ანაბოლური სტეროიდებით ცდილობენ, მოკლე დროში სხეულის სასურველი ფორმის მიღებას და შენარჩუნებას.

სტატისტიკა, რომელიც ახალგაზრდების მიერ ამ პრეპარატების გამოყენებას უკავშირდება, მეტად სავალალოა – მათი არასწორი, არადოზირებული, თვითნებური, უკონტროლო მიღება საკმაოდ სერიოზულ ზიანს აყენებს ჯანმრთელობას.

მოქმედების მექანიზმის მიხედვით, ორგანიზმში მოხვედრილი ანაბოლური პრეპარატი იმ ორგანოებსა და ორგანოთა სისტემაზეც მოქმედებს, რომლებიც ტესტოსტერონზე „სპეციალიზებული" არ არის. ფართოვდება მათი ფარმაკოლოგიური მოქმედების არეალი და წამალიც ორგანიზმისთვის საწამლავი ხდება – დიდი დოზებით ანაბოლური სტეროიდების ხანგრძლივი ხმარება ორგანიზმში იმ გართულებებს იწვევს, რომლებიც შემდეგ უმძიმესი პათოლოგიების მიზეზიი ხდება.



### ანაბოლური სტეროიდების გავლენა ორგანიზმზე

#### გულ-სისხლძარღვთა სისტემა

ანაბოლური სტეროიდის უმართებული მიღებას ახასიათებს: არტერიული წნევის მატება, ჰიპერტენზიის ჩამოყალიბება, მიოკარდის (გულის კუნთის) დაზიანება. გულის რიტმის დარღვევა და გულის მწვავე უკმარისობის განვითარება. სისხლში ქოლესტერინის, ლიპოპროტეიდებისა და თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის სტიმულაცია.

#### ნერვული სისტემა

ადამიანის ტვინს სპეციალური რეცეპტორები გააჩნია ტესტოსტერონთან ურთიერთობისთვის და შესაბამისად, მის პირველ სამიზნესაც იგი წარმოადგენს. გასული საუკუნის 80-იან წლებში ანაბოლური სტეროიდები ფართოდ გამოიყენებოდა ნერვულ-ფსიქიკური დაავადებების, მათ შორის – ფსიქოზებისა და დეპრესიების სამკურნალოდ. ამ პრეპარატების თერაპიული დოზები ნამდვილად ეხმარებოდა პაციენტებს დაავადებათა დამარცხებაში, თუმცა, არათერაპიული დოზებით მიღებისას ეს პრეპარატები თავად ხდება ფსიქოემოციური წრის დარღვევათა მიზეზი.

დადგენილია, რომ არასწორი მიღებისას, განსაკუთრებით დიდი დოზებით, ადამიანში ყალიბდება მათზე დამოკიდებულება; ამასთან, რაც უფრო ახალგაზრდაა, მით უფრო სწრაფად იჩენს თავს დამოკიდებულება და მით უფრო ღრმაა ნერვული სისტემის დისფუნქცია.

#### რეპროდუქციული სისტემა

მამაკაცებში – ორგანიზმში ხელოვნურად შეყვანილი სტეროიდი იწვევს საკუთარი ტესტოსტერონის სინთეზის დათრგუნვას, სისხლში მისი კონცენტრაციის დაქვეითებას, რაც სათესლეების ატროფიის, სპერმის წარმოქმნის დაქვეითების, სპერმატოზოიდების მოძრაობისა და კვერცხუჯრედში მათი შეღწევის უნარის შემცირების მიზეზი ხდება. იკლებს სპერმის რაოდენობაც. ეჭვს აღარ იწვევს ანაბოლური სტეროიდების უმართებულო გამოყენებასა და პროსტატის ადენომის განვითარებას შორის ურთიერთკავშირი.

ქალებში – იწვევს საშვილოსნოს და საკვერცხეების ატროფიას, მენსტრუალური ციკლის დარღვევას, მის სრულ გაქრობამდე. ბიძგს აძლევს ვირილიზაციის (ხმის დაბოხება, მოჭარბებული თმიანობა, სარძევე ჯირკვლების დაპატარავება) პროცესს:

#### საშარდე სისტემა

თირკმელებში ანაბოლური სტეროიდების გავლენით წარმოიქმნება ქვები და ირღვევა თირკმლის გორგალში შარდის წარმოქმნის პროცესი. ქრონიკულმა ხმარებამ შესაძლოა, თირკმელები სიმსივნურად გადააგვაროს კიდეც.

#### საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა

ძვლის, მყესისა და კუნთების არათანაბარი, შეუსაბამო ზრდის გამო, იმატებს ტრავმატიზმი. მოსალოდნელია მყესების გაგლეჯვა, ძვლების ადრეული ოსტეოფიკაცია, ეპიფიზარული (ხრტილოვანი) ფირფიტების დაჩქარებული შეხორცება.

#### გაითვალისწინეთ:

– საბედნიეროდ სტეროიდული პრეპარატების მიღების დროული შეწყვეტის შემდეგ, ყველა პათოლოგიური ცვლილების აღმოფხვრა შესაძლებელია.

– ისეთი გართულებანი, როგორებიცაა: სახეზე გამონაყარი, თმის ცვენა, ძილის დარღვევა, მადის გაძლიერება, აგრესია – პრეპარატების მიღების შეწყვეტისთანავე ქრება.

– აკრძალულია მათზე ერთბაშად უარის თქმა, რადგან სისხლში სტეროიდების კონცენტრაციის მკვეთრი დაქვეითება იწვევს: ღებინებას, სურდოს, თავის ტკივილს, თავბრუსხვევას, გულისცემის გაძლიერებას, არტერიული წნევის მატებას, ლიბიდოს შემცირებას, დეპრესიას.

– სტეროიდების მიღების უნდა შეწყდეს თანდათანობით, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

# დაეხმარეთ თავს საჭმლის მონელებაში

ადამიანთა უმრავლესობას სტრესის, გადაღლისა და გადაქანცვისას, ყველა „სიკეთესთან" ერთად, კუჭ-ნაწლავის ტრაქტთან დაკავშირებული პრობლემები უჩნდება. ეს ნერვული სისტემის გამოფიტვის შედეგია, რომელიც საჭმლის მონელების ფუნქციის დათრგუნვას იწვევს. შედეგად, შესაძლოა განვითარდეს მეტეორიზმი, შეკრულობა ან ყაბზობა, ნაწლავის სხვადასხვა ტიპის ანთებითი პათოლოგიები, ადამიანს მადა დაეკარგოს.

მსგავს შემთხვევაში აუცილებელია, ჩვენ თვითონ დავეხმაროთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტს საკვების მონელებაში „მწვანე მეგობრების", ხილისა და ბოსტნეული, სხვადასხვა სამკურნალო მცენარის მეშვეობით.

### ცელულოზა – მცენარეული უჯრედისი

ცელულოზა მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი საკვებია, რომელიც შეუცვლელია საკვების ნორმალურ მონელებისთვის.

მისი წყარო მხოლოდ და მხოლოდ მცენარეული პროდუქტებია. უჯრედისი მცენარეული ქსოვილების ძირითადი საშენი მასალაა; მისი უხეში საფუძველი – ჩონჩხი საჭმლის მომნელებელ ტრაქტში გავლისას არსებითად არ იცვლება და გარდაქმნებსაც უმნიშვნელოდ განიცდის, თუ მხედველობაში პირის ღრუში კბილებით მის მექანიკურ დაქუცმაცებას არ მივიღებთ.

რადგან ცელულოზა არ გარდაიქმნება, შესაბამისად, მისგან ორგანიზმიც არაფერს ითვისებს, ამიტომ იგი საკვებ კომპონენტების რიცხვს არ მიეკუთვნება.

მისი კვებითი ღირებულებაა:

– არ მოინელება და სწორედ ამიტომ ნაწლავებს უკეთ მუშაობას აიძულებს.

– უჯრედისით მდიდარი საკვების რეგულარული მიღებით საგრძნობლად მცირდება ნაწლავების ინფექციური და ონკოლოგიური დაავადებებით დასნებოვნების რისკი.

– უჯრედისი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს.

– ცელულოზის მთავარი ღირსებაა ის, რომ ასეთი საკვებით ადამიანი სწრაფად ნაყრდება და აღარ უჩნდება ცხიმებითა და ნახშირწყლებით მდიდარი ულუფების მიღების სურვილი. იკლებს მიღებული კალორიების რაოდენობა, იზრდება ორგანიზმში ვიტამინების, მიკროელემენტებისა და მინერალური ნივთიერებების კონცენტრაცია.

### ბოსტნეული

ბოსტნეულს წყლის, ცელულოზის, ვიტამინების, მარილების დიდი შემცველობა და მცირე კალორიულობა ახასიათებს.

კულინარიული ტექნიკის ამოცანაა, შეუნარჩუნოს მას არომატული ნივთიერებანი, მარილები და ვიტამინები.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გაღიზიანებისას უმჯობესია, საკვები ორთქლზე მომზადებული მიირთვათ. კარგია ბოსტნეულის სუფლე და პიურე, მრავალკომპონენტიანი სალათები.

საკვების მონელებას განსაკუთრებით აუმჯობესებს:

**სტაფილო** – იგი ყაბზობით შეწუხებული ადამიანების მშველელია; მათ ეს ბოსტნეული საკმაოდ დიდი რაოდენობით შეუძლიათ მიირთვან.



სასარგებლოა როგორც სუფთა წვენი, ისე მოხარშული, ჩაშუშული სახით, მცენარეული ზეთით მცირედ შეზავებული.

**ჭარხალი** – სტაფილოს მსგავსად, ესეც შველის შეკრულობას. მეტად დადებითი შედეგი აქვს ჭარხლისა და სტაფილოს შერეული წვენის მიღებას.

**კომბოსტო** – საკმაოდ ძნელად მოსანელებელი პროდუქტია, რადგან იგი ბოსტნეულთა შორის თითქმის ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ცელულოზას. ამიტომ მისი მიღება კუჭის ქრონიკული დაავადებებისას რეკომენდებული არ არის, სხვა დანარჩენ შემთხვევაში, როგორც ჩაშუშული, ისე ცოცხალი კომბოსტოს სალათები აძლიერებს ნაწლავის პერისტალტიკას და აუმჯობესებს საკვების მონელების ხარისხს.

### ხილი

ხილი, ისევე როგორც ბოსტნეული, მდიდარია წყლითა და ცელულოზით. მათში ძირითადად ფრუქტოზა და გლუკოზა.

ხილს გემოს აძლევს მჟავები, არომატული ნივთიერებები და ვიტამინები. მინერალური ნივთიერებებიდან ხილი მდიდარია კალიუმითა და რკინით.

**ვაშლი** – რეკომენდებულია შეკრულობის დროს.

**ფორთოხალი და ლიმონი** – სისუსტისა და იმ ვიტამინების შესავსებად გამოდგება, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობს საკვების მონელებისას და ზოგიერთი საკვები ნივთიერების შეწოვისას.

**შავი ქლიავი** – მის როლს ნაწლავების პერისტალტიკის გაძლიერებაში მთელი მსოფლიო აღიარებს. იგი ყაბზობის სამკურნალო კვებისას შეუცვლელი კომპონენტია, როგორც ცოცხალი, ისე გამომშრალი სახით.

**მოცვი** – კენკროვნებიდან ტანინების უხვად შემცველობის გამო აქტიურად გამოიყენება დიარეის საწინააღმდეგოდ.

**ბროწეული** – ფაღარათის აღსაკვეთად საიმედო დამხმარეა ბროწეულის ახალგამოწურული წვენი და მისი ქერქის ნახარში.

### სამკურნალო მცენარეები

საკვების მონელების პროცესის სხვადასხვა რგოლის მოშლისას, ადამიანებს, განსაკუთრებით კუჭისა და ნაწლავების დაავადებებისას, პირის ღრუდან უსიამოვნო სუნი აღენიშნებათ, მათ შორის მათთაც, ვინც სწორად და განუხრელად იცავს პირის ღრუს ჰიგიენასა და კბილების მოვლის წესებს.

ასეთებს შეუცვლელ დახმარებას უწევს პირშუშხას ფესვები.

50-70 გრამი პირშუშხას ფესვები უნდა გაასუფთავეთ და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, ჩადეთ მინის ჭურჭელში, დაასხით 200 მლ არაყი და გააჩერეთ 3 დღე-ღამე. მზა ნაყენი გაწურეთ. მისი 3-5 წვეთი გააზავეთ 250 მლ ანადუღარ თბილ წყალში და გამოივლეთ ყოველდღე.

სამკურნალო მცენარეთაგან, რომლებიც საჭმლის მონელებას აუმჯობესებს, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გვირილა, სვია, ბარამბო, პიტნა და ძირტკბილა.

ბარამბოს და გვირილას გამოყენება შეგიძლიათ შეუზღუდავად – რეგულარულად მიიღეთ ამ მცენარეებისგან დამზადებული ჩაი. რაც შეეხება სვიას, მას მკაფიოდ გამოხატული სედატიური (საძილე) თვისება აქვს, ამიტომ მისი ჩაი უმჯობესია, საღამოს, ძილის წინ მიირთვათ, ამით ნერვულ სისტემასაც დაამშვიდებთ და კუჭსაც ასიამოვნებთ.

ძირტკბილას უნდა ერიდონ არტერიული წნევის მომატებისას, პიტნა კი დაბალი წნევის მქონეთათვის არ არის რეკომენდებული.

მოამზადა ზვიად ლონდაძემ

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ruseTs mxolod erTi gmiri SeiZleba hyavdes



**რუსეთსა და საქართველოს შორის „ხუთდღიანი ომის“ შემდეგ უკვე 4 წელი გავიდა. რუსეთის ხელისუფლებაში სწორედ ახლა დაიწყეს კამათი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის დაფნის გვირგვინი სამხედრო წარმატებებისთვის — მაშინდელ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს თუ „ერის ლიდერ“ ვლადიმერ პუტინს, წერს Der Standard**.

ფორმალურად, რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი მედვედევი იყო, გვახსენებს გამოცემა. თუმცა ახლა უმაღლესი გენერალიტეტი, მათ შორის გენშტაბის მეთაური იური ბალუევსკი მედვედევს ყოყმანში სდებს ბრალს — ვიდრე პეკინის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიაზე მყოფმა პუტინმა მედვედევს „პანღური“ არ უთავაზა, იგი უმოქმედოდ იყოო. ამის შესახებ ლაპარაკია რუსულ-ქართული ომის მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილ და ინტერნეტით გავრცელებულ ახალ ფილმში — „დაკარგული დღე“. ფილმის ავტორების აზრით, რუსეთის მაშინდელი მთავარსარდლის „სიმხდალეს“ უამრავი სამოქალაქო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გამოცემის ცნობით, ამ ფილმმა სკანდალი გამოიწვია არა მარტო რუსეთში, არამედ საქართველოში, რადგან გაცხადდა საინტერესო ფაქტი — სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში რუსეთს კარგა ხნის წინ შემუშავებული გეგმა ჰქონია.

მედვედევი უარყოფს ბრალდებას და აცხადებს, რომ სამხედრო მოქმედებების შესახებ ბრძანება პუტინის მითითების გარეშე გასცა და პუტინს მხოლოდ ამის შემდეგ დაუკავშირდა. თავის მხრივ, პუტინი ამტკიცებს, რომ მედვედევს ორჯერ ელაპარაკა, პირველად — ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდა. გამოცემის აზრით, ამ დეტალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ისტორიაში „ომის გმირად“ დამკვიდრება მხოლოდ ერთს შეუძლია; ახლა, ყველა მონაცემით, „გმირი“ გახდება პუტინი. და ისიც აშკარაა, რომ ტანდემის პერიოდმა უკვე ჩაიარა.

**Der Standard**

# putinis aRiareba



რუსეთის პრეზიდენტი ადასტურებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია გენერალურმა შტაბმა მისი ბრძანებით დაგეგმა და მოამზადა, წერს **Le Figaro**. „საიდუმლო არ არის, რომ არსებობდა გეგმა და სწორედ იმ გეგმის შესაბამისად ვმოქმედებდით. გენშტაბმა ეს გეგმა 2006 წლის ბოლს, 2007 წლის დასაწყისში შეიმუშავა და შემითანხმა“, — განაცხადა პუტინმა. მან აგრეთვე აღიარა, რომ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები ორი წლის განმავლობაში ამზადებდნენ, წვრთნიდნენ ადგილობრივ მოხალისე მეომრებს, რითაც ირღვეოდა საერთაშორისო სამართლის ნორმები. „ამ გეგმის ფარგლებში ვამზადებდით სამხრეთოსეთელ მოლაშქრეებს“, — აღნიშნა პუტინმა.

თუკი გენშტაბი სამხრეთ ოსეთის სახალხო მოლაშქრეებს წვრთნიდა და სამხედრო აგრესიას გეგმავდა, მაშინ ეჭვქვეშ დგება კონფლიქტის დაწყების ოფიციალური ვერსია, რომელსაც ადრე მოსკოვი აცხადებდა, აღნიშნავს გამოცემის მიმომხილველი. თბილისი ერთსა და იმავეს იმეორებს — 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შეჭრა იყო წინასწარ დაგეგმილი აგრესიის აქტი სუვერენული ერის წინააღმდეგ, ხოლო საქართველოს შეიარაღებული ძალები მხოლოდ იმიტომ გადავიდნენ შეტევაზე, რომ რუსეთის არმია საზღვრის გადაკვეთას აპირებდა. საქართველოს ხელისუფალთა აზრით, რუსეთმა ომით უპასუხა იმ ქართული რეფორმების პირველ წარმატებას, რომლებიც რუსულ მოდელს საფრთხეს უქმნიდა.

პუტინმა აღიარა თბილისის წინააღმდეგ ომის დაგეგმილი ხასიათი და ამით ცხვირი აუბზუა დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებსაც უკვე მერამდენე თვეა, სირიის პრობლემის გამო კუნთებს უჩვენებს, აღნიშნავს ავტორი. მსგავსი რიტორიკა კი, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, კარგს არაფერს მოასწავებს.

**Le Figaro**

# mmarTvel partias `arCevnebis moparvis~ ufleba ar unda mieces

## საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოს სამართლიანი „თამაშის წესები“ სჭირდება



„რისკი იმისა, რომ საქართველო ზურგს შეაქცევს დემოკრატიის ნორმებს, სავსებით რეალურია: „სააკაშვილი აპირებს მოიქცეს „პუტინის მსგავსად“ და ხელისუფლებაში დაბრუნდეს უკანა კარიდან“, — ამტკიცებს **Financial Times**-ისთვის გაგზავნილ წერილში თედო ჯაფარიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ამჟამად კი ოპოზიციონერი — კოალიცია „ქართული ოცნების“ საგარეო საქმეთა მდივანი.

ოპოზიციაში გადასვლას თედო ჯაფარიძე ორი მიზეზით ხსნის: 1. „კატასტროფული ომი რუსეთთან“, 2. ხელისუფლების უუნარობა, მოაგვაროს რიგითი მოქალაქეების პრობლემები და ავტორიტარიზმისკენ გადახრა“.

„ქართული ოცნება“, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ეკონომიკის აღორძინებაზე, ჯანდაცვის ადეკვატური სისტემის შექმნასა და სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებაზე, წერს ავტორი.

სააკაშვილი შეშფოთებული „ქართული ოცნების“ რეიტინგით და ოპონენტთა დაშინებას აძლიერებს. ავტორის აზრით, მომავალი საპარლამენტო არჩევნების შედეგებს „ამჟამად უკვე იპარავენ“.

თედო ჯაფარიძე მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს, არ შეასუსტოს თბილისზე ზემოქმედება, რათა 1-ლი ოქტომბრის არჩევნებამდე სამართლიანი პირობები შეიქმნას. „თუკი დასავლეთს საკუთარი რენომეს შენარჩუნება სურს, გულხელდაკრეფილი არ უნდა იჯდეს და მმართველ პარტიას „არჩევნების მოპარვის“ უფლება არ უნდა მისცეს“, — დაასკვნის ოპოზიციონერი.

**Financial Times**

# israeli temps umatebs: ramdenime kviraSi irans Seuteven

**ირანის ბირთვული ობიექტების დაბომბვა შესაძლებელი იქნება ოქტომბრის დასაწყისში, წერს გაზეთ Corriere della Sera-ს მიმომხილველი.**

„რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა მშვიდობიანი დებატი ირანზე შეტევის შესახებ, ახლა კი ირკვევა, რომ შესაძლო დარტყმამდე რამდენიმე კვირაა დარჩენილი. ასეთი აჩქარება შემთხვევითი არ არის. არსებობს ამერიკის სააგენტო **Nie**-ს (**National Intelligence Estimate**) მოხსენება, რომელშიც ასეთი გაფრთხილებაა: ივნისიდან დღემდე, ირანის ბირთვული მარაგი გაიზარდა. ცნობილია თარიღიც: 1-ლი ოქტომბერი, როცა ისრაელის წყაროების ცნობით, თეირანის ხელში 20 პროცენტით გამდიდრებული 250 კილოგრამი ურანი აღმოჩნდება. ეს რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ 2-4 სუპერბომბი შეიქმნას, **Shahab**-3-ის ტიპის ახალ რაკეტებზე დამაგრდეს და 1300 კილომეტრზე გაუშვა: იგი მიაღწევს ისრაელის უდაბნო ნეგევსა და დიმონეში არსებულ ბირთვულ ცენტრამდე, სადაც ებრაული სახელმწიფო თავის საიდუმლო ბირთვულ იარაღს აწარმოებდა“, — წერს გამოცემა.



„დავიჯეროთ თუ არა ეს? გენშტაბის მეთაური „ყველა ფრონტზე“ მზადყოფნის ბრძანებას იძლევა. მიმდინარეობს საგანგაშო ვითარების შესატყობინებელი სისტემის რეკლამა — ისრაელის მოსახლეობა, თავდასხმის შემთხვევაში, **sms**-ს ოთხ ენაზე მიიღებს. საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებით, ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 35 პროცენტს სურს, მოულოდნელად დაარტყან ირანს და არ დაელოდონ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას. ექს-პრემიერი ეჰუდ ოლმერტი კი სიფრთხილეს იჩენს: მისი აზრით, დრო ჯერ კიდევ არის, საერთაშორისო სანქციებიც მოქმედებს: რამდენიმე თვის შემდეგ ირანის ეკონომიკა ისედაც დაიქცევა“, — აღნიშნავს წერილის ავტორი.

**Corriere della Sera**

**მიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

# sainteresoa, prezidentma saakaSvilma Tu icis, ramdeni Jurnalisti hyavs cixeSi gamoketili?

ფაშისტურმა მოწოდებამ –„ყველანი ციხეში“ და „ნულოვანი ტოლერანტობა“ დამაგრეველი შედეგები მოუტანა ქვეყანას, რადგან სახელმწიფოს ამ პოლიტიკას ბოროტება, საკუთარი ხალხის მიმართ სიძულვილი და ძალმომრეობა უდევს საფუძვლად.

სამართალი ჩვენს ქვეყანაში შერჩევითია, იმიტომ დაუსხლტდნენ „ძლიერნი ამა სოფლისანი“ ციხეს. ჩემი კოლეგა – ჟურნალისტი მაკა მოსიაშვილი, სამი მცირეწლოვანი შვილის დედა (მესამე ბავშვი თვეების მოგლიჯეს მკერდიდან) იმიტომ გამოამწყვდიეს ციხეში, რომ ონკოლოგიური დაავადების მქონე შვილისთვის ოპერაციის ფულის საშოვნელად კანონი დაარღვია. ხომ შეიძლებოდა მისთვის თავისუფლება არ აღეკვეთათ არ დაეჯარიმებინათ და წლობით შვილებისაგან არ მოეშორებინათ. ამას წინათ იგი „ჯოჯოხეთიდან“, დამიკავშირდა ტელეფონით და გამწარებულმა შემომჩივლა: სტიქიას თელავში ჩემი საცხოვრებელი სახლისთვის სულ აუხდია სახურავი და შვილებს და დედას თავზე აწვიმთო. როდესაც მოხუც დედას დახმარებისათვის თელავის ადგილობრივი გამგეობისათვის მიუმართავს, ქალისთვის უთქვამთ: –„ქალიშვილი ციხიდან რომ გამოვა, ის გადაგიხურავთო“. აი, ნაციონალური ცინიზმი და „ნულოვანი ტოლერანტობის“ შედეგი.

საინტერესოა, ბატონმა პრეზიდენტმა თუ იცის, ან თუ ჰკითხა ვინმეს რამდენი ჟურნალისტი ჰყავს ციხეში ტყვედ აყვანილი? მაგრამ ვიცი, ეს კითხვა მას არ გაუჩნდება. მთელი ქართული მედია მის ტყვეობაშია. მის ბორკილებს მართლაც ბევრი გაყიდული ჟურნალისტი დაათრევს და მანამდე მოუწევს თრევა, სანამ ამ ქვეყანაში ერთი ნაციონალიც კი შემორჩება, მაგრამ პრეზიდენტმა ისიც უნდა იცოდეს, რომ მეოთხე ხელისუფლება თითქმის გამოდის ტუსაღობიდან, ბევრი კიდევ რჩება და აგრძელებს კონტროლს. ნეტა, რა მიიღო ჩვენი დაჭერით, რომ იცოდეს, რა კარგად ჩანს ციხიდან მის მიერ დაქცეული საქართველო, ვიდრე „რუსთავი-2“-ის და „იმედის“ არხიდან. რას ფიქრობდნენ მისი უსამართლო სამართლის დამცველები, როცა ყოფილი ტელე-ჟურნალისტი ლალი გოცაძე დააპატიმრეს და ორი შვილის დედას ციხეში უკრეს თავი: „ეჭვმიტანილი ხარ ფულის გათეთრებაშიო“ უფლებაწართმეულ ჟურნალისტს უთქვამს, არ ვიცი, ფული როგორ თეთრდებაო, მაშინ გამომძიებელს უპასუხია: –„შენ მაგას სანამ გაიგებ, მანამდე ახლა რასაც გიკარნახებ, ის დაწერე, თორემ ციხეში დიდხანს მოგიწევს ყურყუტიო, ფულის გათეთრება ვერ გიმტკიცდება, მაგრამ საბუთის გაყალბებას დაგიმტკიცებთო“... ჩემმა მეგობარმა ჟურნალისტმა მთელი „სროკი“ ტელეფონის აპარატთან გაატარა, მისი მცირეწლოვანი ბიჭუნა კი დღემდე ოცნებობს: რომ გაიზრდება, რეჟისორი გახდეს და გადაიღოს ფილმი იმის შესახებ, შვილს დედას რომ უჭერენ, შვილი რა განცდებშია... პედაგოგ ქალს – ია მასხარაშვილს, როცა პაემნების ოთახში 12 წლის გოგონამ მოაკითხა, ბავშვმა დედას უთხრა: „დედა, სულ ვფიქრობ, დანაშაული ჩავიდინო, მაღაზიის ვიტრინები ჩავამტვრიო, რომ დამიჭირონ, მერე მაინც ხომ შენთან ვიქნები, მაგრამ გავიგე 12 წლის ბავშვებს, თურმე არ იჭერენ და გადავიფიქრეო“. ქუთაისში მცხოვრებ, ერთ დროს დიდი თანამდებობის პირს როცა მეუღლე დაუპატიმრეს, კაცი ისეთ მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა თურმე, რომ ციხის კედლებს არ შორდებოდა, დღე და ღამე იქ იყო. ციხის ადმინისტრაციიდან მას თურმე უთხრეს: წადი სახლში, ჯერ თქვენს მეუღლეს ციხიდან არავინ გამოუშვებსო. მოსიყვარულე ქმარი კი წასულია სახლში, მაგრამ ღამე სიგარეტის ნამწვისგან სახლს ხანძარი გასჩენია და კაცი საკუთარ სახლში დამწვარა... ეს ფაქტიც ხომ ნულოვანი ტოლერანტობის შედეგია.

ამას წინათ, ვერაზე ერთი ციხიდან ახალგამოსული ახალგაზრდა ქალი, ქეთი შემხვდა. ასეთი დაღონებული ციხეშიც არ მინახავს. ერთმანეთი მოვიკითხეთ, მან 6 წელიწადი გაატარა ციხეში და ეს სიმპათიური ქალი თავსაფრისა და ლოცვანის წიგნის გარეშე არასდროს მინახავს. ხან ციხის ერთ კედელთან იდგა და შვილებზე ლოცულობდა და ხან სამლოცველოში მთელი საათობით ჩამუხლული ცრემლით ლოცულობდა. მთელი ეს წლები სინანულში გაატარა, მან თავი დამამახსოვრა საუკეთესო თვისებებით. სასჯელს ნარკოტიკების შეტანისთვის იხდიდა. ორი შვილის დედა ოჯახის ახლობელმა დაღუპა. მისთვის ამანათის შეტანა უთხოვია და ამანათში ნარკოტიკი აღმოჩნდა. ასე გახდა დამნაშავე... ქეთიმ ციხეს თავი დააღწია, მაგრამ დიდი განსაცდელი თურმე წინ ელოდა, რადგან პატიმრობიდან გათავისუფლებული დედა საკუთარმა შვილებმა ოჯახში არ მიიღეს, ცხვირწინ კარები მიუხურეს. უფროს ქალიშვილს, რომელიც 24 წლისაა, დედისთვის უთქვმს: „ჩვენ ეს წლები დამოუკიდებლად ცხოვრებას მივეჩვიეთ და აწი არ გვჭირდებიო...“ ამ ამბის მოსმენის შემდეგ ადგილზე გავშეშდი, ქეთი ვერაფრით ვანუგეშე. იმ წუთში მიხეილ ჯავახიშვილის „ორი განაჩენი“ გამახსენდა, სადაც ციხიდან გამოსულ ადამიანს სწორედ ისე უხურავენ კარებს ოჯახის წევრები, როგორც ქეთის, ვთხოვე, ეს პატარა მოთხრობა გადაეკითხა. შევეცადე, მას სხვა თვალით შეეხედა ამ მართლაცდა სულისშემძვრელი ფაქტისთვის, მას ამის უნარიც აქვს და ძალაც შეწევს, მაგრამ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე მკაცრი, შვილების მიერ გამოტანილი განაჩენი აღმოჩნდა, ვკითხე მოძღვარი თუ დადიოდა შვილებთან. იყო არქიმანდრიტი მარკოზი და გოგონებს უთხრა: „თქვენ დედას კი არა, ღმერთს ჰკრავთ ხელსო... მართლმადიდებელ ადამიანს უნდა შეეძლოს პატიება და არა განკითხვაო, ჯერჯერობით სულიერმა მამამ მათ ვერაფერი შეასმინაო, – მითხრა ქეთიმ.



მას შემდეგ, რაც ქეთი შემხვდა, სულ ვფიქრობ, სანამდე მიდის ადამიანის ბედი, როცა „სამართალი სულით ხორცამდე მახინჯია“. ფსიქოლოგებმა უნდა იმუშაონ ასეთ ახალგაზრდებთან, უნდა შეძლონ დედა-შვილს შორის იდუმალების ფარდის ახდა. ვინ გადააწყვეტინა შვილებს დედისგან წასვლა, რა ძალამ უბიძგა მათ...

დღევანდელ ქალთა ციხეში დედებს არა აქვთ უფლება, ხელით შეეხონ, მოეფერონ საკუთარ შვილებს, რადგან პაემნების ოთახში მინის კედელია „ბერლინის კედლად“ აღმართული დედა-შვილს შორის, იქნებ გვითხრან, ვინ როდის, ან რომელი კანონით „აკრძალა“ დედაშვილობა???

**ნანა სულავა**

## თავსატეხი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნ | | | | | | | | | | | | | | |
| ა | | | | | | თ | | | | | | | | |
| ბ | | | | | | ა | | | | შ | ა | რ | ჟ | ი |
| ლ | | | | | | გ | | | | | | | | |
| ა | | | | | | ვ | | | | | | | | |
| | | | | | | ი | | | | | | | | |
| | | | | ე | | | | | | | | | | ი |
| | | | | ვ | | | | ხ | | | | | | ს |
| | | | | ი | | | | ა | | | | | | ე |
| | | | | ტ | | | | რ | | | | | | თ |
| | | | | ა | | | | ჭ | | | | | | ი |
| | | | | | | | | ი | | | | | | |
| ქ | | | | | | | | | | ძ | | | | |
| ა | | | | | | | | | | ა | | | | |
| ც | | | | | | | | | | ლ | | | | |
| ვ | | | | | | | | | | უ | | | | |
| ი | | | | | | | | | | ა | | | | |

**შვეულად:** ალისა, აჯანი, დერბი, ვარდი, იმაგო, კატია, ლარსი, მესია, ნისლი, ოფისი, რქენა, უნარი, ჩვევა, შოშია.

**თარაზულად:** აგუტი, ათენი, არენა, აჟირო, ბუჩქი, გოლფი, დრაჟე, ვაიმე, იორლა, ოურტი, კლანი, ლაიკა, მაზრა, სარჩი, ტენგე, ფითრი, ქვიშა, ლინტუ, ყალია, შხუნა, ცანგა, ძუალი, წენგო, ჯავრი.

## სამიდან ერთი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 2 | | 3 | | 4 | | 5 | | 6 | |
| 7 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 8 | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 10 | | | | | | | |
| 11 | | 12 | | 13 | | | | | | | | |
| | | | | | | | | 14 | | 15 | | 16 |
| 17 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 18 | | | | | | |
| 19 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 20 | | | | | | |

**შვეულად:** 1. სენატი, სუნამო, საგანი. 2. ფულური, ჩეხოვი, მიზანა. 3. გიბონი, დუმილი, ზუმერი. 4. ფერარი, დეგოლი, ზალიკო. 5. დოგმატი, ბანცალი, სანთელი. 6. ბორკილი, ლენოქსი, ყუმბარა. 11. კამათი, ჩიჩინი, ფასადი. 12. დუქანი, ლიკანი, ჩოხელი. 13. დურაკა, დოკერი, დაცუნი. 14. სანიო, მანია, ძიძია. 15. რაინი, ზეობა, შპალი. 16. ოფოფი, ულაყი, ამაყი.

**თარაზულად:** 3. მარაკანა, გაზრდილი, დედალოსი. 7. კამორა, ბეგარა, დუმილი. 8. ქარავანი ბალავანი, ფელეტონი. 9. მულატი, სალარო, წოდება. 10. ნოდია, ნათია, ნოკია. 11. ფოლადი, ბეჩუნი, სირენა. 14. კოლია, ტეპში, სირია. 17. საკაცე, მონეტა, კაზეთი. 18. კარდალა, ჭინჭილა, გარმონი. 19. გუმანი, ჯაზუნი, დენიში. 20. პროთეზი, პლაკატი, პროფილი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 25 | | 13 | 9 | 1 | 9 | 20 | 5 | |
| 24 | 6 | 22 | 19 | 4 | 5 | | 19 | | 5 | | 31 |
| | 2 | | 14 | | 21 | 19 | 10 | 16 | 26 | 4 | 5 |
| 23 | 5 | 11 | 9 | 12 | 5 | | 7 | | 15 | | 29 |
| | 3 | | 18 | | 22 | | 5 | 1 | 5 | 3 | 26 |
| 32 | 9 | 8 | 5 | 4 | 5 | | | 19 | | | 12 |
| 19 | | 9 | | 26 | | 28 | 5 | 22 | 9 | 4 | 5 |
| 15 | 9 | 22 | 9 | 17 | 9 | | | 2 | | 19 | |
| 5 | | 5 | | 19 | | | 30 | 5 | 8 | 22 | 5 |
| 4 | 9 | 18 | 5 | 12 | 9 | 17 | 5 | | | 2 | |
| 5 | | 9 | | 5 | | | 18 | 9 | 4 | 5 | 9 |
| | 7 | | 32 | | 3 | | 19 | | 9 | | 27 |
| 21 | 19 | 33 | 5 | 2 | 5 | | 22 | 5 | 12 | 14 | 9 |
| | 2 | | 12 | | 15 | | 5 | | 1 | | 4 |
| 15 | 9 | 16 | 9 | 4 | 19 | 9 | | 14 | 26 | 22 | 9 |

| | |
|---|---|
| ა-9 | ს-2 |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ- |
| დ- | ფ- |
| ე- | ქ-10 |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ-5 | შ- |
| ი- | ჩ-1 |
| კ-3 | ც- |
| ლ-22 | ძ- |
| მ- | წ- |
| ნ- | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ- | ჰ- |
| რ-4 | |

ჯემალ დავლიანიძე

# mwa r e gakveTi l ebi

## evroamerika, ruseTi da saqarTve l o

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

### ვინ დააბრალა ზვიად გამსახურდიას ტერორისტობა?

იცოდა თუ არა ზვიად გამსახურდიამ, რომ მაშინდელი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან, ბორის ელცინთან, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, გამალებული და ხელებდაკაპიწებული მუშაობდა ედუარდ შევარდნაძე? და, რომ მამა ჯორჯ ბუშსაც მანვე ჩააგონა — ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს და ეს ამბავი სახალხოდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად უნდა ითქვასო?

რა თქმა უნდა, ზვიადმა იცოდა ყოველივე, მაგრამ მაინც, კიდევ ერთხელ და ალბათ საბოლოოდ, შეეცადა მიემართა ბორის ელცინისათვის, რომ ხუნტამ შეტევა სპეციალურად დაიწყო 1991 წლის 22 დეკემბერს, რათა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ალმა-ათაში არ ჩასულიყო და დსთ-ში შესვლის თაობაზე განცხადება არ გაეკეთებინა!

შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული კრიმინალურ-სამხედრო გადატრიალება, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მოწყობილ, მსოფლიო დემონური ძალების მიერ ჩაფიქრებული შეთქმულების განხორციელებას წარმოადგენდა!

სულ სხვა საქმეა იმის გარჩევა თუ გარკვევა, - ვინ რა მოიგო საქართველოს თავზე დამტყდარი უბედურებით!

ერთი რამ კი აშკარაა: წააგო ქართველმა ხალხმა.

და კიდევ: ძალიან დიდი დარტყმა მიაყენეს ქართველი და რუსი ხალხების ურთიერთობას.

დღევანდელი გადასახედიდან კი, იმის თქმაცაა შესაძლებელი, რომ არც ამჟამინდელი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას აძლევდა ხელს მაშინდელი შეცდომების ექო, - დღევანდელი ვითარება სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ — საქართველოში!

რატომ?

იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში, მოგებული დარჩა ევროამერიკული სახლი, რომელმაც მტკიცედ შემოაბიჯა და დამკვიდრდა საქართველოში!

ელცინის შემდგომ, რუსეთის ხელისუფლები უკვე ნათლად ჰხედავენ მათ თვალწინ აგორებულ პრობლემას და ვინ იცის, იქნება კიდეც ნანობენ თავიანთი წინამორბედების მიერ ხელნაკრავ ზვიად გამსახურდიას, რომელიც არც ნატოში აპირებდა გაწევრიანებას, არც მართლმადიდებლობაზე ამბობდა უარს და რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას აპირებდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ შევარდნაძის მეოხებით, ევროამერიკამ დიპლომატიურად გააცურა ელცინის ხელისუფლება და შორეულ პერსპექტივაში მოგებულიც დარჩა.

ამ დროს ედუარდ შევარდნაძე არხეინად იძლეოდა ინტერვიუებს და ქართველობას ამუნათებდა:

„ქართველ შევარდნაძეს არაფერი გაუკეთებია სამშობლოსათვის, როცა საბჭოთა კავშირის სა-

gagrZe l eba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–34



გარეო საქმეთა მინისტრი იყოო. მე კი არ მჭირდება ქართულ გაზეთებში ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ედუარდ შევარდნაძეს ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს, ეს სჭირდება ქართველ ხალხს, რომელსაც არწმუნებენ, შენი შვილი აბრკოლებს საქართველოს დიპლომატიურ ცნობასო. ის მაინც დაიჯერეთ, რომ ჩემს პატივსაცემად, თუ გნებავთ — ქართველი ხალხის საპატივსაცემოდ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში კახური მრავალჟამიერიც შესრულდა“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №16-17, 1992 წლის 31 იანვარი. ინტერვიუ აღებულია 1991 წლის 15 სექტემბერს).

როგორც ხედავთ, 1992 წლის 31 იანვარს დაიბეჭდა 1991 წლის 15 სექტემბერს აღებული ინტერვიუ. ეს უკანასკნელი ის დროა, როცა მთავრობის სახლთან ე.წ. ოპოზიციის ანუ კრიმინალური ხუნტის მიტინგებია და სამზადისია საბოლოო შეტევისათვის, ხოლო 1992 წლის 31 იანვარს, სამხედრო გადატრიალება უკვე მომხდარია და საქართველოში მძვინვარებს საშინელი ტერორი ქართველი ხალხის წინააღმდეგ. აი, სწორედ ამ დროს, ედუარდ შევარდნაძეს, თურმე ევროამერიკის „წამყვანი უნივერსიტეტები საპატიო დოქტორის“ წოდებას ანიჭებენ, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში დღესასწაულია, სუფრაა გაშლილი და შევარდნაძის საპატივსაცემოდ კახურ მრავალჟამიერს მღერიან (გაურკვეველია — თვითონ ამერიკულია ანსამბლი თუ საქართველოდან არიან მივლინებულნი!).

რა შეიძლება თქვას კაცმა, ყოველივე ამის შემხედვარემ?

რა ემღერებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტს, როცა საქართველოში უბედურება ტრიალებდა?

რატომ აჯილდოებდნენ, რა დამსახურების გამო აჯილდოებდნენ ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტები შევარდნაძეს?

პასუხი ერთადერთია: შევარდნაძე მათ მიერ ჩაფიქრებულ რთულ ამოცანას ასრულებდა! იგი ხელმძღვანელობდა 1991-1992 წლების კრიმინალურ-სამხედრო გადატრიალებას საქართველოში!

აბა, ვის შეეძლო ამდენი საშინელება დაეტეხა ქვეყნისათვის თუ არა შევარდნაძეს?

აბა, ვის წამოსცდებოდა ეს სიტყვები, თუ არა შევარდნაძეს:

„როცა ექსპრეზიდენტის (ზვიად გამსახურდია ჰყავს მხედველობაში! — ჯ.დ.) მომხრეებზე ვლაპარაკობთ, მგონია ცოტას ვაჭარბებთ, რადგან, კაცს, რომელიც ცნობილ ტერორისტად არის აღიარებული, არა მგონია მხარდამჭერები ჰყავდეს. ტერორისტები არსად არავის არ უყვარს“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №263, 1992 წლის 29 დეკემბერი).

რა არის შევარდნაძის თავხედობის და სითამამის მიზეზი? ვინ აღიარა ზვიად გამსახურდია „ცნობილ ტერორისტად“?

პასუხი ცალსახაა — მთელმა დასავლეთმა და ამერიკამ. იმ ქვეყნებმა, ვინც შევარდნაძეს საპატიო დოქტორის წოდებას ანიჭებდა და იმათ, ვინც სახელმწიფო დეპარტამენტში მრავალჟამიერს უმღერდა!



### შევარდნაძემ სპეციალურად გაამათხოვრა მოსახლეობა

როცა შევარდნაძეს ევროამერიკა „დიდ პოლიტიკოსს“ უხმობს, როცა აჯილდოებს და როცა სიმღერას უმღერიან, საქართველოში ამგვარი საშინელი სიტუაციაა (გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“, №17, 1997 წ. სტატიის სათაურია: „დღევანდელ საქართველოში მონათმფლობელობაც კი სანატრელია“, ავტორი ჯემალ დავლიანიძე):

„დღევანდელ საქართველოში სამუშაო არ არსებობს.

ვისაც ხელფასი და პენსია გააჩნია — ოდენობა გახლავთ 10 ლარი (დაახლოებით 4 დოლარი!).

შევარდნაძის ცოლი -ნანული შევარდნაძე ტელევიზიით ცინიკურად აცხადებს, რომ „კარგმა დიასახლისმა 10 ლარი ოჯახის გამოსაკვებად უნდა იმყოფინოს!“

მეტროში სამგზავროდ საჭიროა 20 თეთრი. თუ კვირაში მეტროთი იმგზავრებ მხოლოდ ორჯერ — მაშინ სამკაციან ოჯახს თვეში სჭირდება 3 ლარი და 20 თეთრი... ოჯახს სჭირდება პური, რომელიც ჰღირს 45 თეთრი. სამკაციან ოჯახს ყოველ დღე მინიმუმ სჭირდება 2 პური. მაშასადამე, თვეში 27 ლარი. თუ შევარდნაძეს ორი პური დიდ ფუფუნებად მიაჩნია, დავყაბულდეთ, რომ სამკაციან ოჯახს დღეში ორი პურის ნაცვლად ეყოფა 1 პური. მაშინ თვეში საჭიროა 13 ლარი და 50 თეთრი.

ახლა შევკრიბოთ:

მეტროს თვიური საფასურია 3 ლარი და 20 თეთრი.

პურის ფული თვეში 13 ლარი და 50 თეთრი...

ესე იგი, სამ კაცს თვეში სულ 16 ლარი და 70 თეთრი ესაჭიროება, თუ იმყოფინებს დღეში 1 პურს და მეტროთი თუ იმგზავრებს კვირაში ორჯერ.

ამ დროს შევარდნაძის მიერ დანიშნული ხელფასია 10 ლარი.

ეს წყეული, ტელევიზიით, პრესით, რადიოთი აცხადებს, რომ გადაიხადეთ და სინათლე გექნებათო.

სინათლის ფული ხალხს არ გააჩნია.

სკოლებში მოსწავლეებს ფულს აგროვებინებენ მასწავლებლები. ამასთან ერთად, ბავშვმა თან უნდა მიიტანოს ნავთი და შეშა ღუმელისთვის.

ბავშვებს ესაჭიროებათ წინდა, ფეხსაცმელი, ტანისამოსი, ჩანთა, სასკოლო წიგნები, სახატავი, საწერი რვეულები.

ოჯახში საჭიროა საპონი, სარეცხის ფხვნილი... პურის გარდა, აუცილებელია სხვა სახის საკვები პროდუქტები: შაქარი, ბურღული, ბრინჯი, ლობიო, კარტოფილი. აღარაფერს ვამბობთ რძის პროდუქტებზე, ხორცზე...

ეს, რაც ბავშვს უნდა გააჩნდეს.

რა ჰქნას მოზრდილმა?

რა ჰქნას მშობელმა?

ვთქვათ, მშობლები შიშველტიტველნი არიან!

ვთქვათ, ძველი ტომრის ნაფლეთებით შეიმოსნენ!

სჭირდებათ თუ არა მათ საჭმელი?

ვთქვათ, მშობლები არ ჩადიან მეტროში და ეკონომიის მიზნით, მხოლოდ ფეხით დადიან!

ფეხსაცმელი ზამთარში, სიცივისას ხომ მაინც არის აუცილებელი?

შემდგომ: წყლის გადასახადი!

სინათლის ფული!

ნაგვის ფული!

გაზის ფული!

ტკბილეულზე და სხვადასხვა შოკოლად-ნუგბარზე არაფერს ვამბობთ!

თუ ადამიანი ავად გახდა?

რა ღირს წამალი?

თუ მშობელს ოპერაცია დასჭირდა?

გასაყიდი თუ აღარაფერია?

თუ ადამიანი გარდაიცვალა?

რა ღირს კუბო?

რა ღირს ღვინო?

რა ღირს სასაფლაოზე ქართული მიწა დასამარხად, სამარისათვის?

ქელეხებს აღარ იხდიან!

აღარც ორმოცს იხდიან!

არც წლისთავია ანგარიშში მისაღები!

ზამთარში, როცა გაზი ქრონიკულად არაა, შეშა ხომ არის საჭირო?

რაც ვერ ჩამოვთვალეთ?

10 ლარი გინდ გქონია, გინდ — არა!

და, ამ ქვეყნის ე.წ. მეთაური შევარდნაძე, რომ გამოდის და ტრაბახობს მსოფლიოს გასაგონად: ქვეყანა ფეხზე დგება, უკვე წელში გავიმართეთო, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს?

თვით მონათმფლობელობის დროს არ ყოფილა ამგვარი გაჭირვება არც ერთ ქვეყანაში, რაც დღეს საქართველოშია.

არსად არ გაგონილა ამგვარი ცინიზმი ხელისუფლების მხრიდან, რაც დღეს საქართველოშია!“

იქნებ ვინმემ უკვე გაიფიქრა — ამ შევარდნაძეს რას ჩააცივდა, გავიგეთ რა მონსტრიც ყოფილაო.

ვერ დაგეთანხმებით, ჩემო მკითხველებო!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი







## თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აოთბა, ბუღალტ, გიგზი, დიონი, ეელტა, ზოზია, იალტა, ივეტა, ოსმა, ნიჟე, ტოკეა, რაცია, სოფია, ქიმია, შპაგა, წიქვა, ხალხი.

ვერტიკალურად: ავგა, აკუნი, არმია, ისკრა, დოგმა, ვიჩერი, ისაკა, კობრა, ლიალა, მილუნ, ოთიკო, ოპოზა, რეუმი, სანტა, ტოლმა, ყაიმი, შალვა, ჩელტი, ძველი, წვერი, ჯვარი.

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. კედარი, ბილეთი, მარიკა. 2. პეტეფი, მარიკი, შუღეური. 3. მეტობა, პათობა, მორიგე. 4. ლომბარდი, ნატალია, კორდობა. 5. ცელქი, ზებრა, ქურო. 6. ნაცლი, მოჯნა, ჯანყი. 11. პლანეტა, შტოპორი, მზეჭაბა. 12. სენაკი, ბანოვა, კოსოვო. 13. ლოტობა, თაბაბა, ტატაბა. 14. ბერეტი, სუნელი, ყაყაჩო. 15. პეპელა, ბუკატი, მისაკი. 17. ნედლი, მუშტი, ბურღი.

ჰორიზონტალურად: 3. კაკლობა, მანქანა, სახარული. 7. ბილიკი, საკეტი, მუყაობა. 8. ბაბარიკა, კალორიათი, ტატიკაკა. 9. ბოლოსა, სელობა, ჯულაბია. 10. სარეველა, სალიამი, ყურძნეტი. 12. ფაფარი, ჭალობა, კილოსა. 16. ბორჯომი, სუფლეური, მანკეტი. 18. პაკეტი, სოფლი, ჭიქაოთი. 19. სანტარი, ჯანსუღი, ბაღირაკა. 20. ტალონი, წიწილა, ჯანლი. 21. კალმახი, კიბიანი, კორკოტი.

## შიფრვორდი

| | |
|---|---|
| ა-4 | ს-3 |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ-28 |
| დ- | ფ- |
| ე-1 | ქ- |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ- | შ- |
| ი-8 | ჩ- |
| კ- | ც-32 |
| ლ-15 | ძ- |
| მ- | წ- |
| ნ- | ჭ- |
| ო-6 | ხ-24 |
| პ | ჯ |
| ჟ- | ჰ- |
| რ- | |

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— როგორია ქურდობის II ნაწილის სანქცია?**

— თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

* * *

**— რა იგულისხმება გამოძალვაში (მუხლი 181)?**

— გამოძალვა არის სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების, ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელიმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები.

* * *

**— როდის გაუქარწყლდება ნასამართლობა პირობით მსჯავრდებულს?**

— პირობით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლდება გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ.

* * *

**— ვინ აცხადებს ამნისტიას და რა შეიძლება განხორციელდეს ამნისტიის აქტით?**

— ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება განთავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

**— რა ვადებში გაქარწყლდება არასრულწლოვანის ნასამართლეობა?**

ა) პირობით მსჯავრდებისას — გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან ექვსი თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის ერთი წლის შემდეგ.

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

* * *

**— რა იგულისხმება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში? როგორ დგინდება დაზიანების ხარისხი?**

— დაზიანების ხარისხს ადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა?

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება არის სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის დამმახინჯებელი ანდა ჯანმრთელობის ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუუნარობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან, ან პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

* * *

**— გადავაცილე სამკვიდროს მიღების 6-თვიან ვადას. შეიძლება თუ არა ამ ვადის გაგრძელება?**

— როგორც წესი, პირის გარდაცვალების მომენტიდან, 6 თვის განმავლობაში უნდა შეიტანოთ განცხადება ნოტარიუსთან სამკვიდროს მიღების შესახებ. მაგრამ თუ ვადის გადაცილება მოხდა საპატიო მიზეზით, იგი შეიძლება სასამართლომ აღადგინოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ყველა მემკვიდრე თანახმაა, ვადის აღდგენა სასამართლოსადმი მიმართვის გარეშეც შეიძლება.



* * *

**— გარდაიცვალა მამაჩემი. მსურს უარი ვთქვა ჩემს სამკვიდრო წილზე ერთ-ერთი ძმის სასარგებლოდ. როგორ მოხდება ეს?**

— უპირველეს ყოვლისა, სამკვიდროს მიღებაზე უარი უნდა გაფორმდეს ნოტარიუსთან მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტიდან 6 თვის განმავლობაში.

კანონი იძლევა იმის საშუალებას, რომ სამკვიდროს მიღებაზე უარი თქვათ რომელიმე სამკვიდროს ან მამკვიდრებლის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში, თქვენი კუთვნილი წილი ერგება სწორედ იმ მემკვიდრეს, რომლის სასარგებლოდაც განაცხადეთ უარი სამკვიდროს მიღებაზე. თუმცა თქვენს მიერ დასახელებული პირი აუცილებლად უნდა იყოს კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან და არ უნდა იყოს უღირს მემკვიდრედ ცნობილი ან ანდერძით არ უნდა ჰქონდეთ მემკვიდრეობის უფლება წართმეული.

* * *

**— რა შემთხვევაში ინიშნება სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთა?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

* * *

**— მეკუთვნის თუ არა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო? რომელი კანონის მიხედვით?**

— გეკუთვნით.

თუ თქვენ იშვილეთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, მოგეცემათ შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო. მისი ხანგრძლივობაა ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გაეცნოთ 2006 წლის 25 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №231-ნ ბრძანებას —„ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესი“.

* * *

**— ვიყავი საჯარო მოხელე. რა ვადაში შემიძლია გავასაჩივრო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შესახებ? რის მოთხოვნის უფლება მაქვს?**

— საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში თქვენ უფლება გაქვთ, მოითხოვოთ გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

თქვენ უფლება გაქვთ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში გაასაჩივროთ სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე, მოქმედება. ბრძანება, განკარგულება შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ საკითხს, როგორიცაა: გათავისუფლება, გადაყვანა სხვა თანამდებობაზე, შრომითი პირობების დარღვევა და ა.შ.

თუ თქვენი გათავისუფლების დროს დარღვეულია გათავისუფლების წესი, აღნიშნული, სასამართლო წესით თქვენი სამსახურში აღდგენის საფუძველს წარმოადგენს.

სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში თქვენ დაექვემდებარებით დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ თქვენ უარს არ განაცხადებთ აღდგენაზე.




# xalxis azriT

ვაიმე )))))))))) ხალხი არა ხართ?

მე მაინც დამაბით, იმას თუ ვერ აბამთ...

ვატყობ, მიშა დამემართა ))))

ეუფ, რა კარგი ყოფილა სიგიჟე ))))))

ეხლა გავცემ ბრძანებებს, ჩავხეთქავ ყველაფერს, რაზეც თვალი მიმივა, გადმოვყრი დორბლებს, მერე ვუჯიკებ ქალებს და თავს დავაკბენინებ, ხან ველოსიპედს მოვახტები, ხან კაპსულიან თვითმფრინავს და ვიშოპინგებ, მერე ჩამოვეთრევი და მთელი ღამე კარუსელებზე ბუშტით ხელში ვიკატავებ, მერე დილას დავიძინებ, 4-5 საათზე წავალ სამსახურში და დარეტიანებული გავაკეთებ განცხადებას ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ, დავაყადაღებ, დავაჭერინებ და დავახოცინებ ყველას, ვინც ჩემთან არ არის და წავალ..... ციხეში )))))))))))) ამ დროს აზრზე მოვედი.....

იიიფ, რა ადვილი ყოფილა პრეზიდენტობა, როცა გიჟი ხარ და გაგდის :(((

მოკლედ, ცალსახად და არა ორაზროვნად, ცხადად და არა შეფარვით, პირდაპირ და არა ირიბად + მთელი, სრული, აბსოლუტური პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ "ჟურნალისტები" (მათ შორის, პროდუსერები, წამყვანები, წამომყვანები და ა.შ-ები) რომლებიც მუშაობენ საზმაუს, რუსთავი ორის, იმედის, რეალ-ტივის, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურებში, - არ არიან ჟურნალისტები, ისინი არიან ისეთივე დამნაშავეები, როგორიც ხელისუფლება! ისინი არათუ დანაშაულს ჩადიან, არამედ ფუთავენ, თვალს ხუჭავენ და ტირაჟირებას უწევენ ხელისუფლების მოღალატე, დანაშაულებრივ ქმედებებს!!

მოკლედ როგორც გავიგე კახეთში, კონკრეტულად სოფელ ხაშმში მაგარი მძიმე ნაციონალურად დაავადებული მდგომარეობაა და სასწრაფოდ უნდათ ალტერნატიული და საღი აზრით მკურნალობა :) როგორც ვიცით კახეთში ცოტა მძიმე ხალხია და ძნელად მიდის მათთან წამლობა ამიტომ იაქტიუროს ყველამ ვისაც ევალება რომ ცოტა შეაფხიზლონ ბახტრიონის მხარე!!!!

ომი ყველამ წავაგეთ — ქართველებმაც, აფხაზებმაც, ოსებმაც. ომი მხოლოდ პოლიტიკოსებმა მოიგეს — ჩვენი დაპირისპირებით, ჩვენი ძმების სისხლით შეინარჩუნეს ჩვენზე ბატონობა. ომი სწორედ მაშინ იწყება, როცა ძველი ომის მონაწილე, ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი ფიქრობს არა შენდობაზე, არამედ საუბრობს ომში გამარჯვებულის ენითა და განწყობით.

მიშა მინდა როგორმე ამოვათრიო ჭაობიდან, რომ ვიხსნა მისი უკვდავი სული, ამიტომ ვაძლევ ხმას ბიძინას

აწყურელი გლეხი, რომელმაც პრეზიდენტის სადღეგრძელო არ დალია, დააპატიმრეს. ბერიძეზე ფიზიკური ზეწოლა არ ყოფილა. დაკავებული მანამდე არ გამოუშვეს წინასწარი დაკავების საკნიდან, ვიდრე განსხვავებული სასმისით 5-ჯერ არ დაალევინეს პრეზიდენტის სადღეგრძელო. "5-ჯერ იმიტომ დაალევინეს მიშას სადღეგრძელო, რომ ხუთიანი ნაციონალთა სარჩევნო ნომერია. ამით ბერიძეს თან დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ.



## 29 წლის ბრიტანელს საოცარი ორგანიზმი აქვს



29 წლის დანიელ იანგს არაჩვეულებრივი ქალური ორგანოები აქვს. ამის შესახებ მისთვისაც და სამედიცინო წრეებისთვისაც ცნობილი გახდა მაშინ, როცა დანიელ იანგი 18 წლის იყო. ქალბატონს ორი საშვილოსნო აქვს, რაც ბავშვის დაბადებისა და ჩასახვისთვის სერიოზული დაბრკოლებაა. ორი პატარა საშვილოსნო ამცირებს ნორმალური ორსულობის შესაძლებლობას. დანიელს დაავადებული ჰქონდა კვერცხსავალი მილი და წესით, ის არ უნდა დაორსულებულიყო, მაგრამ მან გააოცა ექიმები, როცა დაორსულდა და გააჩინა კიდევაც გოგონა, სახელად პეიჯი, ხუთი წლის წინათ.

მან მეორე ორსულობით კიდევ უფრო გააგონა ექიმები.

დენიელი ტყუპების დედა გახდა. მის ორივე საშვილოსნოში ნაყოფი აღმოჩნდა. ასეთი შემთხვევა მილიონში ხუთია, ორსულობის პერიოდის შემდეგ, რომელიც გართულებების გარეშე მიმდინარეობდა, დენიელმა ტყუპები – გოგონა და ვაჟი გააჩინა.

## უმნიშვნელო სტრესიც კი ზრდის სიკვდილის რისკს



ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, გამოიკითხა 68000 ზრდასრული ადამიანი 35 წლისა და უფროსი ასაკისა.

მკვლევარებმა ფსიქოლოგიური სტრესი სხვადასხვა სასიკვდილო დაავადების მიზეზად დაასახელეს, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადების, კიბოს და სხვა მომაკვდინებელი დაავადებებისა. ასე, რომ, ერიდეთ სტრესს.

## ეგვიპტელი მამაკაცებიც წარბებს იპუტავდნენ



ძველ ეგვიპტეში ქალებიც და მამაკაცებიც წარბებს იპუტავდნენ მწუხარების ნიშნად იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში კატა მოუკვდებოდათ. საქმე იმაშია, რომ კატა წმინდა ცხოველად ითვლებოდა და მისი სიკვდილი ოჯახის ტრაგედიად მიიჩნეოდა.

## არქეოლოგებმა უძველესი კბილის პროთეზი აღმოაჩინეს

ანაპის გათხრებში არქეოლოგებმა უძველესი კბილის პროთეზი აღმოაჩინეს, რომელიც ყველაზე ძველია კაცობრიობის ისტორიაში. უნიკალური აღმოჩენა „როზა ლუქსემბურგი-1“-ის სამარხში იპოვეს ანაპაში. სამარხში მამაკაცის ძვლები იქნა აღმოჩენილი. მიცვალებული 35 წლის იქნებოდა, ხოლო ქალბატონები, დაახლოებით, 22-35 წლისა. სამარხები ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება (II ათასწლეული ჩვ.წ.აღ-მდე).



ექსპედიციის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ სამარხში ბრინჯაოს მონეტებიც არის აღმოჩენილი, კერამიკაც.

თავის ქალის დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ დიდგვაროვანი მამაკაცები კბილის ხელოვნურ პროთეზს ატარებდნენ. სავარაუდოდ, მიცვალებულებს კბილების დაავადების – პარადონტოზის გამო კბილების უმრავლესობა ჩამოსცვივდა. პროთეზის ზედა ნაწილი 24X12 მილიმეტრის ოვალური ფორმის ფიგურა იყო. ისეთი პროთეზი შესაძლებელი იყო მფლობელს ეტარებინა წლების განმავლობაში.

## ხალები სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მიუთითებს



ინგლისელი მეცნიერები კარგა ხანს ირწმუნებოდნენ, რომ ხალების სიმრავლე ჯანმრთელობისთვის საშიშროებას წარმოადგენს. მაგრამ აღმოჩნდა პირიქით, ხალები სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ჯანმრთელობაზე მიუთითებს.

კვლევა ლონდონის სამეფო კოლეჯის ექსპერტებმა ჩაატარეს. მათი მტკიცებით, ადამიანები, რომელთა ტანზეც შესაძლებელია 100-მდე ხალის აღმოჩენა, ნელა ბერდებიან და 7 წლით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებიან, ვიდრე მისი ასაკის სხვა ადამიანები. ამასთანავე, მათ აქვთ უფრო ძლიერი ძვლები, რაც იცავს ოსტეოპოროზისაგან, ხალები კუნთების განვითარებასაც უწყობენ ხელს, პასუხისმგებელია თვალების და გულის ჯანმრთელობაზე. აგრეთვე ხალები იცავენ კიბოს დაავადებისაგან. ასე, რომ ხალები უფრო მეტი სიკეთის მომტანია, ვიდრე ბოროტების.

გამოიკვლიეს 1200 მდედრობითი სქესის ტყუპი 18-დან 79 წლამდე. აღმოჩნდა, რომ მათ, ვისაც 100-ზე მეტი ხალი ჰქონდათ, ნაკლებად ავადდებიან ოსტეოპოროზით და გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებიან.

## კლეოპატრა ნარკოტიკების გადაჭარბებულმა დოზამ იმსხვერპლა



გერმანელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დედოფალმა კლეოპატრა VII-მ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მან მიიღო ოპიუმი და სხვა დამათრობელი საშუალებები, რომლებიც იწვევს უმტკივნეულო, ნელ სიკვდილს რამდენიმე საათის განმავლობაში.

ადრე ცნობილი იყო, რომ იგი შხამიანი კობრის ნაკბენისგან გარდაიცვალა, მაგრამ მეცნიერებმა უარყვეს ეს ვერსია, რადგან დედოფალი ცნობილი იყო თავისი სილამაზით და გველის ნაკბენის შემდეგ მისი სხეული ლაქებით დაიფარებოდა.

„ასეთ სიკვდილამდე ადამიანი ნელ-ნელა მიდის, რამდენიმე საათის განმავლობაში, ყოველგვარი ტკივილის და გარეგნული ცვლილების გარეშე. აფასებდა თავის სილამაზეს და ამიტომაც არ სურდა განეცადა ხანგრძლივი სასიკვდილო აგონია, რაც გველის ნაკბენის შედეგად იყო მოსალოდნელი“, – წერს მკვლევარი კრისტოფ შეფერი. – დოკუმენტების მიხედვით, მას სურდა სიკვდილის შემდეგაც ლამაზი ყოფილიყო, რათა ლეგენდად დარჩენილიყო ისტორიაში. მან იცოდა ამის ფასი“.

კვლევის მიხედვით, კლეოპატრა ჩვ.წ.აღ-მდე 69 წელს დაბადებულა და გარდაცვლილა ჩვ.წ.აღ.-მდე 30 წლის 12 აგვისტოს.

## ფულის ხის საიდუმლოებანი



თითქმის ყველა ოჯახში შენიშნავთ ფულის ხეს, რომელიც ფენ-შუის მიხედვით, ბარაქას მოასწავებს, მაგრამ ბევრმა არც იცის, როგორ მოუაროს მას.

იგი უნდა მოათავსოთ საცხოვრებელი სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, რადგან ეს სიმდიდრის საიდუმლო ადგილია. ზუსტად ამ ადგილიდან შეძლებს იგი მოუტანოს თქვენს ოჯახს ბარაქა და სიმდიდრე.

უფრო მეტი წარმატებისთვის მცენარის ყლორტს წითელი ლენტი შეაბით, რომელზეც სასურველია ჩინური ფული და კვადრატული ფიგურები იყოს ჩამოკიდებული.

**მოამზადა**
**ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** – აქტიური და ენერგიული გახდებით, ოპტიმისტური განწყობა დაგეუფლებათ.


**კურო** – ეს პერიოდი ეკონომიკურ სტაბილურობას მოგიტანთ. თამამად შეგიძლიათ, ხარჯოთ ფული. ფინნსური ოპერაციები ამჯერად ძალზე სარფიანად წარიმართება.


**ტყუპები** – შექმნილი ვითარება ხელს შეუწყობს თქვენი პიროვნული თვისებების და შემოქმედებითი მონაცემების გამოვლენას. გაგიჩნდებათ სურვილი, სიამოვნება მიანიჭოთ ყველას.


**კირჩხიბი** – ძალაუფლების და წინსვლის სურვილი თანამშრომლებთან სიტუაციის დაძაბვას გამოიწვევს.


**ლომი** – ხელსაყრელი დროა განათლების დონის ასამაღლებლად. ენთუზიაზმი დაგეხმარებათ სამსახურებრივი პრობლემების მოგვარებასა და საქმიან პარტნიორებთან ხელშეკრულებების დადებაში.


**ქალწული** – აქტიური და ინტენსიური ურთიერთობები პარტნიორებთან შესამჩნევ პიროვნებებად გაქცევთ. გაგიჩნდებათ სურვილი, იპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, თუმცა თქვენი წინსვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეძლებთ მოწინააღმდეგეთა დამარცხებას.


**სასწორი** – თუ გსურთ, შეინარჩუნოთ ეკონომიკური სტაბილურობა, საჭიროა რამე პრინციპულად განსხვავებულს მოჰკიდოთ ხელი.


**მორიელი** – ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებზე ზრუნვა მნიშვნელოვანი საქმეების კეთებისგან მოგაცდენთ. შექმნილი ვითარება ხშირად გიბიძგებთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისა და წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმისკენ.


**მშვილდოსანი** – თქვენს ყურადღებას მთლანად ოჯახური საქმეები მიიპყრობს. არამდგრადი კონომკური მდგომარეობიდან გამოსავალს იპოვით იმ შემთხვევაში, თუ უცხოელ პარტნიორებთან შეძლებთ კავშირის დამყარებას.


**თხის რქა** – თქვენი ყურადღება ძველ საქმეებზე იქნება მიპყრობილი. ნუ აიღებთ საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას.


**მერწყული** – დროა, ოჯახური კავშირების განმტკიცებას ან პარტნიორის ძიებას შეუდგეთ. ეს პერიოდი არაჩვეულებრივია სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, თუმცა შეეცადეთ, პარტნიორის თავისუფლება არ შეზღუდოთ.


**თევზები** – თქვენი სწრაფვა განახლებისკენ კონკრეტულ სახეს შეიძენს. მოგეცემათ შანსი, შეიცვალოთ ბინა, პროფესია ან სამუშაო ადგილი.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**
**სკანვორდი**

1.პრესტიჟი. 2. კიდევაც. 3. კატმანდუ. 4. დამსახურება. 5. ვრონსკი. 6. ნიკოლას. 7. ტამპონი. 8. მაგნიტი. 9. ჯილი. 10. ხინჯი. 11. ჯამფილა. 12. ფანჯი. 13. ტაფა. 14. დიჟონი. 15. იდალგო. 16. პეჟო. 17. დეფისი. 18. ქაჯი. 19. მატერია. 20. ყაბალახი. 21. ხრინწი. 22. ონკოლოგი. 23. ბაყალი. 24. ჩილე. 25. ტორტილა. 26. რიკი. 27. ბელა. 28. ინიესტა. 29. ლომბერი. 30. ბაილონი. 31. სენა. 32. ირმისენა. 33. კოწია. 34. სანოვაგე. 35. იფანი. 36. რუსიფიკაცია. 37. ისლამბადი. 38. მარაგი. 39. მენჯი. 40. ანაბარი. 41. ელტონ. 42. ფერერი. 43. ჰერბერტ. 44. ქიმია. 45. კამბოჯა. 46. ფილფანი. 47. ესტონეთი. 48. ლაო. 49. კონსტბელი. 50. ჯაკარტა. 51. საფარი. 52. ჯენარო. 53. კაპიტანი. 54. ესკადრა. 55. გეზი. 56. ბასკეთი. 57. ბადე. 58. ფაბიო. 59. მაფია. 60. ჰაიდნი. 61. დედალი. 62. ტიკი. 63. ლომისა. 64. წვიმა. 65. რენე. 66. ბერკლი. 67. კალიბრი.